

# საბჭოთა ხელოვნება



СОВЕТСКОЕ  
ИСКУССТВО  
SOVIET  
ART  
SOWJETKUNST  
ART  
SOVIÉTIQUE



1973

# საგჭოთა სელეგნება



შერნალი გამომცემი 1921 წლიდან

თუბტტი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
ჯრქიბთქტუტუ  
ქმტუტოგტუტუ



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლტიკური,  
ლიბრატურულ-მხატვრული, მცენიერულ-თეორიული ყოველთვიური ჟურნალი

1973





გ. გელოვანი.

ლენინი რაზლივში.



მოსკოვი. 21 დეკემბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი. ს უ რ ა თ ზ ე: სხდომის პრეზიდიუმში. სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ახანაგი ლ. ი. ბ რ ე ე ნ ე ე ი.

# ახალგაზრდა უემოქმედთა პროფესიული და იდეური გრდისათვის

საბჭოური საქართველოს მხატვრული ინტელიგენცია, — თეატრის, კინოს, მუსიკის, სახეითი ხელოვნების მოღვაწეთა დიდი არმია მხურვალე გულთი შეხვდა სამბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს, დაიდა სახელმწიფოს დიად იუბილეს. ეს იუბილე ახალი საზოგადოებრივი წყობის, დედამიწაზე მცხოვრები კეთილი ადამიანების დამატებამ შეეძლო იქცა. საქართველოს ინტენსიური მეურნეობის, აქტიური მეცნიერული და სახელოვანი შემართების მიწა-წყალზე ხალისით შრომობდა კოლმეურნეც და მუშაც, სწავლულიც და მოსწავლაც, ხელოვანიც და მწერალიც, რათა მაქსიმალურად ბედნიერი შეხვედრდა სამბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივი ფორმის შექმნა-ჩამოყალიბების სახელოვან ზეიმს. ეს ბუნებრივიც არის, — რესპუბლიკას, ისე როგორც მთლიანად სამბჭოთა კავშირს, საზოგადოებრივ კანონზომიერებად ექცა მატერიალური და სულიერი აღმავლობის შეუწყობელი პროცესი, რაკი ასეთია ბუნება სოციალისტური საზოგადოებრივი წყობისა, კომუნისტური ყოფის დაჰკვიდრება-განვითარების არსი. ამის ნათელი მა-

გალითია საქართველოში გადახდილი წინასაიუბილეო დღესასწაული, ამის მჭვივრეტყველური დასაბუთებაა 21 დეკემბრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, ყველა სამბჭოთა რესპუბლიკის მიღწევითა ფერმეტყველი პალიტრა, რომელსაც ჭეშმარიტე ხელოვანის გულთი ამდიდრებს სამბჭოეთის ხალხი, მისი საიმედო ავანგარდი სამბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი აზრი და გული ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტეც, პოლიტბიურო.

მაგრამ გამარჯვებების მომპოვებელ ხალხს, ლენინურ მოძღვრებაზე აღზრდილ პროლეტარულ ინტერნაციონალისტებს, — უპარტიოებსა და პარტიულებს როდი ახასიათებთ წარმატებებზე შეჩერება, მიღწეულით დაკმაყოფილება. „კომუნისტებს არ გეჭვევია წარმატებისაგან თავებრუნება. საიუბილეო თარიღებს იმისათვის როდი აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ დადებითი გაყვისხნით და პარადული ხმაური აგტეხთ. მუშაობის ლენინური სტილი ცხოვ-



რების მოვლენების დიალექტიკური ანალიზიდან გამომდინარეობს. ამინტი ჩვენ ყოველთვის ვიქცევით ის, როგორც დღე. ლეონი გვიჩვენდა, — საიტივო დღეში ყურადღებას უმაჯრესად ვამახილებთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებზე, ყველაზე საკვირველი ამოცანებზე. გადაუჭრელი სერიოზული პრობლემები კი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს როგორც ეკონომიკისა და კულტურის, ისე იდეოლოგიისა და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ისინი ჩანან როგორც ლაქები მზეზე. ვაკრიტიკებთ ჩვენს ნაკლოვანებებს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური, კლასობრივი, პარტიული პოზიციებიდან. სწორედ ეს პოზიციებია ჩვენი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოსავალი, დასაყრდენი წერტილი. იუბილეს დღეებშიც არ უნდა გავიწყდებოდეს ჩვენი ნაკლოვანებები, პრაქტიკის კრიტიკული და თვითკრიტიკული შეფასება — ნაოქვამია ურნაში, „საკრთველოს კომუნისტის“ განმსაზღვრელ წერილში და მართებელი, სასარგებლო თქმა, სწორი რჩევა და მეცნიერული მოთხოვნა, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წარმმართველი აზრია და სწორედ ამ რჩევას უნდა გაუსწრებო ფიზიკური ხედვა და შესრულების მძაფრი უნარი საქართველოს სახელმწიფო დარგის მუშაკებში. მათ მოღვაწეობაში მრავალფეროვანი, შთაბეჭდილი და შთამბავთბელი მიღწევებია, რომლის ფონზე უფრო შესამჩნევად მოსახსნება შეგადამიე შემორჩენილი ნაკლი, ან მიყუელი მანკიერება.

მაგრამ პროფესიული ნაკლოვანებანი თუ მანკიერებანი ერთ რომელიღ დღეს როდი ჩნდება, იგი ახალგაზრდა შემოქმედის პროფესიული სწავლების პირველსავე დღეს იჩენება და თუ ამაზე ყურადღებას არ ამახილებენ — შემოქმედებითი ნაკლოვანება მანკიერების გზაზე გადაინაცვლებს ხოლმე.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ მხატვრულ სასწავლებლებში აღსრულებები, — სახელმწიფო კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია და თეატრალური ინსტიტუტი ის დიდი სარბილია, სადაც იზრდება ჩვენი ხელოვნების ახლო მომავლის თაობები და თუ როგორ იქნება სტუდენტთა პროფესიული წვრთნისა და მორალური სწრდის საქმე, ბევრად არის დამოკიდებული ქართული საბჭოური ხელოვნების მომავალი სტეპედი.

ამ მხრივ კი გასაკეთებელი ბევრია. პირველ ყოვლისა ის, როგორ მოვიზიდოთ მხატვრულ ინსტიტუტებში ნიჭიერი ახალგაზრდები, როგორ აკუაროთ შემხინგვეთ პირებს და რა ხერხით გამოვავლინოთ ხელოვნებას მიწოდებული ნიჭიერებანი?

აიღოთ მაგალითისათვის თეატრალური ინსტიტუტი. უკვე ათეული წელი გადის, მაგრამ არ გაიხსენება ისეთი გამოშვება, როგორც არის ოთარ მღვლინეთუხუცესის, თენჯინა მისურაძის, ირაკლი ურანიშვილის, მედვა ჩახავას, ზინა კვერნცხალიძის, ერისთ მანჯავლიძის, გიორგი გვეჯკორის, კოტე მასრაძის, რამაზ ჩჩიკავას, გურამ სადარაძის, ჯემალ დალანიძის, გიორგი ხარაბაძის, გოგი ქავთარაძის თაობები. გავიდა რი, სუთი, შვიდი და იქნებ თო წელი, დაამიავრა ორმა, ხუთმა, ათმა აქტიორულმა თაობამ, მაგრამ მათი ნიჭიერება სდუმს.

რითი აინხნება ეს? იმიტო, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ნიჭიერების გამოვლინებაზე არა ზრუნავს, თვითდინებით მოსულ აბითურიენტთა გადარჩევით ემაყოფილდება. ამას ისიც ემატება, რომ ინსტიტუტის პედაგოგიკური პირობებიდან მხოლოდ მცირე პასუხობს მაღალ პროფესიულ დონეს. დაბალი პროფესიისა და ნიჭის რეჟისორ-პედაგოგებს მინანქრები ნიჭიერი აქტიორების გამოვლინება-აღსრუდა და ბუნებრივია, ეს დაბს აჩენს ტალანტების გაზრდას,

თუმცა ზოგიერთი მართლაც ნიჭიერი და სასარგებლო რეჟისორ-პედაგოგი ინსტიტუტის კედლებს გარეთ რჩება.

ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ამჟამად ინსტიტუტში სამსახირო ფეკულდენტზე მოსწავლეთა უმრავლესობა სპეციალურ საგნებში „სამინაშ“ ვერ სცოდნება. საბოთნობა, საშუალოების სწავლების მთავარი საშობად იქცევა. ეს თვალნათლად გამოვლინდა კომკავშირის ამასწინანდელ კრებაზეც. სტუდენტებს სწავლების ცუდად დაყენების მრავალი ფაქტი მოიყვანეს. გამოირკვა, რომ ინსტიტუტში ორ სტუდენტზე მოდის ერთი პედაგოგი, ან თანამშრომელი. უკეთესი პრობოცია არც ერთ სხვა ინსტიტუტში არაა. მიუხედავად ამისა, გასული წლის აკადემიური მოსწრება მხოლოდ 82,2 პროცენტს შეადგენდა, თუმცა ეს ოფიციალური ციფრიც ხელოვნურად არის გაზრდილი, რადგან „ზოგიერთი სტუდენტისათვის გამოცდები იწყება სესიების დამთავრების შემდეგ, რასაც თან ახლავს წრიალი, აკოტიკა და რაღაც მანქანებით სანების ჩაბარება. თუ გამოცდები გათვალისწინებულ ვადებში დამთავრდება, მაშინ მოსწრება 70 პროცენტამდე უფრო მიაღწევს“ — ნათქვამია ინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაციის მიდენის ანგარიშში.

ოფიციალური ცნობით, თვატრემოდნობის ფეკულტეტზე გასული სასწავლო წლის პირველ ნახევარში აკადემიური მოსწრება უდრია მხოლოდ 72,8 პროცენტს და ამასაც იოლად შეურიგდა რექტორატი. სტუდენტების ნაწილი სისტემატურად ადენის ლექცია-სემინარებს, რეპეტაციებისათვის განკუთვნილ საათებს: გაჯიგება უკვე მოასწრეს 74 საათის გაცდენა, გვეუნიამ 65-ის, იონოვამ 58-ის, ვეფხვაძემ 55-ის, არგუნმა 51-ის, თურქიშვილმა 45-ის. თუქა არსებობს კაბონი, რომელიც თთავლისწინების სტუდენტის გამოირცხვას არასაპატიოდ გაცდენილი 24-30 საათის შედეგა. ჩვენ ვალდებული ვართ ახალგაზრდობას ვაჩვევოთ სიმართლეს, საპირისპიროს კი ვაკეთებთ. იცის სტუდენტმა, რომ ამ ყოვლია ავად ვიციოთ ჩ ჩვენი, მაგრამ სასწავლო ნაწილი აიძულდები სწავრობაში ადგირი ვაკლბი ცნობა. ვინ აძლევს ამ ცნობებს ან რად გჯივრდება ეს ცნობები? ეს საზიზრობობა, ეს უბართულო ფორმლობაა! — განაცხადა სტუდენტმა-აომკავშირულმა და დამამატა, — ასეთი ფორმლობის მიღმა გაცდენილი საათების რაოდენობა ოთხჯერ მეტი იფარებათ.

და ამასაც იოლად ურიგდება რექტორატი. უკმაობის ასეთმა სტილობა მნიშვნელოვან დადაბლა აკადემიური მოსწრება. გავექი იქანდო მივიდა, რომ ინსტიტუტმა ვერ შესძლო საშველინიზნა სიეთი წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სახელობითი სტიპენდიების ღირსნი გახდებოდნენ. ამჟამად ინსტიტუტში 12 სახელობითი სტიპენდიანია არსებობს, აქედან მინიმუმული მხოლოდ ოთხი. მაგრამ ერთს კი იმდენად შეუფერებელი სტუდენტები იღებს, რომ მისთვის „სახელობითი სტიპენდიის მინიჭება დღესაც გამოცანად რჩება“.

ამიტომ გასაკვირი არაა, თუ თეატრალურ ინსტიტუტში დიდად არა ღვებან უკანონო მოქმედებებზე, უკამოცოდო ინსტიტუტში ჩარიცხვაზე, ან ოროსტრების მიღებაზე. უფრო მეტიც, ფიზიკულურის ინსტიტუტიდან გადმოსული სტუდენტი მესამე კურსზე დასაყვას, 15 თვეში 79 საათი ჩაბარებინებს, ინსტიტუტის დამთავრების დილობი უბოძეს და რესპუბლიკის სასწავლებს იქით გადაიხიზნს. ამგვარი დარღვევა-დამახინჯება სხვაგვარიც იყო, მაგრამ რექტორატი ყველაფერს ხელშეშებით ვიკიდება. ამის შედეგად სტუდენტების გარკვეული ნაწილიც ასეთივე ხელშეშებით ვიკიდება სწავლობს, საცანაწარბებელი რჩება. უფრო მეტიც, —





უხეროდ დაყენებულ სწავლებასა და უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობის შედეგად ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა სამახსობო ჯგუფში ვერ მიიღო ინსტიტუტის დამთავრების მოწმობა იმის გამო, რომ ქუთაისის თეატრის სცენაზე ჩაემალათ სადილობის სპექტაკლი.

მოსალოდნელი იყო, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, პირველად პარტიული ორგანიზაცია განგავს ასტებსა და მომხდარი ფაქტის გამო, გაანალიზებდნენ სადილობო სპექტაკლის ჩაშლის მიზეზებს, შეუწყნარებდნენ ატმოსფეროს შექმნიდნენ „უდიპლომობის“ აღმოსაფხვრელად, მოკვალ აქტივობა პროფესიული დონის ასამაღლებლად, მაგრამ ამასაც იოლად შეურიგდნენ როგორც რექტორატმა, ისე კურსდამთავრებულებიც.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და მინისტრთა სამსახურის გაერთიანებულ სხდომაზე გარკვეულ დღეებში: ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, შემოქმედებით მუშაკებს ყველა კარგად იცნობს. ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა ცდილობს მიზამის მათ, მაგრამ ზოგაერთი არაჯანსაღი მოვლენა მათ შორის, გავლენას ახდენს ახალგაზრდობის მორალურ-ზნეობრივ მდგომარეობაზე.

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ ნათელი როდი აღმოჩნდა ეს რეჟისორ-პედაგოგ რემი შაფთაშვილისათვის. იგი პედაგოგიური ვითარების უხეშ დარღვევას არ შეუნიშნა, რექტორატმა არა თუ არად მიიჩნია ეს, არამედ ყურაც არ ათხოვა კომკავშირის საერთო კრებაზე სტუდენტთა მიერ ჯგუფის ოფიციალურ საჩივარს, მათი ჯგუფიდან მაინც მოცილებინათ ვთიკურ-მორალური ნორმების დამრღვევი რეჟისორი „აღმზრდელი“. საკითხავია, განა სასტიკთის მოქმედება ინსტიტუტს ასეთი ატმოსფეროს შენარჩუნება, რა ჯანსაღ გავლენას მოახდენს ეს ახალგაზრდების მორალურ-ზნეობრივ სიმტკიცე-სიწინდელზე, მათ მოქალაქეობრივ და პროფესიულ ზრდაზე, მომავალ აქტივობა მორალური სახის ფორმირებაზე?!

დარღვევებით თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ვერ გააკვირვებთ, მაგრამ წარმოუდგენელი დარღვევა-თვითნებობა ხდება თეატრმცოდნეობის მიერე კურსზე, ჯერ იყო და თეატრმცოდნეთა ეს ჯგუფი საღამოს განყოფილებაზე მიიღეს, რომელზედაც, როგორც ცნობილია, საგრძნობლად შემცირებული სწავლების საათები და მასაა-დამე, საგრძნობლად ნაკლები თანხაც გათვალისწინებული პედაგოგების შრომის ასანაზღაურებლად. მიუხედავად ამისა, საღამოს განყოფილების თეატრმცოდნეობის სწავლება დღის საათებში, დღის დასრულების პროგრამით, ე. ი. საგრძნობლად მეტი საათებით და მასაა-დამე, პედაგოგთა ხელფასის საგრძნობი გადახარჯვითაც. ამას ემატება ისიც, რომ სტუდენტები დღისით მუშაობას ვეღარ ახერხებდნენ და ვერც სტუდენტის ღებულობენ. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში სწავლების დონე მაღალი არ არის, მაგრამ რექტორატში ამასაც თითქმის უყურებენ. ახლა კი, როცა რესპუბლიკაში სასტიკი ბრძოლა გამოცხადდა ყველა ხის დარღვევებს, ინსტიტუტის რექტორატმა თავისი დარღვევების განმოსაწორებლად გადაწყვიტა დღის საათებში სწავლებას დაპირებული საღამოს დასრულების სტუდენტები ინსტიტუტთან გარაცხოს, ან აიძულოს ისინი წარმოადგინონ დღისით სამუშაოზე მოწყობის ყალბი ცნობები.

განა ასეთი ატმოსფერო ხელს შეუწყობს მომავალ ხელოვნათა პროფესიულ ზრდას, მათი მორალური სახის სრულყოფას?!

მაგრამ, თუ ამას დაეუმატებთ, რომ „ინსტიტუტში ლექციებზე სტუდენტები შემოდიან არაფხიზელ მდგომარეობაში, რაც არც თუ იშვიათად ხდება“, ადვილად წარმოსად-

გენია, რა საგალოლო მდგომარეობაა გამოყვებოლი ახლა თეატრალური ინსტიტუტში.

თეატრალური ინსტიტუტში ზნეობრივი ნორმების დადაბლება დაღს ასევე მისი აღზრდილების მომავალ პრაქტიკულ მუშაობას. შემოხვევითი არ არის, რომ სწორედ თეატრალური ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებულები არღვევენ შრომის დისციპლინას, მსახიობის ვიიკურ ნორმებს და ეგოიზმისა და კოლექტივთან შეუგუებლობის დასაგმობ ჩვევებს ავლენენ. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორს დასჭირდა სასკულის დაღება სპექტაკლ „ხანუშა“ მონაწილე მსახიობებისათვის: კ. კაკასიძის, დ. პაპუაშვილისა და დ. ჩხიკავისათვის ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადების გამო.

თეატრის შინაგანი წესის დარღვევისათვის მსახიობი ი. გიგოშვილი მოიხსნა ძირითადი მესწრეულების როლი და სპექტაკლ „მოულოდნელ სტუმარში“. სამასხურში ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადების გამო იმჯანსაღების სახელობის თეატრთან განთავსიყოფულები იქნა მსახიობი გ. ფირცხალავა. იმავე თეატრში სიმთვრალისათვის სამუშაოდან მოიხსნა მსახიობი გ. ლევაია.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ასეთი ატმოსფერო დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს, მომავალ აქტივობა, რეჟისორთა და თეატრმცოდნეთა პროფესიული წვრთნა და მორალური ზრდა ჩვენი ცხოვრების ახალი დინების სიღრმე-სიწინდით უნდა წარიმართოს. თეატრალური ინსტიტუტის რექტორატმა, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ძირფეცივანად უნდა გარდაქმნან პედაგოგიურ-აღმზრდელი თვისობა მუშაობა, რომ ოდესღაც ნიჭიერი კადრებით განთქმული სამშელო ჩვენი სასტიკო სისხლსავე ცხოვრების შეუგულებლად ჩადგეს. ბოლო უნდა მიეღოს თვითნებობასა და თვითმინდობილობას აბიოურიტების შერევაში. უნდა გაიბას კავშირი ახალგაზრდათა მხატვრული თვითშემქნელების დრამატულ წრეებთან, სადაცაც გამოვლენდებიან დაფარული ნიჭიერებანი, სისტემატურად უნდა იმართებოდეს მოსწავლე სტუდენტების საანგარიშო სპექტაკლები ფართო მაყურებლის წინაშე. ინსტიტუტში სწავლების პროცესში უნდა შექვიოს მსახიობი ფართო აუდიტორიას, ისე როგორც ეჩვევა ამას მუსიკოს-მესწრეულები. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას კულტურის სახელობის სცენები, ცენტრისა და პერიფერიის თეატრების შენობები. სტუდენტები უნდა დაინერგოს ოცლები გაილობისა და მოქალაქეობრივი თავმდაბლობის ჩვევები. ყოველს შეუძლია დიდი როლის თამაში, მაგრამ ყველა უნდა იყოს მზად მცირე ეპიზოდური როლის შესასრულებლად. უამისოდ გამოირცხვლი არაა, რომ მომავალი აქტივობი გეოსტად, პირბა-სოლისტის პრეტენციულობით დაავადდეს და სწორედ ეს შექმნის ვირუსს შურინობისა და კარიერის ბუდის განჩენა, კონფლიქტებისა და უკმაყოფილების ატმოსფეროს შექმნაში, მაღალი მოქალაქეობრივი ნორმების დარღვევაში, ხელოვნებისადმი უპატივცემულობაში, მაცურებლის მოთხოვნის იგნორირებაში. თეატრალური ინსტიტუტში ასეთი პრობლემებისადმი ყურადღების მიქცევა სანახევროდ მაინც გადაწყვეტს თეატრის პრობლემებს. პირველი მორის დასაწყისია და მორის ბედი პირველზე ჰკიდია.

მომავალი აქტივობების, რეჟისორების, თეატრმცოდნეების, ჰიანისტების, მუსიკამცოდნეების, მხატვრების მორალური სიწინდით აღზრდა ინსტიტუტში მისაღები გამოცდების პირველსავე დღიდან უნდა იწყებოდეს. მაგრამ, სამუშაოდ, აბიოურიტები იშვიათად როდი აწყდებიან პედაგოგიური ვითარის დარღვევის შემთხვევებს. ასე მაგალიათი, თბილისის სამხატვრო აკადემიაში შემსველეთათ-



ვის ოფიციალურად არსებობს სახელმწიფო მოსამზადებელი კურსები, რომელიც სასარგებლო დახმარებას უწყვეს აბიორთინტებს. ცნობილია, რომ „განმორება დედია ცოდნის“, მაგრამ, სამუხაზოდ, არ გაქმნა სხვა სენ-ტენციაც. „რეპეტიტორმა დედია შემოსავლის“. ფართოდ მოხარავდა კერძო რეპეტიტორთა კურსები, ერთთვიანი, ორთვიანი, სამთვიანი ჯგუფები და ე. წ. „საკონსულტაციო სემინარები“, რომლებშიც ასწავლიან თვით სამხატვრო აკადემიის ცალკეული პედაგოგები, ისეთი პირები, ვინც ახლოს დგანან მიმღები კომისიების წევრებთან და საერთოდ, აღიარებულ არიან ავტორიტეტულ და გავლენიან პერსონაჟად სასწავლო სინკლატში.

ბუნებრივია, ასეთ „საიმედო“ რეპეტიტორთა ჯგუფებში მოხვდნენ უფრო ძნელია, ვიდრე ოფიციალურ მოსამზადებელ კურსებზე ჩარიცხვა და, მამასადავ, ჰონორარიის ნიხრიც უფრო მაღალი ადევს. მართალია, კერძო რეპეტიტორთან კურსდამთავრებულებიდან ყველა ვერ ხვდება აკადემიაში, მაგრამ ყველას რჩება გულში წყნება, რომ უფრო მეტი გადაახდებიან „ცოდნის განმეორებაში“. ვინემ ცოდნა მისცეს. ზოგჯერ ამას თავმურცხვენა-უსამომრებაც მოჰყოლია.

სამარტების კერძო რეპეტიტორთა არტელებს ბოლო უნდა მოეღოს. სასტიკად უნდა გაიციოსთ აკადემიის ის თანამშრომლები, რომლებიც რეპეტიტორთთან მორალურ ზიანს აყენებენ აბიორთინტების ფსიქიკას და რაკი ასეთი გზით უნდალეს სასწავლებელში ხვდებიან, თავის მხრივაც ამასვე სჩადიან. — აკადემიურ მოსწრებაზე თავს არ იწუხებენ, რადან პედაგოგებთან ერთად „სამოვარზე“ გარბიან.

სტუდენტების გაყენა „სამოვარზე“ ახალგაზრდობის მორალური ნორმების დარღვევა-დადაბლების ერთ-ერთი „თავია“. სამხატვრო აკადემიაში არსებობს რამდენიმე სასწავლო-ტექნიკური ლაბორატორია, სადაც სტუდენტები თეორიულად მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად უნდა ასახმდნენ ხორცს. ძირითადად ეს ასეც ხდება, მაგრამ ცოტა როდია შემთხვევები, როცა სასწავლო-ტექნიკური ლაბორატორიები შემოსავლის საამქრობად იქცა. პედაგოგები და სტუდენტები ამზადებენ კერძოდ სარეალიზაციოდ გერმანიკულ ნაწარმოებს, ქება-ხალიჩებს, ჭედურბოებს. უფრო მეტიც, ოფიციალურად იღებენ რესტორან-ბარების მოხატვა-მოპირკეთების შეკვეთებს და აღებულ თანხას პედაგოგებთან ერთად ინაწილებენ. ასეთი დასავაში პრაქტიკა რესპუბლიკის საკონტროლო ორგანოების მხკელების საგნად იქცა, მაგრამ, სამუხაზოდ, აკადემიის ხელმძღვანელობამ მანკიორების ხმაამალა დავაშითის მაკერ დღეში არჩია. რა თქმა უნდა, დუმილით ვერ დაეცავთ მომავალ ხელოვანთა მაღალ მორალურ სიწმინდეს.

კერძომოსაკურთხელო, მომხვეპველური ინსტინტების გადვითება მოსწავლეებში დამღეველად მოქმედებს მთელს სასწავლო პროცესზე. ამით აიხსნება, რომ აკადემიის პრაქტიკაში იშვიათად არ იყო შემთხვევები, როცა ჯგუფებში სამუკადინოდ ნასვამ მდგომარეობაში შედიოდნენ როგორც პედაგოგი, ისე მსმენელიც. საცარია, რომ ასეთი ურთიერთ

თავაყადრება ორივე მხარის მიერ თავმდაბლობა-დემოკრატიულობად მიიჩნეოდა და ამით სასწავლო საქმე მდიდრდებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ახლო წარსულში ზოგიერთი პედაგოგი უპასუხისმგებოდ კვიდებოდა სწავლებლის პროცესს, — კლასში შესული სტუდენტთა სისამოიკითხვად, კლასს სტოვებდა და სტუდენტები ერთმანეთის ანაბარა რჩებოდნენ. ამჟამად, სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების საერთო აღმარსფეროში ასეთ შემთხვევებს ჯერჯერობით ადგილი აღარ აქვს, მაგრამ წარსულის მანკიორების დაეციება უდარდლობა იქნებოდა. სტუდენტები მორალური მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ტემისფეროში უნდა იზრდებოდნენ, რათა სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ ასეთივე ჩვევებით განაგრძონ მუშობა, ინდივიდუალურ სახელისნოში იქნება ეს თუ, სახელმწიფოებრივ უწყებაში.

ახლა ამოცანა იმაშია, რომ მხატვრული შემოქმედების ფრონტის მოღვაწეებმა ღრმად შეისისხლხორციონ საკართველთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდაერთხე ყროლობის გადაწყვეტილებებით გამოიძინარე არგვა-მიოთიბანი, რომლებსა მიზანია კიდევ უფრო ავანალოთ ჩვენი რესპუბლიკის მშობელთა მატერიალური კეთილდღეობა, გაავანდირთთ მისი სულიერი საუხჯე მაღალი, წმინდა, იდეური მხატვრული ნაწარმოებებით. ამაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სამხატვრო-სასწავლო დაწესებულებებმა, რომლებიც პირველწყაროს წარმოადგენენ ახლო მომავლის ქართული საბჭოური ხელოვნების კიდევ უფრო გასაძლიერებლად, მისი ინტერნაციონალური სულისკვეთების ასამაღლებლად. ახლა ველარავინ მიიღებს უფლებას თავი გამოაცხადოს პრივილეგიებულ სახელოვნო ორგანიზაციად თუ სასწავლებლად. ხალხს თვალში, მომთხოვნელობა და კონტროლი ყველგან და ყველას უნდა ეხმარებოდნენ. ველარე თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი დარჩება „პრივილეგიებულ“ მდგომარეობაში, თუმცა იგი საზოგადოებრიობის ყოველგვარი კონტროლის გარეშე იდგა. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ბოლო უნდა მოეღოს აკადემიური სწავლების ჩამორჩენას. ფაქტია, რომ სასწავლებელში შეიციებოდა სასწავლო გეგმები და სწავლების ტემპი. მეშვიდე კლასში სწავლებენ იმ ცვევებს, რომელსაც დაუფლებულნი უნდა იყვნენ ჯერ კიდევ მესამე-მეოთხე კლასში. სასწავლებელში დებულობენ პროფესიულად გამოუყენებელი ფიზიკური მოხატვების ბავშვებს, რის შედეგადაც თბილისის საბავლოთ თეატრის აკადემია საჭირო პროფესიული ცვლა.

სე იყო უწინ, მაგრამ ასე აღარ იქნება ახლა. ხელოვანთა ახალი კადრების აღზრდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, საბჭოური მოათვის ცხოველი ყურადღების ცენტრში დგას და მისი ყოველი ნაბიის დროული გამოსწორება ჩვენი ხელოვნების შემდგომი ამაღლების პირობაა. ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიული წვრთნა, მათი ზნეობრივი ზრდა ყველას საბავლოთ ვალია, ქართული საბჭოური ხელოვნების ხალხრობისა და პარტიულობის მტკიცე საფუძველია, ხალხის სამასხრუმი ხელოვნების ჩაყენების საიმედო საწინდარია.



# 3. ი. ლენინი პინოს შესახებ

3. ი. ლენინი და რევოლუციამდელი პინო

ბასშილი საუკუნის მიწურულში მაქსიმ გორკიმ გამოთქვა შიში — კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში კინემატოგრაფი უზამსობასა და გარყვნილობას უფრო შეუწყობს ხელს, ვიდრე პროგრესსა და ადამიანურ კეთილგონიერებას<sup>1</sup>. მსოფლიო კინოსტრიის ღრმად ცოდნა სულაც არ არის საჭირო იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ როგორ ახდა მ. გორკის ეს წინასწარმეტყველება მსატერული კინოს არსებობის პირველსავე ათწლეულში. ამისათვის რუსეთის სინამდვილეც საკმარისია, რადგან იმხანად აქ საკუთარი კინოწარმოება არ იყო და უცხოური ფირმების გაწეული კომერსანტები, კალიბრით შეეივნენ ამ უკიდურესად გადაჭიმულ იმპერიას. რუსული ბაზრის დასაპყრობად იბრძოდა თითქმის ყველა იმდროინდელი ძლიერი კინემატოგრაფიული ფირმა — ფრანგული „პატე“, „გოლიონი“ და „კლერი“, გერმანული „მესტრი“, იტალიური „ჩინესი“ და „ამბროზიო“, დანური „ნორდოსკი“, ამერიკული „ვიგორაფი“ და სხვები, რომელთაც, ბუნებრივია, მხოლოდ და მხოლოდ წმინდა კომერცია, მოგება აინტერესებდა. ამ მიზნის მისაღწევად კი ისინი არაფერს არ ერიდებოდნენ და რაც შეიძლება მეტ სპეკულიაციას ეწეოდნენ, დივიდენდოებს ვაკებოძებ, საღონურ-სენტიმენტალურ თუ სულაც ბანალურ სუიტეტებს.

დღეს, დროის ასეთი დიდი დისტანციიდან, სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ლენინურმა „პრავდამ“ დროულად აღიმაღლა ხმა და სამართლიანად მიუთითა, რომ კინემატოგრაფი, თავისი შინაარსით „ბურჟუაზიული უზამსობის განსახიერება, საზოგადოების მალდი, გაზაზიებული წრეების გემოვნების მონად, კაპიტალიზმის მსახურად“<sup>2</sup> იქცა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრავდამ კინემატოგრაფს დროულად შეიტანა ეპოქის მღვდლვარე საზოგადოებრივ-სოციალური საკითხებისაგან განდგომა, რაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის აღერასხნლით თარეშის დროს, ლაღაცა ნიშნავდა.

მართალია, რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მან შეარყია ცარიზმის თვითმპყრობლური წყობილება და უდიდესი გავლენა მოახდინა განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე მთელ მსოფლიოში<sup>3</sup>. ამასთან დამთავრავდა მისი ორგანიზაციული ნაკლოვანებანიც. ლენინი პროლეტარიატს მოუწოდებდა ვულდასმით შეესწავლა და გაეახალისებინა ეს ვაკვეთილები ახალი და გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. ამ ბრძოლაში მთელს დატყობილებულ უნდა ჩამოეღო იდეოლოგიური

დრონტის ყველა უბანი და, რა თქმა უნდა, კინემატოგრაფიც. ამიტომაც მოითხოვდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომ ნაცვლად გაიძვირა სპეკულანტებისა, რომლებიც მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ, კინემატოგრაფი სოციალისტური კულტურის ქეშმარიტ მოღვაწეებს აედოთ ხელნი და მთელი მისი მასობრივი შემოქმედების ძალა ხალხის განვითარებისა და განათავისუფლების საქმისთვის მოეხმარათ. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ, როგორც ა. კარაკანივი შენიშნავს, «здесь его последующие оценки, в том числе и той, что стала нашим девизом, нашим знаменем: «Из всех искусств для нас важнейшим является кино»<sup>4</sup>.

სამამულო კინემატოგრაფის აღმოცენება და პირველი ნაბიჯები ყველაზე მეტად ამ განასერში იპყრობდა ყურადღებას — ერთნეული რეპერტუარი, ხალხურ ფოლკლორისა და მშობლიურ კლასიკაზე დაყრდნობა იმის უტყუარი განანტა იყო, რომ რუსული კინემატოგრაფია რევოლუციის შემოქმედი ხალხის სულიერი მოთხოვნებისა სამსახურში ჩადგებოდა და ამით სწორ იდებურ ორიენტაციას აიღებდა, რაც მონდა კიდევ სინამდვილეში. ნოყიერმა ერთნეულმა საწყისებმა და მდიდარმა კლასიკამ გამოიყვება და დაგაგაცავა რუსული კინო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა სამამულო კინოს განვითარებისათვის ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ნ. ნერასოვის, ლ. ტოლსტოის და სხვათა უკვდავი ნაწარმებები, რომელთა ეკრანზიაციისას ახალგაზრდა რუსულ კინოს საკუთარი ძალების რწმუნა და იმედი შეეძება.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში რუსული კინო უკვე თანამედროვე სოციალურ თემატიკა მიმართავს. მართალია, ამ ფილმებში (ს. გლუბიკაცის ხედერი<sup>5</sup>, 1912 წელი, რეჟ. ე. გონაროვი; „მუნჯი მოწყმედი“, 1914 წელი, რეჟ. ე. ბაუერი; „ხვალინდელი დღის ქალი“, 1914 წელი, რეჟ. პ. ჩარდინი) კაპიტალისტური სინამდვილის კრიტიკა ბურჟუაზიულ-ლიბერალური პოზიციებიდან ხდება<sup>6</sup>, მაგრამ მთავარია დაწყება და კრიტიკული ტენდენციებისა, რომლის გაღრმავება, გამწვავება და სასურველი გეზი მხოლოდ მომავლის საქმე იყო.

ამ პერიოდისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, პოლიტიკური დენების გამო, ბოლშევიკური ცენტრის გადაწყვეტილებით, სასულვარგარეთ ცხოვრობდა (1907-1917 წ.წ.). მიუხედავად ამისა, მისი ცხოველი ინტერესი კინემატოგ-





რასისადმი მიიწივს ან წყდება. ვლადიმერ ილიას ძემ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ყოველივეს იცნობდა რა სიხალისე კინოს სამყაროში, სადა, რა მიზნით იყენებენ კინოს, როგორც სიხალისეს, რა ახალი ფილმები გამოდის; თანდათან როგორ დგება კინემატოგრაფი ალმაგალი რევოლუციური ბრძოლის აჯანყარში, როგორ იზრდება მისი როლი ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების საპროპაგანდოდ და ა. შ.

ყოველივე ამის გულდასმით შესწავლა, როგორც ირკვევა; გარკვეული გამოცდილების სიღრმე გამოადგება მას, როცა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის კენჭს უკრავს, პირადად ჩაუდგება სააქტიურო ახალგაზრდა საბჭოთა კინემატოგრაფიის მშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ემიგრაციის წლებში ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, როგორც თვითონ ივსებებს, მრავალი შესანიშნავი ფილმი უნახავს დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით ამერიკის სხვადასხვა კუთხის ცხოვრებაზე. მოგონებთა ამ ციკლიდან ვ. ი. ლენინი ხაზგასმით გამოყოფს კინოს როლსა თუბს, რომლებიც ყველაზე მეტად დამაბნობდა, რადგან ისინი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიღწევებს ეძღვნებოდა. ვლადიმერ ილიას ძე მიუთითებს, რომ ეს ფილმები მოგვიხატობდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების მწარმოებელი მსხვილი ფირმების საქმიანობას, იმაზე, თუ როგორ არ იმუშავებდნენ დიდ თანხებს, რათა საკუთარი მიწებანების სარეკლამოდ ქვეყნებიანთ სასოფლო-სამეურნეო სფეროების ორგანიზაცია. საუკეთესო ტრაქტორებითა თუ, საერთოდ, საუკეთესო მანქანა-იარაღებით ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიები<sup>9</sup>. ცხადია, ამას უწევდებოდა კომერციული მოგებისა და რეკლამის მიზნით, მაგრამ საინტერესო იყო თავისთავად ფაქტი, შედეგი ან, ლენინისეული შეფასებით, შესანიშნავი ფილმების — ესაა სასოფლო-სამეურნეო იარაღების მაღალტექნიკური დონე, რასაც ვლადიმერ ილიას ძე ისეთი კუსტარული ქვეყნისათვის ითვალისწინებდა, როგორც იყო მეფის რუსეთი. საინტერესოა მითითების, რომ რევოლუციამდელ რუსეთში ასეთი ფილმები როგორც ირკვევა, არ უწევდებოდათ<sup>10</sup>. ჩვენი აზრით: უესიტომ თუ ადგილობრივ კინოგამქირავებლებს სიუჟეტისათვის ანუ მხატვრული ფილმები უფრო აძლევდათ ხელს კომერციის მიზნით, ვიდრე საკანამაათლებლო ფილმები.

ამას გარდა ვ. ი. ლენინი პირად საუბრებში ხშირად იფიქრებდა სასოფლო-სამეურნეო ყოფნისას ხახულ „ბრწყინავლად დადგმულ“ ინტელისურ საბუნებისმეტყველო კინოს სფეროდ, რომელიც ვლადიმერ ილიას ძემ მაყურებელს გარეულ ცხოვრებას და ფრინველთა ცხოვრებას. ვლადიმერ ილიას ძეს ყველაზე მეტად ის მოსწონდა, რომ, მისივე სიტყვებით, ინტელისური ბუნების მეთვალყურეობი უდიდესი სტატუსისა აქვდა მანებდნენ, როცა გარეულ ცხოვრებას და ფრინველთა კინოგადაღებას უშუალოდ ბუნებრივ პირობებში ასუბრებდნენ. ამასთან გაფრთხილები აქ ნაჩვენებია არა „ერთგონიერება და ერთფეროვანი ეგვიტეტი“<sup>11</sup>, არამედ მიემოძრა იმ მდიდარი მრავალფეროვნებით, რომლითაც საერთოდ ვეღური ბუნების ჰეიხაყები და მათი ბინადრანი გამოირჩევიან. ყოველივე ამის გამო, ვ. ი. ლენინს მიჰყავს, რომ სათანადოდ ლექციების თანხლებით ასეთი ფილმები მეტად საინტერესო და საინტერესო იქნებოდა, ნაკლებად მომსახურებელი მაყურებლის გასაჯივთარებლად<sup>12</sup>.

ასევე მემორარული ლიტერატურით ირკვევა ჩვენთვის საინტერესო სხვა საკითხებიც. კერძოდ, რომ ვლადიმერ ილიას ძე კუნძულ კაპრზე ყოფნისას ეცნობოდა კინემატოგრაფიის სიხალისებს.

ემიგრაციაში ყოფნისას, 1908 წლის აპრილში, მაქსიმ გორკიმ იგი კუნძულ კაპრზე მიიწვია. 10 (23) აპრილიდან

17 (30) აპრილამდე. მეორედ კი 1910 წელს ესტუმრა მას<sup>13</sup> და თორმეტი დღე დაჰყო 18 ივნისიდან (1 ივლისი) 30 ივნისამდე (13 ივლისი).

ამ პერიოდში მაქსიმ გორკის სტუმარი იყო აგრეთვე იური ჟელიაბუჟსკი (1888-1955), შემდგომ ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორი და ოპერატორი. ი. ჟელიაბუჟსკი თავის გამოცხადებულ მოგონებებში ხაზგასმით მიუთითებს, რომ მაშინდელ კუნძულ კაპრზე ერთ-ერთი კულტურული გასართობი იყო კინემატოგრაფი, რომელიც კვირავი ორჯერ უშობოდა და რომლის არც ერთი პროგრამას გორკი არ გამოტოვებდა. ი. ჟელიაბუჟსკი იქვე შენიშნავს, რომ მათთან ერთად ვ. ი. ლენინიც არა ერთხელ ყოფილა კინოში<sup>14</sup>. ი. ჟელიაბუჟსკის მოგონების მიხედვით, მას მაქსიმ გორკისთან და ვ. ი. ლენინთან ერთად უნახავს ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა ფრანგი კომიკოსი პრენსი.

მუნჯი პერიოდის ფრანგული კინოს ეს პოპულარული მხასობი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი მარლენგ სენორი, კინოში ცნობილია, როგორც რიგადეა, „პრენსი“ კი მისი თეატრალური ფსევდონიმი. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში იგი „პატეს“ ფირმის ერთ-ერთი წამყვანი მხასობი იყო. რეჟისორი ვ. მუნჯა ყოველ კვირას უშვებდა ახალ-ახალ ფილმებს მისი მონაწილეობით. ამიტომაც რიგადენი ითვლება მაქს ლინდერის ერთ-ერთ მეტოქედ<sup>15</sup>.

ი. ჟელიაბუჟსკის მოგონებებში ზუსტად არ არის დასახელებული რიგადენის ფილმი, რომელიც მათ უნახავთ. გადამოცემულია მსოფლიო ომის შინაარსი: ფილმი გმობია ერთი სათითა ქუჩი, რომელსაც ცოლი და ავადმყოფი შვილები ჰყავს. ბავშვების გამოჯანმრთლებისათვის აუცილებელია მათი დასვენება ზღვის აგარაკზე. ერთხელ ქუჩი დაიძაბა თანხა მოიპარა და ცოლს მისცო უღებუა, ფილმის საქმე მოვაგავეთ, ასე რომ ნუ გეშინია, ჩვენი ბავშვები წელს წავეყენ აგარაკზე, მაგრამ ფოსტიდან გამოვა თუ არა, შევხვება ადამიანი, რომელსაც მასზე უფრო ჭირდება ფული და აძლევს კიდევ მან. ამდენად, ქუჩი დიდი იმპულსული ისევე შეზრდნის ფოსტებში და ცოლს ახალი დღეშია გაუცხავს, ცოტა ცელიტებში მოხდა, მაგრამ არ იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება.

ი. ჟელიაბუჟსკის მოგონებით, ფილმის დამთავრების შემდეგ ვ. ი. ლენინს უთქვამს, ეს კომედია შესანიშნავი პამფლეტია ბურჟუაზიულ ქველმოქმედებაზე.

რილის და რასთან დაკავშირებით იხსენიებს პირველად ვ. ი. ლენინი კინემატოგრაფის თავის თხზულებებში?

როგორც ცნობილია, 1861 წლის 19 თებერვალს რუსეთის მეფემ ალექსანდრე II ხელი მოაწერა კანონი განცხადებისათვის რეფორმის, რომლის პირველსული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში. 1911 წლის გასაფხულზე ამ რეფორმის 50 წლისათვის აღინიშნა.

„იუბილე, რომლისაც ასე ეწინააღმდეგებოდა რომანოვების მონარქიას და რომლის გამო ასე გულთბილად ხართბოდნენ რუსეთის ლიბერალები, გადახდებოდა“<sup>16</sup> — ასე იწყებს ვ. ი. ლენინი თავის სტატიას „საკლებო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია, რომელიც (1911 წლის 19 მარტს (1 აპრილს) გამოაქვეყნა გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“). შემდეგ ვ. ი. ლენინი ახასიათებს ლენინისტებებს, რომლებიც მთავრობამ გაატარა მოსალოდნელი პოლიტიკური მულერაქმების თავიდან ასაცილებლად. იგი პირველ რიგში შენიშნავს, რომ მთავრობა „კაპოლიერებით ასაღება „სალხში“ ერთგული კლუბის შერაცხ-

მულ საიუბილეო ბროშურებს<sup>14</sup>, იმ კულმისას, რომელსაც გლადიმერ ილიას ძე სამარლონიანად მიიჩნევდა საერთოდ ერთ-ერთ ყველაზე რეაქციულ პარტიას<sup>12</sup>. ამასთან, ნაზკას-მით მიუთითებს ვ. ი. ლენინი — მთავარად „გადიორენ-ბით აპატირებდა ყველა „საკეჭო“ პირს, კრძალავდა კრებულებს, სადაც მოსალოდნელი იყო ოღონდ მაინც დემოკრატიული სიტყვების წარმოთქმა, აჯარიმებდა და ახ-შიობდა გაზეთებს, სტენიდა „კრამოლურ“ კინემატოგრაფებს<sup>13</sup>.

რომელი ფილმები ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს? საგლახო რევიზიონის საიუბილეოდ რუსეთში მხოლოდ ორი კინოსურათი დაიდგა. ესენია: „19 თებერვლის მანიფესტის წინ“ ანუ „გლეხთა განთავისუფლება“ (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი პ. ჩარდინინი)<sup>14</sup>, რომელიც ვ. ხანციწკოვის სავაჭრო სახლმა გამოუშვა 1911 წლის 16 თებერვალს და ძმები პატკევის „Осенн себи крестным знаменем православный русский народ“ (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ვ. კარინი) (1911 წლის 19 თებერვლის გამოშვება)<sup>15</sup>.

ვ. ვიშნევსკიმ აღწერა ეს ფილმები, მაგრამ არასდ მიუთითებდა მათი არძალაზე, ფილმოგრაფიული მონაცემების შემდეგ კი შენიშნავს, რომ ისინი მიეძღვნა გლეხთა „განთავისუფლების“ იუბილეს.

მაგრამ, როგორც ირკვევა, პ. ჩარდინინისა და ვ. კარინის ფილმები სინამდვილეში მართლაც აკურძალავ ცენზურას და ვ. ი. ლენინიც ამას გულისხმობდა შემოთხოვნაილო ციტატაში.

ა. ხანციწკოვის ფილმის („19 თებერვლის მანიფესტის წინ“) გამოსვლის მეორე დღესვე გაზეთი „რეჩი“ იუწყებოდა, რომ პოლიციის სამმართველოებს დაველათი დუდაქაქის კინოთეატრების ყველა კინემატოგრაფიული სურათის შემოწმება, რომელიც 19 თებერვალს ეხებოა. ამასთან გაზეთი კონკრეტულად ასახელებდა ორ ფილმს. რომელთაც არ მიეცათ საჯარო დემონსტრაციის უფლება. პირველი იყო პატკეს ფილმის სურათი „გლეხთა განთავისუფლება ბატონყმური დამოკიდებულებისაგან“ და მეორე — ფეიგელის ფილმის „მანიფესტის წინ“.

როგორც ვხედავთ, აქ ოღონდ შეცვლილია ვ. ვიშნევსკის შემთხვევაში მითითებული მასალა, კერძოდ, ა. ხანციწკოვის სავაჭრო სახლის ნაცვლად მიხინეწულია ფეიგელის ფილმი, პატკეს ფილმის სახელწოდება კი სხვაგვარადაა, მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის<sup>16</sup>.

რაც შეეხება თვით ფილმების აკრძალვის ფაქტს, უნდა პირდაპირ ითქვას, რომ იგი ერთდროე კიდევ ადასტურებს რაოდენ ბრძოლია ხალხური ანდაზა: „შემს დიდი თვალები აქვსო“. პ. ჩარდინინისა და ვ. კარინის ფილმები სწორედ ისეთი ტიპიური რეაქციულ-პროპაგანდისტული<sup>17</sup> სურათები იყო, როგორსაც ცარიზმის იდეოლოგიის დამკვეთები ითხოვდნენ. ამის დამადასტურებლად ისიც კმარა, რომ „იუბილეს“ შემდეგ ცენზურამ გააუქმა თავისი გადაწყვეტილება და ორივე ფილმს წარმატებით იყენებდა, როგორც მონარქისტულ „აგიტაციებს“; მაგრამ წინასაუბილეო მზადების პერიოდში მათი მთავრობა ეჭვითა და შიშით უყურებდა ყველაფერს, რაც კი „საკეჭო რევიზიონისთან“ იყო დაკავშირებული, მით უმეტეს, თუკი კვრან-ზე აისახებოდა გლეხთა განთავისუფლებისთან დაკავშირებული რამები. ამდენად, ამ თემაზე აგებულ ნაწარმოებებს, რაოდენ უტყვევებელიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მაინც შეეძლოთ ახლებოთ იმპულსი მიეცათ მილოობითიო დამამინებისათვის, რომელთაც ამ ყმადღებულ-ური რევიზიონისდმი აშკარად და სამართლიანად ჰქონდათ მეტად საკეჭო და სახიფათო უკმარისობის გრძნობა.

1908-1912 წლებში ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუსკაია ცხოვრობდნენ პარიზში, რუსული ემიგრაციის ცენტრში, სადაც გადატანილი იქნა გაზეთი „პროლეტარის“ გამოცემა. მის შემდეგ კი, რაც ლევატურად დაიწყო გამოსვლა „პრავდაში“ — 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) — ვლადიმერ ილიას ძემ ლოგოვურად მიიწვია მეტი ტერიტორიული სახალხოვე რუსეთთან. ამიტომაც ისინი პარიზიდან პოლონეთში გადავიდნენ და იქ ცხოვრობდნენ ჰიერეის მსოფლიო ომის დაწყებამდე. ზამთარს კრაკოვში ატარებდნენ, ზაფხულს კი — სოფელ პორონინში.<sup>18</sup>

ვ. ი. ლენინი, მსოფლიო რევოლუციური პროლეტარიატის უკვე აღიარებული ლიდერი, დიდ დახმარებას უწევდა პოლონელ სოციალ-დემოკრატებს, ხოლონების მუშათა მოძრაობას და, ამავე დროს, უშუალოდ ხელმძღვანელობდა „პრავდაში“, თითქმის ყოველდღიურად წერდა გაზეთისთვის. საკმარისია აღინიშნოს, ორ ამ ორი წლის (1912-1914) განმავლობაში „პრავდაში“ ვ. ი. ლენინის 280-ზე მეტი სტატია გამოქვეყნდა სხვადასხვა ფურცლით.<sup>19</sup>

ამდენად, ცხადია, აუცილებელი იყო ნორმალური დასვენება და ა. ნ. კ. კრუსკაია და ვ. ი. ლენინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება გინიერულად გამოეყენებინათ თავისუფალი დრო: სეირნიდნენ სუთა პარკზე, ყვავილოდები მხატვრულ ლიტერატურას, დადიოდნენ კინოთეატრებში. მაგრამ, როგორც ირკვევა, ის ბარათიდან<sup>20</sup> რომელიც ნ. კ. კრუსკაიამ გაუფრავა ლენინის დედას, მართამ აღმქსანდრეს ასულს, 1913 წლის 26 დეკემბერს კრაკოვში ამ დროს ძალიან უაზრო ფილმებს უწევებდნენ. რუსი ემიგრანტები სამ ჯგუფად იყოფოდნენ: „სინისტრებში“ ანუ ისინი, ვინც მაინც ეძლეოდნენ ფილმებს, „ახტისინებისტეში“ და მოილს, სეირნობისტეში“; ვინც თავისუფალ დროს სეირნობაში ატარებდნენ. რაც შეეხება ვლადიმერ ილიას ძეს, იგი, ნ. კ. კრუსკაიას დახასიათებით, „მტკიცე იმპისინებისტი და მეუპოვარი მოსიერე იყო“. თუ კეთილთვისისწიებით იმეორინდელი კინოთეატრების რეპერტურას, ეს ბუნებრივად მოეგჩვენება; მით უმეტეს, უკვე ვიციან ამ რეპერტუარის ნ. კ. კრუსკაიასეული შეფასება.

მართალია, ჯერჯერობით უცნობია ფილმები, რომლებიც ამ პერიოდში ვლადიმერ ილიას ძემ ნახა, მაგრამ ზოგი რამის დადგენა შესაძლებელია თვით ვ. ი. ლენინისავე ნაწერებიდან. ისიც ირკვევა, რომ ზოგ ფილმს დაუმსახურებია ვლადიმერ ილიას ძის ყურადღება, ასე მაგალითად, 1913 წლის 13 მარტს ნ. კ. კრუსკაიას შემოსინეწულ ბარათამდე, მიუღიო ცხნა თვით დარე, გაზეთმა „პრავდაში“ (№ 60) გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის სტატია „ქანისი გამოიღის „მეცნიერული“ სისტემა“<sup>21</sup> სტატიაში ლაპარაკია ამერიკული ინჟინრის ფრედერიკ ტელიორის (1856-1915) მიერ შემუშავებული შრომის ორგანიზაციის განსაკუთრებულ სისტემაზე, რომელსაც სამუშაო დღის მაქსიმალური შესამკდრობლად მარჯვედ იყენებდნენ კაპიტალისტი მწარმოებლები.

„ახლა ვერაპაში, ხოლო ნაწილობრივ რუსეთშიც“ — წერდა ვ. ი. ლენინი, — ყველაზე მეტად ლაპარაკობენ ამერიკული ინჟინრის ფრედერიკ ტელიორის „სისტემაზე“...

რამი მდგომარეობს ეს „მეცნიერული სისტემა“? იმაში, რომ მუშას გამოწუროს სამკერ მეტი შრომა იმავე სამუშაო დღის განმავლობაში. ანუმავენი ყველაზე დონერი და მარჯვე მუშას; განსაკუთრებულ საათით წამებისა და წამის ნაწილებით — აღინიშნვენ დროის იმ რაოდენობას, რაც ინარჯება თითოეულ ოპერაციაზე. თითოეულ მოძრაობაზე; იმუშავენ მუშაობის ყველაზე კონომიურსა და





ყველაზე ნაყოფიერ ხერხებს; საუკეთესო მუშის შრომას აღიქვამენ კინემატოგრაფიულ ფირზე და სხვა.

შედგად კი იმავე 9-11 სასაბუაო საათში უღობილად გამოუღვევენ მუშის მთელ ძალას, გასამკვეცბული სისურაფით გამოსწოვენ დაქირავებული მონის ხერხებს და კუნთებს ენერჯის ყოველ წვეთს. დროზე ადრე მოკვდებიან? — ჭიკმარს იქით სხვა ზეგია.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი ნიშნავს პროგრესს ქსაცის გამოცლას ხელფანებში.<sup>22</sup>

ვ. ი. ლენინი იმდენად სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საკითხის ღრმად განმარტებას მჭიხველთა ფართო მასებისათვის, რომ ერთი წლის შემდეგ ისევ უბრუნდებოდა მას და 1914 წლის 13 მარტს გაზეთში „პუტ პრავდი“ (№ 35) ბეჭდავს სტატიას „ტელილორის სისტემა — მანქანის მიერ აღამაინის დამონება“.<sup>23</sup>

სტატიაში ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებს იმის შესახებ თუ რა მიზნით იყენებენ კინემატოგრაფს კაპიტალისტურ საზოგადოებაში და დაწვრილებით ხსნის ტეილორის სისტემის ასს:

„...სისტემატურად იყენებენ კინემატოგრაფს საუკეთესო მუშის შრომის შესასწავლად და მისი ინტენსიურობის გასაზიადებლად. ვ. ი. მუშის უფრო მეტად „წასაქმზებლად“.

მაგალითად, მიუღი დღის განმავლობაში კინემატოგრაფირდებოდა მონტორის მუშაობა. შეისწავლეს მისი მონტობანი, შემოიღეს განსაკუთრებული სკამი, იმდენად მაღალი, რომ მონტორის ძირს დასახლდებოდა დროის დაკარგვა არ სჭირდებოდა. დამმარედ ბიჭი მიუჩინეს. მანქანის თითოეული ნაწილი ბიჭს მონტორისათვის განსაზღვრული, ყველაზე უფრო მისანშეწობილი წესით უნდა მიეწოდებინა. რადენიმე დღის შემდეგ მონტორი ამ საშუალოს იმ დროის ერთ თ მეოთხედში ასრულებდა, რასაც ის წინათ ანდომებდა.“

ცხადია, ეს შრომის ნაყოფიერების ზრდა, მაგრამ მიუღი უტედრებდა ისაა, რომ „მუშის ხელფასს ერთობად კი არ უმატებენ, არამედ, დიდი-დიდი — ერთხანხვარჯერ, ისიც მხოლოდ პირველ ხანებში, რა წაშს მუშები ახალ სისტემას ეჩვეოდნენ, ხელფასსაც კვლავ წინადადვლ დონემდე უმცირებდნენ, კაპიტალისტი უღდიეს მოგების იღებს, მუშა კი თთხვერ უფრო ინტენსიურად შრომობს, თთხვერ უფრო სწრაფად ქსაცავს თავის ხერხებს და კუნთებს.“

ახლად მიღებულ მუშა მიაკავთ საქარხნო კინემატოგრაფში, სადაც მას მისი საშუაოს „სანიშნოდ“ წარმოებას უწევებენ, აიძულებენ ამ ნიშნულს „დაეწიოს“. ერთი კვირის შემდეგ მუშას კინემატოგრაფში უჩვენებენ მის საკუთარ ნაშუაგარსს და ამ ნაშუაგარსს „ნიშნულს“ ადარებენ.

ყველა ეს უღდიეს გაუმჯობესება, — ხაზგასმით მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — მუშის შინააღმდეგ ხდება: ეს გაუმჯობესებანი იწვევენ მუშის კიდევ უფრო მეტად დათრგუნვას და დაჩაგვრას და ამავე დროს, ზღუდავენ შრომის რაიკონალურ, გონიერულ განაწილებას მხოლოდ „უპროცენტის შიგნით“.<sup>25</sup>

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კაპიტალისტი კინემატოგრაფს სრულიად აშკარად იყენებს მუშათა შემდგომი გაყვლების და წარმოების გათავების მიზნით, მაგრამ იგი, ერთი მხრივ, იმდენად შემზღვეული კონკურენციით, მეორე მხრივ, კი დახარბებულია მოგებას, რომ ვერ ხედავს, რა მოაკყვება ამ „ჩაგვრის იარაღად“ ქვეულ საიხლებს. „ტელილორის სისტემა“ მისი ატრორების დაუციხებავად და წითდა თეთინებურად, — ასეცხის ვ. ი. ლენინი, — აშხადებს იმ დროს, როდესაც პროლეტარიატს ხელთ იგდებს

მიუღ საზოგადოებრივ წარმოებას და თავის, მუშათა კომისიებს დანიშნავს მიუღი საზოგადოებრივი შრომის მართვლად განასწილებლად და მოსაწესრიგებლად.<sup>26</sup> მდგომიერ ილიას ძის დაინტერესება „ტელილორის სისტემითა“ და ამ სისტემაში კინემატოგრაფის როლით სხვა მასალებიდანაც ირკვევს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს 1915-1916 წლები, როცა ვ. ი. ლენინი ემზადებდა თავისი ერთ-ერთი კლასიკური ნაშრომის („იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უღაღადეს სტადია“) დასაწარად. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ცნობილი „რეველები იმპერიალიზმის შესახებ“, რომელსაც ვ. ი. ლენინის თხზულებათა მიუღი ტომი — რიგითი თცდაგვეცხიამეტე დაეთმო.<sup>27</sup> ცნობილია, რა ტიტანური შრომა გასწია ვლადიმერ ილიას ამი ამ რეველების მოსამზადებლად. აქ გამოყენებულია ასობით წიგნი და ჟურნალ-გაზეთი რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე და მით უფრო საკულისსებია, რომ ლენინური კვლევა-იძიების ასეთ ბრწყინვალე ნიმუშებში საინტერსო ჩანაწერებს ვხვდებით კინემატოგრაფზე. უპირველეს ყოვლისა, მას დაუშუალებია 1914 წელს ბერლინში გამოცემული მისი ერთ-ერთი რულოდენ ზეიბერტის წიგნი „ტელილორის სისტემის პრაქტიკულად“ და გავკეთება შემდეგი ჩანაწერი:

„კინემატოგრაფის საშუალებით შეისწავლიან მოძრაობას — ირიბი მდგომარეობა აადვილებს მასალის თვით-ღირებას (ისე, რომ ამ უუფრებდე) etc „არაერთიარ ზედმეტი ან მისამუშეონილი მოძრაობა“ (15)<sup>28</sup>.

ამავე ტომის 143-ე გვერდზე ვეცნობით კინემატოგრაფთან დაკავშირებულ საინტერსო ჩანაწერებს, რომლებიც გავკეთებია ვ. ი. ლენინს ფრანკ ვ. ჯოლბერტის წიგნიდან „მოძრაობის შესწავლა ეროვნული სიმდიდრის მატების თვალსაზრისით“.<sup>29</sup> 165-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: „Die Bank“, 1912, I.

„ტ რ ე ს ტ ე ბ ი ს პ ა ტ რ ი თ ტ ი ზ მ ი“ ლ. ეშვევერე: გერმანიაში შექმნილია ტრესტი ფილმების დამირებელთა შესაყიად (ფირმა პაჰტ, პარიზი) დღემდე არამოგებს 80000 მეტრის ფილმებს, შტერს 1 მარკად მსოფლიოს ყველა კინოთეატრი წელიწადში დაახლოებით 1 მილიარდ მარკა შემოსავალს იძლევა (გვ. 216-17). ეს მრეწველობა გერმანიაში ჩამორჩა, განსაკუთრებით განხვითარებულია საფრანგეთში, გერმანიაში 40-მდე გასაქირავებელი კანტორა ეწევა ფილმების შესაყიდას და „ნიქირავებას“ კინოს მფლობელებისათვის. დაარსებულა ტრესტი „დიდი ფილმინდუსტრია აქციენგვესულშაფტ“ — ფიაკი, სათავეში უღვას დეპუტატი ნაციონალ-ლიბერალი პაჰტე: კაპიტალი — 5 მილიონ მარკა, საიდნაყ „საკმაოდ დიდი წლით“ აშკარად იფარაუდეს გამოიყენონ როგორც „დაამუშენებელთა მოგებას“... აწიობენ მოზობილისა. მოახხხებენ?<sup>30</sup>

**შენიშვნები:**

<sup>1</sup> М. Горький, «Об искусстве», Москва, 1940, стр. 94.  
<sup>2</sup> «Доктринская «Правда» об искусстве и литературе», Москва, 1937, стр. 314.  
<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი. მიუღ ბიოგრაფიული ნარკვევი, მეოთხე გამოცემა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967 წ. გვ. 82.  
<sup>4</sup> А. Караганов, «Сила Ленинской мысли». Вопросы киноискусства. Выпуск 12, 1970, стр. 6.  
<sup>5</sup> Кинословарь в двух томах. Москва, «Советская энциклопедия», т. 2, 1970, стр. 462.



<sup>6</sup> «Самое важное из всех искусств». Ленин о кино, Сборник документов и материалов. Москва, «Искусство», 1963, стр. 53.

<sup>7</sup> С. Гинзбург, «Кинематография дореволюционной России», Москва, «Искусство», 1963, стр. 86.

<sup>8</sup> «Самое важное из всех искусств». Ленин о кино. Сборник документов и материалов. М., «Искусство», 1963, стр. 93.

<sup>9</sup> ი. ა. ელიაშვიტის მოკლემეტრების ციკრებისას ევკლანობით ეურნალ «ისკუსტვა კინოში» (1966 წლის № 4, გვ. 5) გამოქვეყნებულ ისტორიის ა. გავის მასალას.

<sup>10</sup> Ж. Садуль, «Всеобщая история кино», М., «Искусство», 1958, стр. 158.

<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი ტ. 17, გვ. 124.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 124.

<sup>14</sup> ვ. ვიშნევიტსკის კატალოგი, გვ. 16.

<sup>15</sup> იქვე გვ. 17.

<sup>16</sup> დაწერილობით ამის შესახებ იხ. ეურნალი «ისკუსტვა კინო», № 4, 1965, გვ. 8.

<sup>17</sup> С. Гинзбург, «Кинематография дореволюционной России», М., «Искусство», 1963, стр. 115.

18 ვ. ი. ლენინის ცხოვრების ამ პერიოდს ეძღვნება ს. აბრამოვიჩის შესანიშნავი ფილმი «ლენინი პოლინეთში» (1966), «მოსფილმისა» და შემოქმედებითი გაერთიანება «სტუდისი» (პოლონეთი) ერთობლივი ნაწარმოები. ფილმმა დაიმსახურა როზა ვორცხის სახელწოდება პრემია (1967), აგრეთვე ორი საერთაშორისო პრემია კანის (საფრანგეთი) მე-20 სათბილეო ფესტივალზე.

19 ვ. ი. ლენინი. მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი, გვ. 111.

20 ვ. ი. ლენინი, ტ. 37, გვ. 510.

21 ვ. ი. ლენინი, ტ. 18, გვ. 719-720.

22 იქვე, გვ. 719-720.

23 ვ. ი. ლენინი, ტ. 20, გვ. 170-178.

24 იქვე.

25 იქვე, გვ. 176.

26 ვ. ი. ლენინი, ტ. 20, გვ. 178.

27 ქართულად ეს ტომი მთელ ათას გვერდს შეიცავს.

28 ვ. ი. ლენინი, ტ. 39, გვ. 140.

29 იქვე, გვ. 143.

30 ვ. ი. ლენინი, ტ. 39, გვ. 165.

პირველი ფილმი, რომელიც ნამდვილად ნახა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა და რომლის შესახებაც უტყუარი ცნობა გავაჩნია, გასლდათ 1914 წლისათვის ერთობ გახსურებულ კინოსურათი „ბეილისის საქმე“. ფილმი ვლადიმერ ილიას ძეს არ მოსწონებია, ამის შესახებ იგი 1914 წლის 16 თებერვალს კრავკოვიდან წერდა<sup>1</sup> დედას — მარიამ ალექსანდრეს ასულს, რომელიც იმხანად ვოლოგდაში ცხოვრობდა.

რას წარმოადგენდა ფილმი „ბეილისის საქმე“, რით შეეძლო მას მიეყურა ვ. ი. ლენინის ყურადღება?

1913 წელი მეფის რუსეთს საიუბილეოდ გამოაცხადა, საზეიმოდ უნდა აღნიშნულიყო რომანოვების დინასტიის ბატონობის სამსაუკუნოვანი ისტორია. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა მამინდელი რუსული კინოწარმოების მასშტაბური კინოსურათები „რომანოვების დინასტიის გამეფება“<sup>2</sup> (ა. ხანუქოვიის საქცილი საზოგადოება), „300 წელი რომანოვების დინასტიის მეფობისა“<sup>3</sup> (დრანკოვისა და ტალიდიკინის საეჭირო სახლი) და სხვ. მაგრამ, ცხადია, ვერც მასშტაბურ-პომპეზური ფილმები და ვერც სხვადასხვა ფორმებში გამოვლენილი სასუეიმო ცერემონიალები ვერ იძლეოდა იუბილეს მშვენიერიანად და უშტკიევიულად ჩატარების საიმედო გარანტიას, თუკი ხალხის ყურადღება ნაწილობრივ ან დროებით მაინც არ ჩამოეღიადებოდა ქვეყნის მღელვარე პოლიტიკურ ცხოვრებას და აღმავალ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც ასე თანდათან ძლიერდებოდა, ფრთებს შლიდა და თავის რიგებში აერთიანებდა მებრძოლი პროლეტარიატის, მათ შორის, ებრაელთა მოსახლეობის ფართო ფენებს. როგორც ა. ვ. ლუნაჩარსკი შენიშნავს, გაბატონებულ კლასებს, განსაკუთრებით ეკლესიას, უპირველეს ყოვლისა, ეს ვერ უპატიებია ებრაელობისათვის და ამიტომაც ყოველმხრივ ცდილობდა ანტისემიტისმის გაღვივებას<sup>4</sup>. რაც შეეხება უშუალოდ რომანოვების დინასტიის მოახლოებულ იუბილეს, ამ დროისათვის გარდაუვალი გახდა რაიმე ისეთი ყბადაღებული პოლიტიკური სრიკის მოგონება,

რასიც გაწერთნილი იყო კაპიტალისტური სამყარო. „დე-ფიუსის საქმე“<sup>5</sup> ამ დროისათვის უკვე ისტორიის საკუთრებად იყო ქცეული, ასე რომ, ამჯერად მეფის რუსეთმა შეათავაზა მსოფლიოს ახალი სენსაცია, ყოვლად უტიფრად და, რაც მთავარია, უშუალოდ შეითინილი „ბეილისის საქმე“. მეფის იხრანკის მიერ წაქეზებულმა შაერაზმელმა მონარქისტებმა კიევის ზაიცევის აკურის ქარხნის ერთ ჩვეულებრივ მოსამსახურეს მენდელ ბეილისის ცილისმწამებლურად დასდეს ბრალი, რომ მან თითქმის რიტყალური მიზნით მოკლა რუსი ე. ი. ქრისტტიანი ბიჭუნა ანდრეი იუშჩინსკი, ეს ის დრო იყო, როცა მემარჯვენი მონარქისტული ორგანიზაციები და მათი იდეოლოგები ჟოის აგრეცელებდნენ, ებრაელები სააღდგომო მაიცისათვის ქრისტტიანის სისხლს იღებენ და აი, თითქმის ბეილისმაც სწორედ ამიტომ მოკლა იუშჩინსკი, მაშინ როცა ნამდვილი მკვლელები ვერა ჩებერიაკი<sup>6</sup> და მისი თანამარხაველი — რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის მითითების თანახმად, გადაუშალეს სასამართლოს.

1913 წლის შემოდგომაზე (სექტემბერ-ოქტომბერი) კიევი დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელიც მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მეფის იხრანკა და მისი მოსყიდული დამქაშები მსოფლოდ ანტი-სემიტისმის გაღვივებაში ხედავდნენ გამოსაჯლს და ამიტომაც, ყოველმხრივ ცდილობდნენ მოსყიდული „მოწმებთისა“ და „მოსამართლებთისა“, ბეილისის საქმეში სწორედ ეს მხარე წაბოყნათ წინ და ამით მილითინობთ ქრისტტიანების რელიგიურ გრმნობებზე ეთამაშათ. სასამართლოს პროცესში უშუალო პრაქტიკული მონაწილეობის მისაღებად კიევიმ სპეციალურად ჩაივლენ შაერაზმელთა ლიდერები, თვით სახელმწიფო სათითინიროს წევრებიც კი — ზამისლფსკი და შშაკოვი. რაც შეეხება პურნიკევიჩს, იგი საჯაროდ მოუწოდებდა ხალხს შერის საძიებლად. მემარჯვენე გაზეთები თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი უფრო სენსაციურ მასალას გამოცხობდა ანტისემიტისმის

(გაგრძელება მე-14 გვერდზე)



გ. ნიკოლაძე.  
მეგობრები.

ს ს რ კ 5 0  
წლისთავისადმი  
ვიკლავნილი  
გამოფენიდან



რ. სანაძე.  
მუსები.



ი. სხარულიძე.

მემონტაჟები.



გასაძლიერებლად. მაგრამ მსოფლიო პროგრესული საზოგადოება სხვა აზრის იყო და აღსდგა ამ მორიგი, მორსა-მიზნული პროფიკაციის წინააღმდეგ. ამას ტრინი ინსტრუქციის მეშვეობით პროლოგარტა და მოწინავე ინტელექტუალური გორკისა და ვლადიმერ კოროლენკის ხელმძღვანელობით. პეტერბურგში შეიქმნა საგანგებო კომიტეტი, რომელმაც დაემატევა ვლ. კოროლენკის მიერ წერილობით მოწოდება საზოგადოებისადმი. გაიმართა საპროტესტული დემონსტრაციები. მეფის ცარიზმის ახალი უდანაშაულო მხსვერვლის დაცვა ივისრეს ქვეყნის სავეტუსო აღვოკატებმა.<sup>7</sup>

ამდელ ბუნებრივია, რომ კინემატოგრაფსაც უნდა ეთქვა აქ თავისი სიტყვა და აი, მოსკოვის ერთ-ერთმა კინოფორმად („ამხანაგობა „ვარია“) თავის თანამშრომელს, იმხანად ახალგაზრდა კინოოპერატორ ივანე სერვის ძე ფროლოვს.<sup>8</sup> შემდეგში აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, შესთავაზა კვიციმი მივლინება ამ სენსაციური პროექტის გადასაღებად, ეს ამბავი არ გამოპარვია ისეთ მოხერხებულ კინორეჟისორს, როგორც იყო ალ. დრანკოვი, მან დაუყოვნებლივ შესთავაზა „ვარიას“ მფლობელ მადამ შტერნს, შედარებით ახალსა და გამოცდილ კოლეგას, ერთად გადაედოთ ეს პროექტი და დრანკოვის მართვი გამოეშვათ. როგორც ჩანს, მადამ შტერნს წინადაც კომერციული თვალსაზრისით ხელს აძლევდა ასეთი წინადადება და ორივე ფორმის სახელით ი. ფროლოვი კვიცს გაემტავრა. წაიღო როგორც კინო, ისე ფოტოაპარატები. ი. ფროლოვი იცინებდა, რომ მას ჰქონდა ვარკვეული დავალება — რაც შეიძლება მეტად გადაიდო და გადაღებული მასალა დაუყოვნებლივ გაეკვანა მოსკოვში, რათა ალ. დრანკოს იგი სასწრაფოდ გაემტავებინა და ეკრანზე გამოეშვა.

ი. ფროლოვმა შესძლო დავალების შესრულება, გადაიღო ამ სენსაციური პროექტის უნიკალური კადრები. როგორც ვიცით, ვ. ი. ლენინს არ მოეწონა ფილმი „ბეილისის საქმე“ და ამდენად, საინტერესოა, მაინც როგორ უნდა აიხსნას ეს გარემოება, რას ელოდა ვ. ი. ლენინი ფილმში და რამ გამოიწვია მისი იმედგაშეობა.

ი. ფროლოვი დაწვრილებული იცინებდა ფილმის გადაღებას და ამით საშუალება გვეძლევა შევეცადოთ ამ კინოხელოვნებას ვაყენოთ. პირველი, რაც საყურადღებოა ი. ფროლოვის მოგონებიდან, ის არის, რომ ფილმის ოპერატორი გარკვევით მიუთითებს: მან გადაიღო მხოლოდ ორკუთხედიანი ფილმი, მხოლოდ დოკუმენტური კადრები და არაკეთილი ინსცენირება. თავდაპირველად გადაღვია კვიციმის საუბრების სასამართლოს ფსადი, როგორ მიუახლოვდა მას პოლიციის კარტა, რომელმაც გამოარადებული ბეილისი იჯდა, როგორ გადმოვიდა იგი კარტებთან, როგორ მიიყვანეს შემოსასვლელთან და ა. შ. ერთი სიტყვით ყველაფერი აღებულა, რისი გადაღებაც კი ქუჩაში ან ქუჩიდან შეიძლებოდა. მაგრამ საჭირო, აუცილებელი და ყველაზე საინტერესო ის იყო, რაც თვით სასამართლოს დარბაზში ხდებოდა, მაგრამ როგორ გადაიღო ყოველივე ეს. სასამართლო პროცესი უკვე მიმდინარეობდა, კინო და ფოტო რეპორტიორებს კი შივ არ უშეშებდა.

როცა ეს ამბავი შეიტყო ვლ. კოროლენკომ, რომელიც, როგორც პროგრესული რუსი ინტელექტუალის წინამძღვრენელი, საუკეთესოდ ჩამოვიდა კვიციმი პროცესზე დასასწრებლად,<sup>9</sup> მიიღო საჭირო ზომები, მაგრამ თვით მასაც კი საშიშ დღე დასჭირდა იმისთვის, რომ ფოტოგრაფებისა და კინოოპერატორებისთვის დარბაზში შესვლის ნება მიეცათ, თუმცა დარბაზში კინოგადაღება მაინც არ მოხერხდა — სინამდვილე არ ყოფილა. სად იყო მაშინ ნორმალური კინო-

ნოგადაღებისათვის საჭირო ეკვიტრები და პროექტორები, ი. ფროლოვი იძულებული შეიქნა მხოლოდ ფოტოაპარატით ემუშავა. ე. ი. ყველა კადრი, რაც ი. ფროლოვმა სასამართლოს სხდომის დარბაზში გადაიღო, ფოტოგრაფულია და არა კინემატოგრაფული. შემდეგ კი ისინი ხელახლა გადაიღო, ამჯერად კინოფორმით, რათა ცოცხალ კადრებთან ერთად მაყურებელს ნება ის სტატუსური გამოსახულებანი, რომლებიც სხვათა შორის, მაინც ჰქმნიდა წარმოდგენას იმ ვითარებაზე, რად დარბაზში სუფევდა.

როგორც ცნობილია, „ბეილისის საქმე“ ჩაიფურა — 1913 წლის 28 ოქტომბერს მენდელ ბეილისი გაათავისუფლდა.

და აი, როცა განაჩენი გამოიტანეს, ი. ფროლოვმა ისევ მიმართა კინოაპარატს და გადაიღო, როგორ გამოსის სასამართლოს შენობიდან უკვე განთავისუფლებული ბეილისი, როგორ ესალმებინა, ყვავილებს ართმევს და ტაშს უკრავს მას თასობით ადამიანები. შემდეგში ამ მასალას დაუმატა ზაიცვივის ავტორის ქარხნის კადრები, სადაც მსახურობდა ბეილისი; ცინისა, რომელშიც იგი ორი წელი იტანჯებოდა და თბის კარიერისა, სადაც მოკლეული ბავშვის ვაგონი აიძვინა. ყველაფერი და დამონტაჟდა და შეიკრა ერთ ფილმად; მაგრამ ცენტურამ იგი აკრძალა, ცხადია, სიმართლისა და დოკუმენტური სიყვარდის გამო. მაგრამ კერძო შესაკეთებელი კინოფორმა, რომელიც, უპირატეს ყოვლისა, კომერციისა და მოგებაზე შეიქმნა, ამ სენსაციური მასალას საარქივოდ ვერ გაიმტებდა. ამიტომაც, ფილმი „ბეილისის საქმე“ ალ. დრანკოვს და მადამ შტერნსა ამერიკელებს მიჰყვება.<sup>10</sup>

ასე დაწვრილებით იმიტომ გადმოვივით ფილმის გადაღების ისტორია, რომ გარკვეული წარმოდგენა გვეჩინოს და მასზე, მის შინაარსზე, მის ცალკეულ ეპიზოდებზე, მით უმეტეს, რომ იგი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც დაკარგულად ითვლება, ვენ. ვიშნევსკის კატალოგშიც არ არის შეტანილი და ერთადერთი წყაროც მის შესახებ, ჩვენი აზრით, მხოლოდ იგი. ფროლოვის უჭმით მითითებული მოგონებაა. ამ მოგონების მიხედვით კი შევკვიძლი ვივარაუდოთ, რატომ არ მოეწონა ვ. ი. ლენინს ფილმი „ბეილისის საქმე“.

ცხადია, ვლადიმერ ილიას ძე, უპირველეს ყოვლისა, „იოზიდა ფილმის რეკლამა, რადგან „ბეილისის საქმე“ იგი კარგად ეცნობდა და თავის ნაწერებშიც არაკეთილ გამომხატურებას. ჯერ კიდევ ბეილისის გამართლის ერთი თვის თავზე, 1913 წლის 29 ნოემბერს ვ. ი. ლენინი ვერც „ზა პრავდუს“ № 47-ში წერდა, რომ „ბეილისის საქმე“ მეტად „საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია, რადგან მან სასაკუთრების მკვეთრად გამოამკარავა ჩვენი მშენიერი პოლიტიკის მივლი საჩრული, მისი ფარული, „მეწინაა“ და სხვ.“<sup>12</sup> ორივედ თვის შემდეგ კი იგი უფრო დაწვრილებით შეწერდა ამ თემაზე თავის სტატიაში „ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის“, სადაც მიუთითა, რომ „ბეილისის საქმე“ კვლავ და კვლავ რუსეთში მიაპყრობინა ყურადღება მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, გამოამკარავა ჩვენი გამეფებული სამართლის წესები. რუსეთში კანონიერების ნაბატალიც კი არ არის, ყველაფრის ნება აქვს ადმინისტრაციასა და პოლიციას ენაჯივების თავაშეხეულად და უტფორად დევნისათვის — ყველაფრის ნება აქვს, თვით ბოროტმქმედების დაფარვამდე და ჩაფარცხამდე. სწორედ ასეთი იყო შედეგი „ბეილისის საქმის“.<sup>13</sup>

როგორც ვხედავთ, ვლადიმერ ილიას ძე მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ბეილისის საქმეს“, რატორც მეფის ცარიზმის პოლიტიკის ერთ-ერთ სამარცხვინო აქტს და ამიტომაც, როგორც კი მიეცა შესაძლებლობა, ნახა ფილმი.



„ჩვენ აქ სინამდვილეში ვნახეთ „ბეილისის საქმე“ (მელო-  
დრამად გადაუქცევიათ)“ — იწერებოდა ვ. ი. ლენინის კრა-  
კოვიდან 1914 წელს. ვლადიმერ ილიას ძე ეწოდება ყბადა  
დებულ პროცესის უტყუარ, დოკუმენტურ ასახვას, მაგრამ  
სინამდვილეში ამოჩნდა, რომ ეს უაღრესად პოლიტიკური  
და დრამატული ამბავი მელოდრამად გადაუქცევიათ. აქედან  
უნდა ვივსაზღვოთ, რომ, თუ ვლადიმერ ილიას ძემ სუ-  
ლაც არ ნახა ახლად გადაღებული ფილმი, მაშინ ი. ფრო-  
ლოვის გადაღებულსა და უკვე დამონტაჟებულ კინოფილ-  
მას ამ თემაზე საზღვარგარეთ ახალი კადრები დამატა,  
რაც მთავარია, და რამაც გამოიწვია ვ. ი. ლენინის უკმაყო-  
ფილება, მას დამატა ინსცენირებული კადრები, ვ. ი. მსა-  
ხინობისის მონაწილეობით, მაშინ, როცა, ჩვენ ვიცით, რომ  
სასამართლოს დარბაზში ი. ფროლოვის არც ერთი კინოკად-  
რი არ გადაუღა. უცხოელ კინოწარმოებლებს კი ასეთი  
„არგუნიების შევსება შეეძლოთ ფილმში მონატრული ელე-  
მენტის შეტანით, ბევრი მიმგებინა „გმირის“ გამოყვანა  
შეიძლება, დაწყებული თვით მსჯავრდებულებიდან დამ-  
თავრებული მოსამართლეებით.

ჩვენი ვარაუდის გასამართლებლად, საზვასმით უნდა  
მივითვისო, რომ ინფორმირებულ კინემატოგრაფს ასეთი ფილ-  
მების შექმნის საკმაო გამოცდილება გააჩნდა. ბუნებრივია,  
კაპიტალისტურ სამყაროში ყოველთვის ეს განპირობებული  
იქნებოდა თვით კინოზაზრის მოთხოვნილებით და მართ-  
ლაც, ასე იყო. იმის გამო, რომ 900-იანი წლების რევოლუ-  
ციურად შემართული რუსეთი მსოფლიო ყურადღების ცენ-  
ტრში მოხვდა, უცხოელი კინოფაბრიკანტები ყოველმხრივ  
ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი კინომასალა მიეღოთ  
რუსულ თემსაც, ხოლო როცა ყოველთვის ვეღარ ახერხებ-  
დნენ ამას, ყოვლად უტოვრად, თავად „თხოვდნენ“ საკ-  
მაოდ ისტატურად ფალსიფიცირებულ კინოსიუჟეტებს. ასე  
იქცეოდნენ, მაგალითად, ფრანგები, რომლებიც რუსეთ-ია-  
პონიის ომის აეთიკაჟის დროს ამ ომის ინსცენირებულ  
„ქრონიკებს“ დგამდნენ... პარიზში.

ამასთან, ურიგო არ იქნება აქვე გავისწინოთ თუნდაც  
ისევე „დრეიფტის საქმე“, რომელიც თავისი თემატიკით,  
ჩანაფიქრით და შესრულებით მანერით ნამდვილად წინა-  
მორბედი იყო „ბეილისის საქმისა“. როგორც ვიცით, ვოროფ  
მელიცმა ჯერ კიდევ 1899 წელს შექმნა ვ. ი. სტორიული  
ქრონიკა „დრეიფტის საქმე“, ხოლო 8 წლის შემდეგ ფერ-  
დინანდ ზუგამ გადაიღო ფილმი იმავე თემაზე და იმავე სა-  
ხელწოდებით.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვ. ი. ლენინს, რო-  
მელსაც ამ ყბადაღებული პროცესის კლასიკური ხასიათი  
აინტერესებდა, სწორედ ინსცენირების გამო არ მოეწონა  
ფილმი, მაგრამ აქ მხედველობისაკმაში მისაღები არა იმდენად  
ინსცენირების დაბალი პროფესიული დონე, რამდენადაც  
ის გარემოება, რომ ჩვენი აზრით, ვ. ი. ლენინი საერთოდ  
იქნებოდა წინააღმდეგი „ბეილისის საქმე“ გადმოცემუ-  
ლით ყოველტრული კინოს საშუალებით, მით უმეტეს, რომ  
ამ ფანრის კინემატოგრაფს 1914 წლისათვის ჯერ კიდევ არ  
ქონდა ისეთი სერიოზული გამოცდილება, რომ ვ. ი. ლე-  
ნინის მოთხოვნილება და გემოვნება დავკმაყოფილებინა.

კერძოდ, როდის და კრაკოვის რომელ კინოთეატრში ნა-  
ხა ვ. ი. ლენინმა ფილმი „ბეილისის საქმე“?

კრაკოვი ამჟამად არსებობს ვ. ი. ლენინის მუზეუმში.  
1965 წელს უკრანდა „ისკუსტვო კინომ“ გამოაქვეყნა მუ-  
ზეუმის დირექტორის ვლადიმერ ფივის ინფორმაცია,<sup>14</sup>  
რომელსაც თითქმის უნდა გაერკვია ზუსტად როდის ნახა ლე-  
ნინმა ფილმი. მასში მოყვანილი იყო ამინაწერი კრაკოვის  
გაზეთ „ილუსტრირებული ახალი ამბებიდან“ (1914 წლის

28 თებერვალი, № 9) იმის შესახებ, რომ 27 თებერვალი-  
დან 5 მარტამდე სასტუმრო „უნიონის“ კინოთეატრში დე-  
მონსტრირებული იქნებოდა სენსაციური ფილმი „კიევის სა-  
იდუმლობები, ანუ ბეილისის საქმე“.

ამ ინფორმაციით ირკვევა, რომ ვ. ი. ლენინს შეეძლო  
ენახა ფილმი 1914 წლის 27 თებერვლიდან 5 მარტამდე,  
მაშინ როცა სინამდვილეში ვლადიმერ ილიას ძემ ჯერ კი-  
დეც 16 თებერვალს მისწერა დედას ზემოქსენებული ბარათი  
ენი ფილმის ნახვის თაობაზე. ამას გარდა, რაც მთავარია,  
ვლ. ფივის ინფორმაცია სრულიად არაფერს გვეუბნება ჩვენ-  
თვის საინტერესო საკითხზე, კერძოდ, რომელი ფილმი ნა-  
ხა ვ. ი. ლენინმა — ი. ფროლოვის მიერ გადაღებული თუ  
სულაც საზღვარგარეთ დაღებული ამ ყოველ შემთხვევა-  
ში — განახლებული.

თემატური სისრულისათვის აქვე აღვნიშნავთ, რომ ცო-  
ტა მივვიანებით რუსეთში დაიდა მხატვრული ფილმი ამ  
თემაზე „ვერა ჩიბირიაკი“, რომლის სცენარის ავტორი და  
დამდგმელი რეჟისორი იყო ნ. ბრეჟო-ბრეჟოვსკი. ეს ექსე-  
ნაციონალი ფილმი 1917 წლის 25 აპრილს გამოვიდა ეკ-  
რანებზე (კიევის კინოსტუდია „სვეტოტინი“ და საგარეო  
სახელ „სერეი“<sup>15</sup>) ფილმს ჰქონდა სხვა სახელწოდებანიც  
(„სიმართლე ბეილისის საქმეზე“, „სისხლიანი ცილისწა-  
მება“), რომელთაც თითქმის ხაზი უნდა გაესვიათ ფილმის  
ავტორების პროფესიული მისწრაფებისათვის.

ამდენად, ნათელი ხდება, რომ ვლადიმერ ილიას ძე  
ლენინი, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, დიდი  
ხნით ადრე დაინტერესდა კინემატოგრაფიით, რადგან მას-  
ში იმთავითვე დაინახა იდეური ბრძოლის, მასობრივი,  
თვალსაჩინო ავტოკაციის მთავარი იარაღი, მართალია, ამ  
იარაღის მიეღი სინამდვილის გამოყენება მან პრაქტიკუ-  
ლად მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შესძლო,  
მაგრამ ჩვენ მაინც ასე დავწერილობთ შევწერდით ვ. ი. ლე-  
ნინისა და კინოს ურთიერთობის რევოლუციამდე. პერი-  
ოდზე, რამეთუ სწორედ ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი კი-  
ნემატოგრაფის ლენინისეულ გავავას, კინემატოგრაფი ჯერ  
კიდევ არ იყო ქველთი ხელოვნება: იგი მხოლოდ ისრა-  
ფუნდა მოქალაქეობრივი უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ  
ლენინისათვის უკვე ცხადი იყო მისი უდიდესი პოტენციუ-  
რი შესაძლებლობანი და ამიტომაც უყურადღებოდ არ ტო-  
ვებდა კინოს სამყაროში არც ერთ სისხლს. ვ. ი. ლენი-  
ნის იდეებით შთაბრძნელებული ოქტომბრის სოციალისტური  
რევოლუციის ძლევაშიაღად დაკვირვებების შემდეგ კი  
კინემატოგრაფი სახელმწიფო საქმედ იქცა და თავის ღირ-  
სეულ ადგილს იკავებდა მსოფლიოში პირველი სოციალის-  
ტური სახელმწიფოების იდეოლოგიურ ფრონტზე.

საბოლოო კინემატოგრაფიის სათავეებთან მივიღო თავი-  
ნი უდიდესი პრაქტიკულ-თეორიული მოღვაწეობით დგას  
ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომლის უშუალო ხელმძღვანე-  
ლობით დგამდა ახალგაზრდა საბჭოთა კინო თავის პირ-  
ველ ნაბიჯებს. მაგრამ ეს საკითხი სხვა თემაა, უკვე საბჭო-  
თა პერიოდს (1917-1924 წლები) ეხება და მის გაუმუქე-  
ბას სომობის მეორე ნაწილში შევევლივით.

ბ. ლ.

შენიშვნები

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 37, გვ. 517.

<sup>2</sup> ვე. ვ. შენგელის კატალოგი, გვ. 26.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>4</sup> А. С. Тагер, «Царская Россия и дело Бейлиса», с предисловием А. В. Луначарского, М., «Советское законодательство», 1934, стр. 5.



5 1894 წელს რეაქციულმა სამხედრო პირებმა საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერს, ეროვნებით ებრაელ ალფრედ ღრეიფუსს (1859-1935) ცილსწამებლურად დასდეს ბრალი სახელმწიფო დაღატაკობა. უდანაშაულო ა. ღრეიფუსმა მხოლოდ 1906 წელს მიიღო რეაბილიტაცია.

6 ვ. ჩეხობრიაკი ა. იუშინსკის ღვინოცხელი კი არ იყო, როგორც კინოჰეროიკი ი. ფროლოვის მოგონებაში აღნიშნული (ეურნალო „ისესტეო კინო“, 1965, № 4, გვ. 12), არამედ ამხანაგის დედა.

7 ცნობილი ეურნალისტი ვ. ბონი-ბრუევი, რომელმაც მრავალი საყურადღებო მასალა შემოგვინახა ლენინის დამოკიდებულებაზე კინოსთან, სპეციალურად დაესწრო ამ პროცესს. იხ. ში-სი წიგნი

«Знамение времени. Убийство Андрея Ющинского и дело Бейлиса», II изд., М., 1921, стр. 183-184.

8 როგორც ი. ფროლოვი შენიშნავს თავის მოგონებების ხელნაწერში, ტოლსტოის პირველ კინოგადაღებაში (1909 წ.)

ალ. დრანკოვთან და ვ. ვასილიევთან ერთად მასაც მიუღია მონაწილეობა (იხ. С. Гинзбург, «Кинематография дореволюционной России», М., «Искусство», 1963, стр. 47).

9 ეურნალო „ისესტეო კინო“, 1965 წ., № 4, გვ. 12-13. ი. ფროლოვი გარდაიცვალა 1970 წელს ბაქოში.

10 ამ დროისათვის ვ. კოროლენკოს თავად ჰქონდა გადატანილი მიმიე პროცესი, რომელშიც მისი ინტერესები ბრწყინვალედ დამტკიცა სახელგანთქმულმა ქართველმა ადვოკატმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა. იხ. ვ. ევანია „ანდრონიკაშვილი იცავს კორლენკოს“, ეურნალო „დროშა“, 1971 წლის № 10, გვ. 16-17.

11 ეურნალო „ისესტეო კინო“, 1965 წ., № 4, გვ. 13.

12 ვ. ი. ლენინი. ტ. 19, გვ. 612.

13 ვ. ი. ლენინი. ტ. 20, გვ. 258.

14 „ისესტეო კინო“, 1965, № 4, გვ. 11.

15 ეენ. ვიშნევსკის კატალოგი, გვ. 125. ფილმი მონაწილეობდნენ: ი. იაჟოლვევი, ს. კუზნეცოვი, ა. ლუნდინი, ს. ცენინი და სხვ.

## ს ს რ კ 5 0


### ფლისთავისაფი

### მიკვნილი

### გამოფანიდან

ბ. იოსელიანი.

ოსტატები.





ზიდა. რუსთაველის პრისსუქტორ მთლად გაიჭედა ხალხით. ორკესტრებს მოწაფეები შემოსვეოდნენ გარს. იმ სამ დღეს თბილისის ეს ნაწილი თითქოს რაღაც უჭერო და უკედლო სამგლოვიარო დარბაზად გადაიქცა.

მაგრამ მარჯანიშვილის ნიჭმა და ფანტაზიამ უფრო იჩინა თავი, როცა მზე ჩავიდა. ქალაქი ელნათურების შუქმა გაანათა. ალისფერ ცრემლთა წვიმა ციმციმებდა მთელ იმ უბანში.

სიტყვა უძლურია განათებით გამოწვეული შთაბეჭდილების გადმოსაცემად. ვისაც პირადად არ განუცდია ძოწვეული ან მუქი შინდისფერი განათების „ზღაპარი“ ნახევრად ჩამნელბული ქალაქის ცოცხალ ზღვაში, მას არ შეუძლია სრულყოფილად წარმოიდგინოს ჩვენს მიერ იმ გლოვის დამეგში მიღებული, დაუწიყარი შთაბეჭდილება.

მწიფე ბროწეულის მარცვლისფერად ჩამუქებული გარემო, სამგლოვიარო ჰანგები სიმფონიური ორკესტრის შესრულებით, (ზოგჯერ თვით იგივე ჯალათშვილის ხელმძღვანელობით) ვალდისწერ იერს აძლევდა თბილისის შუაგულს.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მარჯანიშვილის „ჯადოქრობის“ შედეგი იყო და, კერძოდ, რამის განათების ეს ზღაპრად ქცევა მან აქვე, განსახკომში, ჩვენ თვალწინ, ჩაიფიქრა. რადგან როგორც კი დავით კანდელაკმა მას მიანდო ჩვენი (ე. ი. მარიამ ორახელაშვილის „ელაკსოცების“ პატარა ჯგუფის) თანდასწრებით თბილისის „გაფორმება“ სამგლოვიარო დღეებისათვის, მან მაშინვე შეკითხვით უპასუხა კანდელაკს: — А кто будет осцениением у нас?

— რატომ გაინტერესებთ განათება? — გაოცებით შევეითხა დავითი. — ოღონდ მომანდეთ და მანათეთ, — შეთქმულის ღიმილით უპასუხა მარჯანიშვილმა: ოღონდ „კარტ ბლანში“\* მიმეცით ამ ხანით, როგორც ფრანგები ამბობენ!

\* ე. ი. თეატრი საშვი (ნებაბაძის ბარათი), რომელიც სრულ უფლებას იძლევა რაიმე ხანით.

# პ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეები თბილისში

რუსულან ნიკოლაძე

მს იმწ ლენინის დაკრძალვის სამგლოვიარო დღეები 1924 წლის იანვარში, რომელიც ჩვენთვის, თბილისელებისათვის, დაუვიწყარ მოგონებად აქცია კოტე მარჯანიშვილის ჯადოსნურმა ნიჭმა და დაუოკებელმა ენერჯიამ.

ლენინის მოედანზე აღმასკომისა და გენერალური შტაბის შენობების წინ, სამგლოვიარო აღლუმისათვის თადიე აივო საპატიო ყარაულისთვის. მოსკოვთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქი, სამხედრო ნაწილი, სასწავლებელი, სახელმწიფო და სამოქალაქო დაწესებულება, მთელი მოსახლეობა ერთობლივად პროლეტარიატის ბელადს.

იმეამად განსახკომში ვმუშაობდი და იქ შევიტყვე დავით კანდელაკისაგან ლენინის გარდაცვალების ამბავი. ვინც არ მოსწრებია ლენინის ხანას, ვისაც უშუალოდ არ განუცდია ამ გენიოსი ბელადის პიროვნების შინაგანი ძალა და ზეგავლენა ყველასა და ყველაფერზე, იგი სრულყოფილად ვერ იგრძნობს, რა შეხი იყო ჩვენთვის ის საზარელი ამბავი. საკრთველის მთავრობა და, მათ შორის, ჩვენი „ნარკომიცი“ (დავით კანდელაკი) მოსკოვში უნდა გაფრთხილებოდნენ დაკრძალვაზე დასასწრებად, განსახკომში კი რჩებოდა მისი მოადგილე მარიამ ორახელაშვილი და ცაკის თამაგდომარე ფილიპე მახარაძე. მათ ევალებოდათ სამგლოვიარო აღლუმის სამოქალაქო ნაწილის ჩატარება. სამხედრო ნაწილი

მთავარი შტაბის ხელმძღვანელობასთან ერთად მიენდო შალვა ელიავას.

გამგზავრების წინ დავით კანდელაკმა აღმასკომსა და სახკომსაბჭოს ურჩია კოტე მარჯანიშვილისათვის მიენდოთ თბილისის „გაფორმება“ სამგლოვიარო დღეებისათვის.

მთავრობამ მისი წინადადება მიიწონა და ბრძანა მარჯანიშვილისთვის ფართო დახმარება გაეწიათ ყველგან, სადაც ეს საჭირო იქნებოდა. კოტე მარჯანიშვილმაც არ დააყოვნა და პირველივე დღიდან ზღაპრულად შეუცვალა სახე თბილისის მთავარ ძაღლს, რუსთაველის პრისსუქტორს.

ამისთვის მან პირველ რიგში პრისსუქტორს შეაჩერა ტრანსპორტის მოძრაობა და ტრამვის ბოძები „შემოსა“ სამგლოვიარო ფერებით — შინდისფერი და შავი ქსოვილი მოხდენილად იყო შეხამებული ერთმანეთთან. სამ თუ ოთხ ადგილას სასწრაფოდ აგებული საორკესტრო ესტრადებიც ჩააყენა, რომელიც ისევე იმავეფერის „ძაბებით“ შემოსა და მათში მოათავსა კამერული ორკესტრები, რომლებიც მორიგეობით ასრულებდნენ სამგლოვიარო ჰანგებს (მეტწილად შოპენის და ბეთოვენის მარშებს). ეს საქმე ოპერის ორკესტრის ხელმძღვანელობას ჰქონდა მინდობილი.

ტრანსპორტის მიმოსვლა სამი დღე შეჩერებული იყო. მდებარეობის ასეთმა გლოვამ და მორთულობამ მთელი თბილისის მოსახლეობა მი-



— გაძლევთ — უბასუხა ჩვენმა კომისარმა და იქვე მოვლავარაკა ვიღაცას ტელეფონით.

იმეამად ჩვენი განსახკომი საოპერო თეატრის გვერდით იყო მოთავსებული, კადეტთა კორპუსის ყოფილ შენობაში; ამიტომ მარჯანიშვილმა, იმ დროს ორივე ჩვენ თეატრთან დაკავშირებული (ოპერისა და რუსთაველის სახელობის თეატრებთან) ჩვენთან დაიდო ბინა. იგი ხშირად დღის უმეტეს ნაწილს ჩვენთან ატარებდა, დაკვითის კაბინეტში. ზოგჯერ კი რომელიმე ჩვენგანს სამუშაო ოთახიდან დროებით დაგვიტოხოვდა და თვითონ მუშაობდა. მოკლედ, ჩვენი განსახკომი, ბატონ კოტეს მისივე განცხადებით თავის „მეორე ბინად“ მიიჩნდა. ჩვენ კი — „ახალი კულტურის“ შექმნისთვის იქ თავმოყრილი ახალგაზრდობა, აბავის შეფუძებლით მასზე უფრო საინტერესოს?

შემდეგში განსახკომის საპატიო სტუმრები იყვნენ ანატოლ ლუნაჩარსკი, ვალერიან კუბიშვილი (რომლის ძმა მაშინ ჩვენი ჯარების შტაბ-

ში მუშაობდა), ოტო შმიდტი, აკადემიკოსი იოფე, სობინოვი, მიგაი (იმ წლების განთქმული დემონი) და ბევრი სხვაც.

მაგრამ ისევ მარჯანიშვილს დაგუბრუნდეთ. მან მე, შატრო კლიმიაშვილი, მარუსია კანდელაკი (ბიძინა კანდელაკის და), ბაბულია კანდელაკი (ნიკო ჯაფარიძის მეუღლე) სამნეო ნაწილის რაღაც შმორიან ნახევრად სადრაფში შეგვიყვანა, დაგვირიგა ფუნჯები და ელნათურებით საესე თითო კალათი, ჯამით დაგვიდგა მუქი წითელი ფერის საღებავი ჯერ თვითონ შეღება ერთი თუ ორი ნათურა, მერე ჩვენ ჩაგვბა ამ საქმეში, დაგვინიშნა დაგვლების შესრულების ვადა, დაგვიკრა თავი და გაიქცა სხვა საქმეების მოსაგვარებლად.

რალა გვეთქმოდა. მივიღეთ დაგვლება და ერთ თუ ორ საათში შეგვასრულეთ, რითაც ძლიერ ვასიამოვნეთ ჩვენს „სასწაულმოქმედს“.

ლენინის გლოვის დღეები დაუვიწყარია ჩემთვის. დღესაც, დრმა მოხუცებულობაში, აუღელვებლად ვერ ვივონებ დასაფლავების დღის სამ-

გლოვიარო აღღუმის სურათის და განცდებს.. განსახკომის „ჯარი“ ჩვენმა მეთაურმა — მარიამ ორახელაშვილმა უშუალოდ სამგლოვიარო თავის წინ დაგვაცხნა. აქედან იწყებოდა სამხედრო ნაწილების სვლაც. აქედანვე აღიოდნენ და ჩამოდიოდნენ საპატიო ყარაულის წყვილებიც.

მაგრამ იმ დღის ნანახიდან განცდილიდან ყველაზე მეტად ჩამრჩა გულში ის წუთები, როცა ქვეშეთა გრიალი მგლოვიარე საპოთა ხალხს აუწყებდა ლენინის კუბის ჩასვენებას მავზოლეუმში. ამ ხმის გაგონებაზე ყველა ჩვენგანმა ერთდროულად დაიჩოქა. იმ წუთში საპატიო ყარაულში ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ ცაკისა თავმჯდომარე ფილიპე მასარაძე და პირველი ქალი მთავრობაში, განათლების საქმის სარდალი მარიამ ორახელაშვილი.

დღესაც, ამდენი წლის შემდეგ, ცოცხლად მიდგას თვალწინ იმ წყვილის ერთდროული მუხლმოყრა თავის თავზე და ფ. მახარაძის სახე.

მათ ნათელ ხსოვნას მოკრძალებით ვუძღვნი ამ ჩემს მოვონებას.

ბ. ტულუმი.

შვიდობის მტრელები.





# მეამე ამიერკავკასიის ხალხთა კინოხელოვნება

აზერბაიჯანული კინო

## ტატა თვალჭრელიძე

მშემომდებელი ცხოვრება დღეს ახლად აგებულ აზერბაიჯანის კინოსტუდიაში, რომლის საწარმოო სიმძლავრე უკანასკნელ წლებში ორჯერ გაიზარდა. მოვიდა ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორების, სცენარისტებისა და ოპერატორების მთელი თაობა, რომელიც მოსკოვის პროფესიულ უმაღლეს სასწავლებლებში დაეფუძვლა კინოხელოვნების სპეციალურად. სწორედ მათ შემოიტანეს აზერბაიჯანულ კინოხელოვნებაში ცხოვრების ახლებური გავება, თანამედროვე გემორის რთული საწყაროს გახსნა, გემორის დაშორებული უმაღლეს საკუთარ თავთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან. სქემატურმა ხასიათებმა, რომელიც არც თუ იშვიათად გვეხვებოდა ადრეულ აზერბაიჯანულ კინოში, თანდათან შეიძინეს სიღრმე, დახატვრებლობა. ახლა კვანძზე სულ უფრო ხშირად გამოდის მაღალი პროფესიული ოსტატობით შექმნილი აზერბაიჯანული ფილმები.

ვინ არიან ეს ახალგაზრდები და რა შექმნეს? როგორ გამოიყენეს პრაქტიკულად უმაღლეს სასცენარო და სარეჟისორო კურსებზე მიღებული ცოდნა?

ამ რამდენიმე თვის წინ მსოფლიო შედევრებს ნახიარვეი მოსკოვის კინოკავშირისა და კინოსახლის აუდიტორიამ ნახა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ეს გასაჭირი არ არის“ (რეჟისორები ი. ბრონშტეინი და ა. ვიგურისი). ყვეტქი მოუღონელი აღმოჩნდა. მოხატული ჩიროს ცხოვრებამ მოხიბლა მაყურებელი. სცენარის ავტორთა აზერბაიჯანული ახალგაზრდა დრამატურგი რუსტამ იბრაგიმბეკოვი, რომელმაც შექმნა რამდენიმე კინოსცენარი: „უდაბნოს მხურვალე მზე“, „ამბავი რეისისა“, „სამხრეთის ერთ ქალაქში“, „კომპოზიტორი ყარა ყარავეი“.

რუსტამ იბრაგიმბეკოვმა, განათლებით ფიზიკოსმა, დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები. მისი სადიპლომო ნამუშევარი „სამხრეთის ერთ ქალაქში“ გადაიღო ახალგაზრდა რეჟისორმა ელდარ ყულიევიმა, ეს უღმში ბეკაბურთი აღმოჩნდა თანამედროვე აზერბაიჯანულ კინოხელოვნებაში და მას „თანამედროვე ქალაქის სოციალისტური გამოკვლევა“ უწოდეს.

სრიათში მოთხრობილია აზერბაიჯანული ქალაქის ერთი უბნის მცხოვრებთა შესახებ. კვანძზე ცოცხლდებიან ცხოვრებაზე სხვადასხვა წარმოდგენის, განსხვავებული წრისა და განათლების ადამიანები. ერთმანეთს ეკაბება პიროვნებათა ემოციულშედეგობა. „მამამ და შევიღეს“ უკვდავი

პრობლემა თავისებურად, მეტად კოლორიტულად წარმოიხატება კვანძზე. ფილმში იგრძნობა ავტორთა დიდი სიბოძო და სიყვარული თავინით გემორების მიმართ. ისინი თანამად გვაჩვენებენ თითოეულ გემორს უარყოფითი, ზოგჯერ სასაცილო კუთხითაც კი. სწორედ ეს არის ცხოვრების თანამედროვე ასახვა აზერბაიჯანულ კინოხელოვნებაში.

„მწამს, როგორ ისტორიულ ფონზეც არ უნდა იშლებოდეს ფილმის გმირთა ცხოვრება, როგორ სიუჟეტიც არ უნდა ედოს ფილმს დაფუძვლად, სურათის თანამედროვეობას განასაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი თანამდინარის დამახასიათებელი პრობლემები და კონფლიქტები“ — ამბობს რუსტამ იბრაგიმბეკოვი და მაგალითად ასახვლებს მის მიერ ახლახანს დამთავრებულ სცენარს „დავიწყებული ავიგისტო“, სადაც მოქმედება ომისშემდგომ პერიოდში იშლება. მისი მიერვე სცენარის („წყნარი დღე ომის დასასრულს“) გადაღებას უკვე შეუდგა ცნობილი კინომანობი მისი ნიკიტა მიხალკოვი, რომელიც ახლა რეჟისურაში ცდის ბედს. ამ სცენარების თემა წარსულს შეეხება, მაგრამ მათში აღძრული პრობლემები აქტუალური და ახლობელია თანამედროვე ადამიანისთვის.

ამას წინათ თბილისის კვანძებზე გადიოდა ფილმი „მთავარი ინტერვიუ“, რომლის რეჟისორთა ელდარ ყულიევი, ხოლო სცენარის ავტორი მაქსუდ იბრაგიმბეკოვი (რუსტამის ძმა) — მწერალი, პუბლიცისტი, უმაღლესი სასცენარო კურსების ყოფილი შამენილი. ამჟამად ორივე ძმა მოსკოვის უმაღლესი სარეჟისორო კურსებზე სწავლობენ. მაქსუდ იბრაგიმბეკოვმა „მთავარი ინტერვიუ“ ჯერ მითხრობდა დაწერა, შემდგომ კი სცენარი შექმნა. აქ მან ბგერი რამ გამოიყენა საკუთარი პროფესიული პრაქტიკიდან.

ადამიანი ცხოვრობს, მუშაობს, ვარჯვეულ თანამდებობასაც აღწევს, მაგრამ ზოგჯერ მის ცხოვრებაში მოულოდნელად დგება მიმინტი, როცა მას საკუთარი ცხოვრების კრიტიკული შეფასების სურვილი უნდებდა და შეძლებისდაგვარად ცდილობს ძველ ფასეულობათა გადაფასებას. ასევე მისდის ჟურნალისტ ზაურის, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მიხვდება, რომ საჭიროა „მთავარი ინტერვიუ“ ჩამოართვას საკუთარ თავს. ამ ინტერვიუში კი ყველაფერი უნდა იყოს ნათქვამი პირდაპირ, დაუფარავად, მოლოდინ გულახდობლივად. ფილმის ავტორები ფუნდამენტ მიჰყვებიან გემორს და კვანძზე ასახავენ ზაურის ყოველდღიურ ცხოვ-



რებას, წყირღმანებასაც კი. ავტორები არ ცდილობენ გამოიგონონ რაღაც მასშტაბური, კონფლიქტური. თავად ცხოვრება ქმნის ბუნებრივად საინტერესო დეტალებს. კაიზო-ღებში, სადაც ავტორები გმირის ყოველდღიურ საქმიანობას, მის შინაგან განწყობილებას გადმოგვიცვენ, კინო-თხრობა მიმდინარეობს საინტერესოდ და საკმაოდ მაღალ მხატვრულ დონეზე. ერთგან ავტორები უსალოტებენ თავი-ანთ პრინციპს — საურის ნაცვლად მისი აშხანაგ ალბათ გაფრთხილება და იღუპება. ცვრანზე მამონე ჩნდება არადა-მავტრებლობა.

ახალგაზრდა აზერბაიჯანულ კინოშემოქმედთა შორის უდავოდ საინტერესოა მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი ანარი. მისი სახელი უკვე კარგადაა ცნობილი სამჭოთა კავშირში, ამას წინათ რეჟისორმა ვ. ბაბაევმა მისი სცენარის მიხედვით გადაიღო ფილმი „დედ მიწურაზე“, სადაც თანამედროვე ახალგაზრდების მიზნებასა და მისწრაფებებს, განუხორციელებელ ოცნებებსა და რეალურ სურველებს უკვადო.

წელს, თბილისში მე-5 საკავშირო კინოფესტივალზე, პრემიების აღიზნება მსახიობების დიდ ისტანდრებისა და აბღუთა მამედოვის ნაიმოვეარი ფილმში „უკანასკნელ უღელტეხილზე“, გარდა ამისა, დიპლომით აღიზნება „სამჭოთა აზერბაიჯანი № 2“, რომლის ერთ-ერთი შემქმნელია დოკუმენტალისტი რეჟისორი ოქტაი მირ-კასიმოვი. ამ რეჟისორმა უკვე რამდენიმე წელია საკავშირო კინომაყურებლის ყურადღება მიიქცია თავისი დოკუმენტური ფილმებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „კომპოზიტორი ყარა ყარაგანი“, „ბაქო“, ორივე ფილმში იგრძნობა რეჟისორის მიერ კინემატოგრაფიის პლასტიკის ღრმა ცოდნა, კინოენის დინამიკის ორგანული ათვისება, დატლიის გამოყენების ოსტატური უნარი, ტემპერამენტი. ან წუთიანი ფილმი „ბაქო“ — ეს არის კინემატოგრაფიული ექსპერიმენტი, გამომოწონებლობისა და, რაც მთავარია, მხატვრული გემოვნების შესანიშნავი ნიმუში.

აზერბაიჯანული კინოხელოვნების ახალგაზრდა კადრები ერის თავისებურებიდან გამომდინარე აქტიუალურ თანამედროვე პრობლემებს სვამენ. ლაპარაკობს საინტერესოდ, აზრიანდა. მათ გათვალისწინებული აქვთ ყველა ის კამარჯება და მარტბი, რომელიც განვლილ აზერბაიჯანულში: კინოხელოვნებაში ამ 50 წლის მანძილზე. გზა კი დიდი, რთული და დაბრკოლებებით აღსავსე იყო.

აზერბაიჯანის კინოხელოვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე არსებობდა. აქვე სამოღვაწეოდ ჩამოიღიდნენ სხვა სტალინის რეჟისორებიც, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინიდან. უხუცესმა ქართველმა კინოთხრობატორმა გასილ ამამუეკლმა სწორედ აქ დაიწყო თავისი კომუნისტური ფილმების გადაღება. ნიკოლოზ შენგელიამ აქვე შექმნა „26 მომხიარული“.

1916 წელს აქციონურმა საზოგადოება „ფილმაპ“ ბაქოში რამდენიმე სურათი გადაიღო: ორკრიანი, „მილიონებისა და ნათობის სამფლობლოში“ იბრაჰიმზე მუსაბეგოვის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. მასში მონაწილეობდა უნიკური თეატრალური მსახიობი ჰუსენ არამ-ლინკა; მოუცემეტრავიანი ფილმები: „სიყვარული უფრეს-საცემოდ“, „მეუღლე“ და სხვა. მაგრამ ეს ფილმები რევოლუციამდელი კინოპროდუქციის საშუალო დონეს ვერ გასცდნენ.

შეადრებით უფრო საინტერესო მოვლენა იყო 1917 წელს ბ. სვეტლოვის მიერ დამგული კომედია „არშინ მალ ალანა“, მაგრამ აზერბაიჯანული ეროვნული კინოხელოვნების საწყისად მაინც რევოლუციური კინოქრონიკა უნდა ჩაითვალოს.

1920-21 წლებში მანძილზე აზერბაიჯანში გადაიღეს

„აღმოსავლეთის ხალხების I ყრილობის გახსნა“, „ბაქოს 26 კომისიის დაკრძალვა“ და სხვა.

ცნობილი მხატვარი-რეჟისორი ვ. ბალიუევი და თერბატორი ვ. ლემეე 1924 წელს იღებენ პირველ ორსერიან აზერბაიჯანულ სამბოთა მხატვრულ ფილმს „ლეგენდა ქალწულის კომედი“. აზერბაიჯანის ცნობილ მსახიობებთან (ი. იდიბატ-ხადე, კაიხმე ზიად, ვ. ახერი) ერთად მავტრებლის წინაშე წარდგნენ სომეხი ტრაგიკოსი ვაგრამ ფაფაზიანი და „ითილი ემეკაბეის“ მონაწილე ზ. ფოხევი.

ფილმის სიუჟეტს საუბრედად დავით ლეგენად ხანზე, რომელსაც საკუთარი ქალიშვილი შეუყვარდა. ხანი მას დააშორებს შეყვარებულს და კომში ჩაამწყვდევს, საიდანაც ქალიშვილი კასიბის ტალღებში გადაეშვება.

ამ ფილმებში ავტორები აგრძელებენ „ევოლუციური აღმოსავლეთისა“ და მელოდრამატული მიმდებნის ხაზგასმას.

სამჭოთა ხელისუფლების დაწყების პირველსავე წლებში აზერბაიჯანში დისახა ორი მთავარი პრობლემა გადაწყვეტის საჭიროება: ეროვნული შუღლის მოსპობა და ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ.

დაიწყო ძველის წერვა. ცხოვრება თავად კარნახობდა აზერბაიჯანულ კინოხელოვნებას თემებისა თუ პრობლემებს და პირველი აზერბაიჯანული მხატვრული ფილმები სწორედ ამ ზრძოლასა და ძიებას ასახავდნენ.

1925 წელს პროპაგანდისტული მიზნით შეიქმნა ფილმი „ღმერთისთვის“ — სცენარის ავტორი პ. შლიანოვი, დამდგმელი — დრამატული თეატრის მსახიობი და რეჟისორი ა. შარიფ-ხადე.

ამ პერიოდში აზერბაიჯანში მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლა მუსულმანური რელიგიის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი წინააღმდეგობის, „შახსენ-ვასიესის“ წინააღმდეგ. ფილმი „ღმერთისთვის“ ამ საკითხს ეხებოდა. ფილმის დოკუმენტურ კადრებში აბდელკობი იყვენ მებრძოლ შერებები დღე ექსტრემად მისული ფანატიკოსები, მისტიკური სიმღერებითა და ვოდებით. ისინი ურჯუკულად ისახიჩრებდნენ საკუთარ სხეულს. ცნობილია, რომ ამ სცენების გადაღების დროს რეჟისორი და თეატრალური ძლივეს გადაურჩნენ ფანატიკოსებს, რომლებმაც შეაძინეს, რომ მათ აპარტით იღებდნენ. ფილმი ილამჭრება ჩამორჩელობის, ფანატიკიზმის წინააღმდეგ. აზერბაიჯანული თეატრის ცნობილი მსახიობი მ. ალიევი მოლას როლში ნიღაბს ხდიდა მუსულმანური რელიგიის მასხურობ.

გასაკებია, რომ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში, როცა მრავალრიანი აზერბაიჯანი მწყვადებოდა ეროვნული შუღლი და ძირითადი იყო მართებელი იდეის პროპაგანდა, ფილმების მხატვრულ ხარისხს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ალბათ ამან გამოიწვია იმ პერიოდის უმეტესი აზერბაიჯანული სურათის პროფესიული სიღარიბე, დაბალი მხატვრული დონე.

ფილმს „ღმერთისთვის“ მოჰყვა მთელი რიგი კინონაწარმოებისა: „გილიანის ქალიშვილი“, „ყავა-ყარა“, „სახლი ელვანზე“, „ისმეტი“, სადაც აგრეთვე პროპაგანდისტული ამოცანები იდგა. ყველა ეს ფილმი საყავა აღმსარებელი ევოლუციის შტამებით, რომლითაც სასიათებოდა საერთოდ რევოლუციამდელი აზერბაიჯანული კინო. მაგრამ ჩანდა შორეული, საიმედო კონტრუქციები. კინომ თანდათან მიიჩნედა ცნობილი აზერბაიჯანული მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. 1923 წელს დაარსდა აზერბაიჯანის ფოტოკინოსამწარმოებელი (აფსკ), რომლის თავმჯდომარედ 1924 წელს დაინიშნა ნიჭიერი ორგანიზატორი შამილ მაამუდბეგოვი. სწორედ მისი ინიციატივით 1935 წელს დაარსდა დამოუკიდებელი სტუდია, სადაც ამზადდებდნენ რეჟისორების, მსახიობებისა და სცენარისტების ეროვნულ კად-





სხვაგვარი ჯანრების წაწარმოებები, სინამდვილის შესაფერისი ვერაღებლობა მისცენ ვერანა.

პირველი მხივანი აზერბაიჯანელი ფილმის „ალმასის“ შემდეგ ახალგაზრდა რეჟისორი ს. მარდახოვი 1939 წელს დამს „აქადლიარსა“ („გლეხები“), სადაც მოთხრობილია მოღვევიების ხელმძღვანელობით აზერბაიჯანელი გლეხების ბრძოლის ისტორია მუსავრატუნა მთავრობის წინააღმდეგ. მასიობებმა ა. ალექსანდროვმა ახალგაზრდა აშუღ ჰაი და მირის საიბერგუსო სახე შექმნა.

სამამულო ომის დროს აზერბაიჯანში ძირითადი ქრონიკალური ფილმებს იღებდნენ, რომელთა შორის მნიშვნელოვანია „ბახტიარი“, „წყაღქმემა ხაჯი I — 9“ და სხვა, რომლებშიც კარგად იყო ასახული ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლის ამ პერიოდის ფილმებიდან აღსანიშნავი იყო აგრეთვე ბეკ-ნაზაროვის „საბუხი“, რომელშიც მონაწილეობდნენ ზ. სოტგიაური (ორბლიანი) და გ. პიპინაშვილი (აბოვიანი).

ომისშემდგომ წლებში ვერანზე გამოდის რ. ტახმასიანის და ნ. ლეჟინის რეჟისორობით დადგმული „არშინ მალ-ალანა“. ამ ფილმს განსაკუთრებული პოპულარობა ხვდა; მაგრამ ნამდვილ შემოქმედებით გამარჯვებად შეიძლება ჩათვალის 1957 წელს გადაღებული ფილმი „ორნი ერთი კვარტალიდან“ (რეჟისორები ზ. იბრაგიმოვი და ი. გუმრთხი). ფილმში ფსიქოლოგიურად საინტერესო და დრამატულადმა მოთხრობილი ორი მეგობრის ამავე, რომელთაგან ერთი ხალხის ზედნიერებისათვის ბრძოლის იდეალებს ერთგული რჩება ბოლომდე, ხოლო მეორე პირილი კეთილდღეობის გამო ამ იდეალებს დალტვინა. კომპოზიტორმა ყარა ყარაევიმა და ოპერატორმა მარგარიტა პილინინამ დიდად შეუწყვეს ხელი ფილმის ემოციური მხარის აქცენტებსა, აღმოსავლური კოლორებისა და ფილმის მსატრელო დაბაძვლების შექმნას.

50-60-იანი წლების აზერბაიჯანულ კინოსელოვნებაში აღსანიშნავია აგრეთვე რეჟისორ ტაგი-ზადეს მიერ ი. კარეოვისა და დ. სეიდბეილის მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი „შორეულ ნაპირებზე“. სურათში შექმნილი საბჭოთა კავშირის გმირის მეტტი ჰუსეინ-ზადეს საინტერესო იერსახე.

საინტერესო შემოქმედებით მუშაობას ეწევა ამ პერიოდში რეჟისორი ჰ. სეთი-ზადე, რომლის ფილმებშიც „ის თუ არა ეს“, „ქორ-ოლი“, „დაუმორჩილებელი ბატალიონი“ და სხვ. შორს გაუთქვენს სახელი აზერბაიჯანულ კინოს.

60-იანი წლების დასასრულიდან „აზერბაიჯანელი“ ჯანვარ ჯაბარლის სახელი მიიწიება. სტუდია ხშირად მიმართავს ჯაბარლის პიესებს, სცენარებს, ანვითარებს მის მიერ ვერანზე დაწერილ ჯანს — მუსიკალურ კომედიას. ერთერთი ასეთი მუსიკალური ფილმი „ვიცეკვებ“, რომელიც მოგვითხრობს სახელგანთქმული მოციკეკვის მაქმულ ესემბაევის შემოქმედებით გზაზე აღსანიშნავია, რომ ამ ფილმში მონაწილეობდა ქარევილი მასიობით ა. ლაშოვი.

1962 წელს შედგა ფილმის „შორეულ ნაპირებზე“ ერთ-ერთი ავტორის გ. სეიდბეილის რეჟისორული დებიუტი, რომელმაც საკუთარი სცენარით გადაიღო „ტელეფონისტი ქალი“. ფილმმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმატებით წარსილებული სიღებედი კვლავ თანამედროვეობის თემას მიმართავს და საკუთარი სცენარით ქმნის ფილმს ბაქოელ მენავთობთა გმირული ცხოვრებაზე. მისი მიმდევრო დეტექტიური კინოსურათია „იქით ქალიშვილი“ მილიციის მუშაკების კვილმობობურ საქმიანობაზე მოგვითხრობს.

მაქმულ იბრაგიმეოვის სცენარის მიხედვით 1970 წელს გ. სეიდბეილი იღებს ფილმს „მახსოვრობა მასწავლებელს“. ქიშის მასწავლებელს ჯამის თვალს ავლია და ომში არ მიჰყავთ, ეს კეთილი, ფიზიკურად სუსტი ადამიანი ნამდვილად სულთ ძლიერი, მტკიცე და უპრობრობისა. მასიობით ა. ალექსანდროვი სწორედ ასეთ ხასიათს ხატავს. მისი გმირი უნებართობა და კრიტიკული სისპეტაკის განსაბიერება და სწორედ ასე ზრდის იგი თავის მოსწავლეებსა.


1967 წელს საკავშირო ვერანზე გამოვიდა ა. იბრაგიმოვის ფილმი „26 ბაქოელი კომისარი“. ფილმი გადაწყვეტილია ფართო ეპოქა მანერაში, მოგვითხრობს კომისარის კავაკაური ბრძოლისა და მათი ტრაგიკული დაღუპვის ამბავს. ნ. შენგელაიას ფილმისაგან განსხვავებით, იბრაგიმოვი გადაძღვეს თითოეული კომისარის ხასიათის ინდივიდუალუხაცისა. ასეთივე მაღალი რეგულაციური რომანტიკის სტილშია გადაწყვეტილი აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსის ნ. ვურდულის „კომკავშირული პოეზის“ ვერანისაც, რომელიც განახორციელა რეჟისორმა ტ. ტაგი-ზადემ. ფილმს „ჩემი შვიდი ვაჟიშვილი“ ჰქვია. მასში კონფლიქტ ტრაგიკულად ვითარდება, კონტრეგულაციური ძალებთან შეჯამებაში იღებება კომკავშირის რაზმის ექვსი წევრი. მაგრამ ფილმი ოპტიმისტური გამოვიდა, რადგან გადარჩენილი ბახტიარი აგრძელებს დაღუპული მეგობრების საქმეს. 1970 წელს ჯ. ჯაბარლის პიესა „ახილი“ კვლავ გამოჩნდა ვერანზე — ამჯერად გ. გორიკოვის მემუნიებით. აქაც ფილმის ცენტრალური პირობებმა აზერბაიჯანული ქალის განათავისუფლება საუკუნეობრივი სოციალური ხუნდებისაგან.

ქალექ სუფიათის ახალგაზრდა მეტალურგების ცხოვრებასა და შრომაზე მოგვითხრობს შ. მახმუდოვის ფილმი „ცხოვრება ცეცხლის“ (სცენარი ჯ. ბაბაილისა და მ. პაპაევის), რომელიც საინტერესო კუთხით ასახავს ქალქისა და სოფლის ურთიერთდამოკიდებულებას. ახალგაზრდების მიერ საკუთარი გზის გაკვლევის პრობლემებს მიუძღვნა თავისი ნაშეუვაარი „იქ, სადაც საჭირო ხარ“ რეჟისორმა ი. ეფენდიევმა.

ამას წინათ თ. ისმაილოვის სცენარითა და რეჟისორობით ვერანზე გამოვიდა ფილმი „მღერის მუსლიმ მკოლიაევი“ (კომპოზიტორი ბიულ-ბიულ-ლილი). მუსლიმ მაგომაევი მალე წარსდგება მაყურებლის წინაშე დრამატული სხაბიობის ამბულაში. იგი მთავარ როლს ასრულებს ა. იბრაგიმეოვის სცენარის მიხედვით ა. ბაბაევის მიერ შექმნილ ფილმში „მე ვიცი შენი სახელი“.

აზერბაიჯანულ კინოსელოვნებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ დოკუმენტურ ფილმებს. ესენია: „აზერბაიჯანი... აზერბაიჯანი“ (რეჟისორი ი. ეფენდიევი), „ოღონის ცოცხალი გული“ (რეჟისორი ზ. კიაზიმოვი), „ნარიმან ნარიმანოვი“ (რეჟისორი მ. დადაშევი) და სხვა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რეჟისორი რომან კარანის „თქმულება კასპის მენავთობებზე“, რომელიც 1953 წელს აიღის გადაღებული. 1954 წელს ამ ფილმმა კანის საერთაშორისო კინოფესტივალის პირველი პრემია მოიპოვა, ხოლო ფილმის გაგრძელება „ზღვის დამყვრობი“ კი 1960 წელს ლინზური პრემიით აღინიშნა. იმავე ფილმმა 1959 წელს მისიუვის კინოფესტივალის ვერცხლის მედალი მოიპოვა.

აზერბაიჯანის კინოსელოვნება ძიების გზაზე, რაც მისი მომავალი გამარჯვების საწინდარია.



ს ს რ კ 5 0  
ფ ლ ი ს თ ა ვ ი ს ა ლ ზ ი  
მ ი კ ლ ვ ნ ი ლ ი  
გ ა მ ო ჯ ა ნ ი დ ა ნ

მ. ზეიტა.  
შემოდგომა.



ჯ. ცინდელანი.  
ჩაუკრობელი კერა.



# უზბეკური მუსიკის დღეები საქართველოში

ლეილა კაკაბაძე

დღიში დღე ფართოვდება, ღრმავდება და მტიკიდება ქართველ კომპოზიტორთა საქმიანი და შეგორული ურთიერთობანი მომეც რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის წარმომადგენლებთან. ამასთან დაკავშირებით მრავალი ღონისძიება ხორციელდება. ამ რამდენიმე ხნის წინათ ქართველ კომპოზიტორთა და შემსრულებელთა ჯგუფი შემოქმედებითი ანგარიშით წარსული უზბეკურის მუსიკალური საზოგადოებრიობის წინაშე, ნოემბრის პირველ რიცხვებში კი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა ჩაატარა უზბეკური მუსიკის დღეები. ეს ღონისძიება, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, მისმა ბუნებრივად გამოირჩეოდა და დიდი რეზონანსი მძიოვა.

პირველად ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში ესოდენ ფართოდ და მრავალმხრივად აქვრდა უზბეკური მუსიკა, რომელსაც გაეცნენ არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მშრომელები და ინტელიგენცია.

ამ ღირსშესანიშნავ დღეებში საქართველოში ჩამოვიდნენ უზბეკური მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: უზბეკეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, მუსიკისმცოდნე ა. ჯაბაროვი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი მ. აზრფი, უზბეკეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი, კომპოზიტორები: ი. აკ-

ბაროვი, ს. ბაბაევი, მ. ბურხანოვი, გ. ბიენკო, ს. იუდაკოვი, კომპოზიტორები ს. ჯალილოვი და რ. აბდულაევი, უზბეკეთის დამსახურებული არტისტები — დირიჟორი გ. ტულიაგანოვი და მომღერლები ტ. შარიპოვი და რ. იუნუსოვა, ახალგაზრდა შემსრულებლები, შუა აზიისა და ყაზახეთის რესპუბლიკების მუსიკოსთა კონკურსის ლაურეატი, მევიოლინე მ. იუნუსხანოვი და ნავთის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი მ. ხოჯანიშოვი.

უზბეკური მუსიკის დღეები დიუნეუტ სტუმრების კამერული მუსიკის კონცერტო, რომელიც უზბეკ და ქართველ შემსრულებელთა მონაწილეობით ჩატარდა გ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ამ კონცერტმა ნათელყო, ხოლო მეორე დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულმა სიმფონიური მუსიკის კონცერტმა განამტკიცა აზრი უზბეკი კომპოზიტორების ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის, მსატერული ინტერესებისა და ამოცანების მრავალფეროვნების შესახებ. თვალსაჩინო იყო მათი მისწრაფება გამოხატონ კოქიის მათსი ცემა და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები, ამასთან გამოვლინდა უზბეკური სამემსრულებლო ხელოვნების მაღალი დონე.

მსმენელები გაეცნენ სხვადასხვა

თაობის უზბეკ კომპოზიტორთა შემოქმედებას, მათ შორის გამოჩენილი კომპოზიტორის მ. აზრფის ერთნაწილიანი სიმფონიისა და პოეტურ სავიოლინო პიესას — „უსიტყვო სიმღერა“, რომელსაც შთამბეჭდავად ასრულებდა ახალგაზრდა ნიჭიერი მევიოლინე მ. იუნუსხანოვი. მხოლოდური სიმდიდრითა და მკაფიო ერთეული კოლორითი ყურადღება მიიქცის მ. ბურხანოვის ნაწარმოებებმა, მათ შორის გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერილი „ოდამ ღენიური პარტიისაში“. მრავალმხრივად იქნა ნაჩვენები კომპოზიტორ ს. იუდაკოვის შემოქმედება: შესრულებულ იქნა, ერთი მხრივ ჟანრული ხასიათის, ნათელი იუმორით აღსავსე ნაწარმოებები (1 ნაწილი საკვარტეტო სუიტადან, მოსამართლის არია ოპერადან „მაისარის ოთენი“ და სხვა), ხოლო მეორეს მხრივ აქვრდა ღრმა ლირიკული ნაწარმოებები. მხედველობაში გვაქვს პოემა-რადსოლი სიმფონიური ორკესტრისათვის.

ახალგაზრდა კომპოზიტორმა რ. აბდულაევიც ყურადღება მიიქცია სიახლის მძაფრი შეგრძნებითა და გამომსახველი საშუალებების გაბედული გამოყენებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და „მოთქმე წყალი“ ვიოლური ცეკლიდან „ხიროსიმაჯა“, რომელსაც დიდი შინაგანი წვით ასრულებდა საოცრად ლამაზი ტემპრისა და ფართო დიაპაზონის ბანის ახალგაზრდა მომღერალი მ. ხოჯანიშოვი.

საინტერესოდ გაინთვანა აგრეთვე ს. ბაბაევის არამ ოპერიდან „ბამზა“, სიმღერებმა „მამის მემკვიდრეობა“ და „გული ჩემი“. გ. ბიენკოს ხმისა და ორკესტრისათვის დაწერილი კონცერტის ფინალმა და სავიოლინო იმპროვიზაციებმა პაზირის თემაზე.

გარდა ამისა, შესრულებულ იქნა ი. აკბაროვის, გ. სადიკოვის, ე. კალანდაროვის, გ. მუშეის, გ. აზიშოვისა და ს. ჯალილის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები.

კონცერტმა გამოაჯივინა უზბეკ შემსრულებელთა ოსტატობა. მსმენელებმა ღირველად შეაფასეს დირიჟორ გ. ტულიაგანოვის, მევიოლინე მ. იუნუსხანოვის, მომღერლების — ტ. შარიპოვის, რ. იუნუსოვას და მ. ხოჯანიშოვის ხელოვნება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ჰერსაკეტულ შემსრულებლად წარმოგვიდგინა, საყვერდოვან მხასთან ერთად. მსატერული გარდასახვის დიდი უნარი და ჭეშმარიტი არტისტიზმითაა



დავილოდებულნი, რაც მსმენელებზე დიდ ზემოქმედებას ახდენს.

უზბეკი მუსიკოსები ეწვევიან საქართველოს მთელ რიგ ქალაქებს: ბორჯომს, თერჯოლას, ფოთს, სოხუმსა და ა. შ. მათ თან ახლდნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სამჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ბალანჩივაძე, კომპოზიტორები, მუსიკის-მცოდნეები.

სტუმრები არა მარტო აცნობდნენ ადგილობრივ მუსიკალურ საზოგადოებას თავის ერთგულ ხელოვნებას, არამედ დიდი ინტერესით ეცნობოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალურ ცხოვრებას, გატაცებით ისმენდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

დაიდი ოქტომბრის 55 წლისათვის სადღესასწაულო დღეებში ისინი ფოთში იმყოფებოდნენ. უამინდობამ ვერ იმოქმედა სტუმრებისა და მასპინძლების სასუიშო განწყობილებაზე. ფოთის მუსიკალური სასწავლებ-

ლის მოსწავლეთა გუნდმა უზბეკ კომპოზიტორებთან გამართულ შეხვედრაზე სხვა ნაწარმოებებთან ერთად შუა აზიის რესპუბლიკების ხალხთა რამდენიმე სიმღერა შეასრულა. სტუმრებმა ფოთის მუსიკალურ სკოლაში დიდი ინტერესით მოუსმინეს არჩილ ხორავას ხელმძღვანელობით ახლანან ჩაიშვილიძის ხალხთა ვოკალურ ანსამბლს „შოუ-ნანას“, რომელიც მიზნად ისახავს დასაგლეხთ საქართველოს მივიწყებულ, ნაკლებად ცნობილი ხალხური სიმღერების შერკრებასა და პოპულარიზაციას.

გულთბილად შეხვდნენ უზბეკ მუსიკოსებს აფხაზეთის ასსრ მშრომლები. სოხუმის მუსიკალურ სკოლაში სტუმრების პატივსაცემად გამართული კონცერტის პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობოდა უზბეკ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. მოსწავლეებმა შეასრულეს ბ. გიენკოს საფორტეპიანო პიესები ციკლიდან „უზბეკური აკვარელები“, მისივე ცალკეული პიესები; მათ შორის,

„სახალხო სეირნობა“, ხოლო უზბეკ მუსიკოს ს. ლოგუამ შეასრულა ს. იუდაკოვის სიმღერა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე უზბეკმა შემსრულებლებმა.

თავის სიტყვაში უზბეკ მუსიკოსთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. ჯაბაროვმა აღნიშნა უზბეკ ხელოვანთა მჭიდრო კავშირი თავისი ხალხის ცხოვრებასა და ინტერესებთან. ამ სიტყვების ნათელ დემონსტრაცია იქცა ის სიხარული, რომლითაც უზბეკი მუსიკოსები შეხვდნენ ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას უზბეკეთის მშრომლების მიერ სახელმწიფოსათვის ბაზმის ჩაბარების გეგმის დროულად და გადაჭარბებით შესრულების შესახებ.

საქართველოში უზბეკური მუსიკის დღეებმა კიდევ უფრო განამტკიცეს უზბეკ და ქართველ მუსიკოსთა ურთიერთ სიმპათიები და მეგობრობა.

# ახალგაზრდული გაგებითა და იუბილე

მზია ხოსიტაშვილი

საპარტემპოო სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში შედგა გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოე გრუზიის“ 55 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

იუბილეზე თავი მოიყარეს ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა — შურნაღის-ტემა, შვერლოებმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა

მუშაკებმა; შრომის ვეტერანებმა, სტუმრებმა.

საზემო სხდომა გახსნა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი ა გ ა მ რ ე ე კ ე ლ მ ა.

მოსხენებით — „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდიოე გრუზიი“ — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის აქტიური მებრძოლი — გამოვიდა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის

პირველი მდივანი — ჯ უ მ ბ ე რ პ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი.

საუბლო საღამოსათვის დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ პირველი ნომერი, რომელიც გამოვიდა 1921 წლის 13 აგვისტოს. ნომერი მთავსებულია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბორის ძნულაძის მოწოდება „ყველა სამაზრო კომიტეტებს“.

„ძვირფასო ამაზნავებო! — მინართავს იგი სამაზრო კომიტეტებს.





— შევედით რა გაზეთის გამოყენებას, ზევენ გუჯასს, რომ ადგილობრივი ამხანაგები ყოველგვარ დახმარებას გაგვიყენენ მის გაგრძელებაში და პროფიციდან ყოველგვარი ცნობების მოწოდებაში. ყველა შესაძლებელი მხარეები ჩვენი მუშაობისა და ბრძოლისა უნდა იქნეს აღნიშნული ჩვენს გაზეთში“.

მას შემდეგ 50 წელსა განვლო. ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ბ. ძნელაძის მოწოდება საქმედ იქცა. ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანების, ახალგაზრდების ინიციატივით ბევრი რამ გააკეთდა: წარმოებში დაინერგა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, კოლხეთის ტაობანი ადგილები ბაღნარად იქცა, სოფელს, ქარხანას, ფაბრიკას, ახალგაზრდული მარჯვენის მაღლი დატეკა.

ყოველი ღირსშესანიშნავი საქმის წაორწყებასა და განხორციელებას დიდ დახმარებას უწყვენ გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტები“ და „მოლოდიოჲ გრუზიი“. მათ დიდი წვლილი შეაქვეთ მომაგალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე დიდი ადგილი დაეთმო იმ საკითხს, რომ პრესის მუშაკთა მოვალეობა იზრდებოდეს, გაზედულად და ეფექტურად აღუდგენენ წინ ყოველგვარი იდეოლოგიურ თავდასხმასა და მერყევობას. გამოსაწორონ ის დარღვევები, რომლებიც ჰქონდათ ზოგიერთი წიგნთხვევაში. საქართველოს სრ მიინისტროსა საბჭოს ტელევიზიის, რადიოთელევიზიისა და პრესის მუშაკთა მოვალეობა აგრეთვე, იხმარონ ყოველი ღონე იმისთვის, რომ ამაღლდეს თითოეული ახალგაზრდის პასუხისმგებლობა, რათა ისინი ცოცხლად განასაზღვრებდნენ კომუნისტური მორალის პრინციპებსა და საღალ პარტიულ პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე.

სწორად ამ დევიზით ხელმძღვანელობენ გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტები“ და „მოლოდიოჲ გრუზიის“ მუშაკები. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ახალგაზრდობის საქმიანობის ყველა სფეროში, იბრძვიან დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებისთვის.

ურჩნა „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია მხურვალედ ულიტავს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტების“ და „მოლოდიოჲ გრუზიის“ კოლექტივებს ამ სახელოვან იუბილეს.

მოკალსურ სკოლაში ძირითადად ორი მიმართულებითაა სამუშაო: სწავლა და პედაგოგიური. თანამედროვე პედაგოგიური მეთოდის გამოყენება ხდება სამუშაოებში ტრადიციების განხორციელების საფუძველზე. ახალი მიმართულება მუსიკაში შემსრულებლების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, ახლებურ დამოუკიდებლობას შესასრულებელი ნაწარმოებისადმი და ქმნის ახალ მუსიკალურ-ესთეტიკურ პრინციპებს დამყარებულ პედაგოგიურ მეთოდებს. როგორც გონივარად წერდა, „მუსიკაში, განსაკუთრებით ვოკალურ მუსიკაში, განიმარტვლებოთ რესურსები უსასრულოა“.

ამ წერილის მიზანია შექმნილიდაგვარად, მოკლედ გადავხედო შეხედულებები იმაზე, თუ რამდენად გვეხმარება სტანისლავსკის სისტემა პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, ბუნებრივი ხმის გამოყენებაში, მოსწავლის ხმის გამდიდრებაში ემოციურ-ზნობრივი ფერებით, რითაც მიიღწევა სიმღერის გამომსახველობა: „სწორად დასმული დრამატული ამოცანა წარმოქმნის სწორ ბგერას“. ამრიგად, „სისტემის“ დახმარებით ვეცდებით მივაღწიოთ ხმის სრულმოვან, თანაბარ, ლითონისებურ ქლერადობას.

ქ. ს. სტანისლავსკი გვასწავლიდა, რომ მსახიობისა და მომღერლის შემოქმედება მთელი მეცნიერებაა, საჭიროა მისი შესწავლა და დამუშავება.

როგორც ცნობილია, სტანისლავსკი სიმღერას სწავლობდა იმ დროს გამოჩენილ პედაგოგ-ვოკალისტ ფ. პ. კომი-სარტყვესკისთან. იგი კარგად ერკვეოდა ვოკალური ხელოვნების ნიუანსებში და არაბუნებრივად მიაცნა უსულგულო ბგერათწარმოების თვითმიზნად ქვევა, რაც უგულვებელყოფს შესასრულებელი ნაწარმოების სიტყვიერ მასალას და აძლურ შინაარსს. ამიტომ სტანისლავსკის არ სწამდა უმოქმედო სიმღერა და შეურიგებლად ებრძოდა მას.

სტანისლავსკის მოძველებულად, საოპერო ხელოვნებისა და ოპერების შემდგომი განვითარების შემაფერხებლად მიაცნა საოპერო სპეციალის მომზადების კონსერვატორიაში არსებული სისტემა, რომლითაც მაპროფილებელი დისციპლინა მოლოდ სოლო-სიმღერა იყო.

მან თავის შრომებში დაასაბუთა, რომ მოლოდიო აღიარება შალაიანისა მაშინ მოიპოვა, როცა მაღალ ვოკალურ ტექნიკასთან ერთად, სრულყოფილად დაეუფლა მუსიკალურ-სცენური მოქმედების, დეკლამაციის, პლასტიკის ოსტატობას. ყოველივე ეს უიღდეს უპირატესობას ანიჭებდა მას და შესაძლებლობა მიეცა რამდინიმე ათეული წლით გაესწრო თანამედროვეებისათვის.

ამიტომ სტანისლავსკის სუდიის სასწავლო პროგრამაში, სიმღერის გარდა, რომელსაც ვოკალური ხელოვნების ოსტატები ასწავლიდნენ, შეტანილი იყო აგრეთვე პლასტიკური აღზრდა, ვოკალური დიქცია, სიტყვიერი გამომსახველობის კანონების შესწავლა სიმღერაში, ეგვიპტი, რიტმიკა.

ცნობილ მუსიკისმცოდნე ბ. ასაფიევის აზრით, სტანისლავსკის სისტემამ სრულიად ახალი სიყოფილე მიანიჭა ჩაოკესკის ოპერას „ევენიი ინჯინი“, რომელიც დიდმა რეჟისორმა 1919-1926 წლებში დადგა. ბ. ასაფიევის თქმით, სტანისლავსკის სისტემა რეალისტური ინტონაციური არის გამსჭვალული, მუსიკალურია (ბ. ასაფიევი, რჩეული შრომები, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1954 წ., გვ. 90).

ს. პროკოფიევმა აღნიშნა, რომ სტანისლავსკიმ საბოლოოდ გაფასვა მანამდე გავრცელებული შეხედულება ჩაოკესკის ოპერების არასაკუთრობაზე, ვინაიდან ამოიციო ახალი ინფინი“ სცენარობის განსაკუთრებული მუხებია. იგი კავშირს წყვეტდა ძველი ოპერის ყალბ ტრადიციებთან და ხელოვნებაში ამკვიდრებდა ახალ მიმართულებას, რასაც სტანისლავსკი „განცდის ხელოვნებას“ უწოდებს. დიდი



# სტანისლავსკის სისტემა მოკალურ პელაგოგიკაში

ქანა თოიძე

რეჟისორი არ სცნობდა მუსიკისა და დრამის ურთიერთდაპირისპირებას. იგი თვლიდა, რომ მუსიკის მოწოდება სცენური მოქმედების გამოხატვა, სცენური მოქმედებისა კი — მუსიკის შინაარსის განხორციელება.

სტანისლავსკი მოითხოვდა ჭეშმარიტი განცდის შერწყმას მუსიკალურ ფორმასა და საშემსრულებლო ტექნიკასთან. იგი მოსწავლეებს ამეცადინებდა ჯერ რომანსებსა და ცალკეულ საოპერო სცენებზე, ან მათთან ამზადებდა სპეციალურად შერჩეულ ეტიუდებს.

ასეთი თანმიმდევრობა გამოწვეული იყო მეთოდური აუცილებლობით, ვინაიდან სასცენო ოსტატობის გარეშე სტუდენტებს გაუჭირდებოდათ საოპერო პარტიების დაუფლება. სხვაგვარად ძალზე ნიჭიერი მომღერლებიც კი ვერ დასძლევდნენ სცენური ფორმალისთვის რუტინას და, რაკაკვირებოდა, ვერც ახალ მიმართულებას შექმნიდნენ საოპერო ხელოვნებაში.

აქ შეიქმნა ოპერების: ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინის“, „პიკის ქალის“, რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლის“, ბუჩინის „ბოჰემის“, მანსენ „ვერტრისის“ და სხვათა დადგმა.

სტანისლავსკის გაკვეთილებზე, „სისტემის“ თეორიული შესწავლის გარდა, მიმდინარეობდა პრაქტიკული მოსამზადებელი მუშაობა. დიდი რეჟისორი უდიდეს, თითქმის გადაამყვებ, მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველდღიურ, სისტემატურ მეცადინეობას. ეს ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსწავლეებს სწორად ლალოტობთ მუხსივნება; ისინი სუსტად ითვისებენ მასალას. ყოველდღიური მეცადინეობა კი განამტკიცებს ნასწავლს.

პირველი, რასაც სტანისლავსკი თავისი მოსწავლეებთან განმოთხილავდა, იყო სხეულის განთავისუფლება და დაბეჭდვითი მოთხოვნა, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს კვლავი-ვოკალისტიკისთვის, რომელიც მოსწავლისაგან მოითხოვს ხმის აპარატის თავისუფალ ფლობას, რაც უდავოდ დაკავშირებულია მოსწავლის სხეულის მდგომარეობასთან.

სტანისლავსკი ამას აღწევდა რიტმული ვარჯიშით მუსიკის თანხლებით, ეტიუდებით, სხეულის, ხელის, განსაკუთრებით კი მტევნისა და თითების თავისუფალი მდგომარეობის დაუფლებით.

„ხელები უნდა იყოს თავისუფლად და არა პარალელურად ჩამოშვებული“ — ასწავლიდა სტანისლავსკი თავის მოწავლეებს. ხორხის განთავისუფლებისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა თავის სწორად დაჭერა, რაც არეგულირებს ხორხის თავისუფალ მდგომარეობას, ამ დროს ყელი გაიმართება, კორპუსი სწორდება, მხრები ჩამოეშვება, მკერდი გაიმსვლება და დიაფრაგმა შეიწვევა, ამრიგად, მოწავლე შეიგრძნობს რა „ქელს“, როგორც თვით სტანისლავსკი გამოთქვამდა, ფრანხს დამთავრების შემდეგ შეინარჩუნებს გულმკერდის ჩასუნთქულ მდგომარეობას.

გულმკერდის შესუნთქული მდგომარეობის შენარჩუნება ფსახის დროს თანამედროვე ვოკალურ-პედაგოგიური მეთოდების მიერ შესწავლილია და მიჩნეულია სამომდევრო ბეგრის წარმოქმნის ერთ-ერთ სწორ გზად. ამრიგად, მართალია, სტანისლავსკი არ იყო ვოკალის ვიწრო სპეციალისტი, მაგრამ იგი მივიდა მოწინავე აზრამდე, რომელსაც ვოკალურ მეთოდოლოგიაში „ფოთაციური მსუნთქვა“ ეწოდება. სტანისლავსკი არ სცნობდა საოპერო ექვეტურ პოზებს, მსახიობი სცენაზე უნდა იქცეოდეს ისე, როგორც ამას შესასრულებელი ნაწარმოების შინაარსი მოითხოვს.

იგი ამბობდა: ახალგაზრდა შემსრულებელი მაოლოდ მაშინ განთავისუფლდება ზედმეტე მოძრაობისა და კუნთების დაბეჭდვითაგან, როცა შინაგანად გააზრებულია მოქმედებს. მაშინ აზრები მოქმედებაში განხორციელდება, ხოლო მოქმედება, გავლენას ახდენს მის აზროვნებაზე, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შემოქმედებს სხეულის მოძრაობაზე. ამიტომ უნდა გათავისუფლდეთ სხეული, კუნთები, ნერვული სისტემა.

ხელის პლასტიკური ვარჯიშით სტანისლავსკი ცდილობდა მიეღწია „მოძრაობისათვის“ ექსტეზით, რაც მისი აზრით, თავისთავად, ამოცანის გარეშე, უაზრობაა. იგი ფარეკაობის გაკვეთილებზეც მოითხოვდა შემოქმედებითი ამოცანის შესრულებას, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სცენაზე სიარულსაც. მოწავლეებს უნდა ეცეკვათ მასურკა, ვალსი, პოლონეზი. ასეთი გზით სტანისლავსკი ცდილობდა მოწავლე სხეულის გამოშახელობის მიღწევას. იგი სცენაზე მოითხოვდა სიცოცხლეს, უბრალოებას და პლასტიკურობას. სტანისლავსკიმ შეიმუშავა შემდეგი კანონი: რაც უფრო ძლიერია დრამატული სცენა, რაც უფრო მეტ, სულიერ ძალაზე მოითხოვს იგი, მით უფრო თავისუფალი უნდა იყოს თქვენი სხეული. შეუშუაზე მუშტებს და ამით ზღუდავ, აზრობთ საკუთარ ტემპერამენტს.

რამდენიმე სიტყვა შემოქმედებით ტემპერამენტზე, რომელსაც ხშირად სწორად ვერ გებულობენ მოწავლეები და შედეგად ვეგულობთ კუნთების გადაქანცვას. სტანისლავსკი მოითხოვდა მოწავლისგან ტემპერამენტის გაუმოწინებას, ნაწარმოებში დიდი და ამაღლებული ამოცანების ძიებას, აქტიური ნებისყოფის გამოუმუშავებას, სწორი რიტმის მიგნებას. ყოველთვის ამის შემდეგ ახალგაზრდა შემსრულებელს უკანდაბო საჭირო შემოქმედებითი ტემპერამენტს. ამასთან სტანისლავსკი ურჩევს ახალგაზრდა შემსრულებლებს ეძიონ რიტმი არა შესრულების დროს, არამედ მანამდე, ნა-





წარმოების შესრულების დაწყებამდე, ა. ი. მოწაფემ, ან მიმღერლმა აკომპანიატორს თვითონ უნდა უკარანახოს რიტმი“.

სტანისლავსკი ამბობდა: „რომანმა თქვენს გულში რო- იალის აქლერებამდე უნდა დაიწყო სიცოცხლე“. იგივე შეიძლება ვთქვათ ბეგრაზე, იგი მომღერალმა სიმღერის დაწყებამდე უნდა შეიგრძნოს. სწორედ ამ მომენტში იმა- დება მოსწავლის სციენური ყურადღების გამომუშავების აუცილებლობა.

„მოწაფემ უცებ უნდა შეაჩეროს ყურადღება მოცემულ ობიექტზე, რათა ნამდვილი გრძობებით იცხოვროს სცება- ზე. საჭიროების შემთხვევაში, ასევე უცებ უნდა გამოითქოს ყურადღება, უარის ეს გრძობითი, დაბრუნდეს საკუთარ ცხოვრებას. ეს არის „ყურადღების ვირტუოზული ფლობის უნარი“. სტანისლავსკი თავის გაკვეთილებზე ყურადღების განმარტებულად სხვადასხვა საავარჯიშოს იყენებდა. „მა- ყურებელთა დარბაზს რომ გამოეთითო, უნდა გაიგებოცის სცებაზე მომხდარ ამბებმა“. ამრიგად, სტანისლავსკის თავის მოწაფეებს სთავაზობდა ე. წ. „საჯარო სხარტო- ვის“ გამომუშავებას. ეს ის მომენტია, როცა ახლადაზრტო- ვისმურადლებს სცებაზე გაიტყვეს მხოლოდ მის წინაშე მდგარი ამოცანა, როცა იგი „შეავიწროებს“ ყურადღების წრეს.

ამის შემდეგ დგება მეორე მომენტი — მოწაფე გადადის ყურადღების სამშულო წრეში, როცა გაფართოვდება ყუ- რადღების არე, მოსწავლე საზოგადოებას განაცდევინებს თავის განწყობილებას. ბოლოს დგება ყურადღების „დიდი წრე“, იზრდება „ყურადღების სივრცე“, მძაფრდება ემოცი- ებები, მაგრამ სწორედ აქ არის მარცხის საშიშროება. შე- საძლია, მოწაფეს სივრცეში გაუფანტოს ყურადღება, მაშინ საჭიროა ყურადღების მოქცევა ისევ „ვიწრო წრეში“. ამ შემთხვევაში მოწაფეს უნდა გაახრდეს ის საორიენტაციო წერტილი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქ- ცემა, ან პირიქით, ეხმარება საჭირო ობიექტზე ყურადღე- ბის გაახვედრებაში.

ამ გზით ახალგაზრდა შემსრულებელი დაეუფლება ყუ- რადღებას, ყოველთვის გაყვება ტექსტის აზრს და თავს დააღწევს „შინაგან სიკარგილს“.

სტანისლავსკი არა მარტო მხატვრული ნაწარმოების, არამედ სავარჯიშოებისა და ვოკალიზების შესრულების დროსაც მოითხოვდა გააზრებას. ვოკალიზაციაში მან უნდა გაამართლოს დაკისრებული ვალდებულებები და გაითავ- რისწინოს ვარაუდი — „ასე რომ ყოფილიყო“. ასეთი ვა- რაუდის ძიებაში დიდ როლს თამაშობს მოწაფის წარმო- სახვის უნარი, მისი ფანტაზია. ვთქვათ, მოწაფე მღერის სავარჯიშოს ხმოვან „ა“-ზე, მისი „ა“ არ ჯდება მკაფიოდ, ნთლად, თავისუფლად, განსაკუთრებით ზემო რეგისტრ- ში; ასეთ დროს მოწაფის ყურადღება უნდა გაახვედრდეს არა ხმაზე, არამედ მოცემული აქტიორული ამოცანის შეს- რულებაზე. საჭირო განწყობილების შექმნაზე. მოწაფემ უნდა გაიხსენოს მხიარული ეპიზოდი თავისი ცხოვრები- დან, თუნდაც მოულოდნელი შეხვედრა საყვარელ ადამიან- თან, როგორ აღმურდობდა იგი მაშინ? ამ ამოცანის შეს- რულებისას მოსწავლე შემოღებისდაგვარად უნდა დააკვირ- დეს თავის კუნთებს, არტეკლიაციურ აპარატს, იგი თუთუდ შეინახოს, რომ სიმღერისას მისი პირი საჭირო სიდიდით გაიღება, საყლაპავი და ხაზის პირი გაფართო- ვდება, რბილი ხმა აიწვევს და მიიღებს თავისებურ მდგომარ- ეობას, მაღალ სონტებზე ტურების კუნთებით განწე- ვივს. ხდება ხმოვანზე ენერგიული შეტევა. კუნთების მოშ- ვება, მსახიობური წარმოსახვა მოწაფეს დაეხმარება და სიზნანი „ა“ სათანადოდ აქლერდება.

ამავე მეთოდით უნდა ხდებოდეს ვოკალიზის შესწავლა.

საკმარისია მოწაფემ მოიშველიოს წარმოსახვა, უნდა შეეძლოს გააზრებულად აქლერდება და ხმა მიიღებს ბუნებრივ ელერადობას. ამრიგად, სტანისლავსკის „სისტემა“ ეხმარება მოწაფეს ვოკალური აპარატის განვითარებაში. ამის სა- თვლასყოფად განვიხილოთ სტანისლავსკის შემოხაზი რო- მანსსა. სტუდენტისათვის რომანსი ძირითადი სასწავლო მასალაა, რომლისადავებელი საფეხურის სათავეთი არისთა- ვის. გარდა ამისა, რომანსი უნდა მომღერლოს ამბურულ რეგისტრურში. მის გარეშე წარმოუდგენელია ვოკალისტის ექიმარიტე შემოქმედება.

სტანისლავსკი სტუდენტისაგან პირველ რიგში მოით- ხოვდა ახსნა-განმარტებას: რამ მიიზიდა იგი ამა თუ იმ რომანსში? ამისათვის მოსწავლემ ჯერ უნდა წაიკითხოს ლექსი, გააცნოს მისი დედააზრი, რომელმაც გაიტაცა პოე- ტი და კომპოზიტორი, შემდეგ ვოკალური მქოლავის დაკ- ვრით გაეცეს მუსიკალური ფრაზის განვითარებას. ამასობა- ში გამოირკვევა თუ რამდენად შეერწყა ერთმანეთს პოეტი- სი და კომპოზიტორის მანაფიქრი. შემდეგ მოწაფე უნდა ნებას ნაწარმოების კულმინაციას. სიმღერაში სტანისლავს- კი გადაწყვეტს მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვას, აქ მხო- ლოდ თანხმობენია არ უნდა ხდებოდეს სიტყვის მკვეთ- რად წარმოქმნა, სიტყვის ხმოვნები და თანხმობენი მხატვ- რული სინარტლის გამოვლენას უნდა ემსახურებოდნენ. მატალიზისათვის იგი იმეულებოდა შალაისის სიმღერას. ხშირად, ფრაზის გამომსახველობისათვის მოწაფეს უნდა ნებთხოვოთ სონორული თანხმობების გაორმაგება. თანა- მედროვე ვოკალური პედაგოგიკიდან ცნობილია, რომ ს- ნორული ბეგრით თავს უკრან ბეგრებს, გადასცემენ რე- სონანტის, ასლებოდა და მიაბაგრებენ ტურებში. სტანის- ლავსკის ამბობდა: „სიტყვა ავტორის თქმა. მელოდია კი ამ თემის განცდა. უნდა შევიჯაროთ სიტყვა და დავაკვიროთ მუსიკასთან“. იგი მოითხოვდა სიტყვას და მუსიკის ერთ- მობლოც ზემოქმედებას. სტანისლავსკი მოწაფეს თანხმო- ვანთა რთულ შეფერებას ამოვრებინებდა მანამდე, სანამ ბუნებრივობას არ მიაღწევდა.

აქ სტანისლავსკი ეხმარება გენიალურ გლინკას, რომე- ლიცე თავის ვოკალურ-პედაგოგურ პრინციპებს აგება ბეგრების მოვალეობაზე ამღერებურ. ეფუძნებოდა ხმის იმ ბუნებრივ ტონებს, რომელთა შესრულება არ მოითხოვდა დამატებას. ნატურალური ტონები დამაპროსნა ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული და ისინი ამჟღავნებენ კიდევ მისი ტემბრის ხარისხს. ამიტომაც ნატურალურ ტონებზე უმაშო- მას დიდი სარგებლობა მოაქვს მომღერლის ხმისთვის. ვო- კალური მეთოდოლოგიის ისტორიაში ეს პრინციპი შევიდა „გლინკას კონცენტრული მეთოდის სახელწოდებით“.

სტანისლავსკი წერდა, რომ ყოველივე ეს კარგად გამა- ლანებელი ხელოვნაა, რომელიც „ხელოვნების მსგავს“ რაღაცა ქმნის; მას გარკვეულ მომენტში მსმენელის გატა- ცებაზე კი შეუძლია, ამიტომ საშიშია ამათ დაკმაყოფილება, ვინაიდან იქნება შთაბეჭდილება, თითქმის ყველაფერი უკვე მიღწეულია. ამიტომაც სტანისლავსკი მოწაფისაგან მოითხოვდა შემოქმედებითი განწყობილების შექმნას, რისთვისაც შემოქმედებაში მოჰყავდა მოწაფის ფსიქიური ცხოვრების ყველა ელემენტი. იგი მოითხოვდა ავტორის უკუ- ლი განცდებისათვის შესატყვისა გასაღების მოძებნას, ლოგიკის ამოკითხვის გზით. მოწაფეს თავისი თავი უნდა წარმოემდინა ნაწარმოებში არსებულ გარემოში და ეცხოვ- რა მის წარმოსახვაში შექმნილი ცხოვრებით. მაშინ მას აშუქდება გრძობებით, ფანტაზია. ამ გზით კი რომანსი გაცოცხლდებოდა, შეიძინა ინდივიდუალურ სახეს. თით- თონ სტანისლავსკი ურჩევდა პედაგოგებს მოწაფეებისთვის შესასწავლად ნაკლებად ცნობილ რომანსებში მიეცა,

ვინაიდან აქ იოლია „საყოფარსის“ გამოვლენა და სხვების გაგვიხიზნავს თავის დაღწევას.

ზოგიერთ მასწავლებელს მიაჩნია, რომ მოწაფე სცენაზე მოწაფე უნდა იყოს ისევე, როგორც ვაკეებზე, მანამდე, სანამ იგი დასრულებული მომღერალი არ გახდება.

ამ აზრის მიმდევარი თვლიან, რომ მოწაფე არც უნდა გამოდგეს სცენაზე და არც ანაფერზე ფიქრობდეს თავი-ის ხმის ელვარების გარეშ. ეს მოსაზრება მოძველებული და მცდარია. სტანისლავსკი არ იზიარებდა ამ აზრს და თავის მოწაფეებს ასწავლიდა: სცენაზე არასოდეს იგრძნობ თავი მოწაფედ, სცენაზე თქვენ უნდა მსახიობები ბრძანდებით და უნდა იბატონოთ ყველაზე, ვინც კი მაყურებელთა დარბაზში იმყოფება.

როდესაც სტანისლავსკი მოწაფისაგან არტიტიზმს მოითხოვდა, იქვე ეხმარებოდა ვიდრე მას თავისი „სისტემა“. იგი უხსნიდა მოწაფეებს, რომ თვით პატარა რომან-სიპიკ მოცემულია კვანძის შევსება, კონფლიქტი, კვანძის გახსნა, გამჭოლი მოქმედება, შეთავაზებული გარემოება და წყაბათიანა. ყოველივე ეს უნდა გამოავლინოს მოწაფემ. სტანისლავსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვოკალიზატის ემოციური შესაძლებლობების განაწილებას, მუსიკის ყოველი ნაწყვეტი, ისევე როგორც მთლიანად ნაწარმიები, თანდათან ვითარდება და აქვს თავისი „ფსიქრი“ და „მექვიალი“.

„სისტემაში“ გათვალისწინებულია აგრეთვე მოწაფის უნარი პაუზით სარგებლობისა; სტანისლავსკი მოითხოვდა პაუზების შინაარსის შევსებას. იგი ამბობდა: მსახიობი პაუზებით გამოიცნობა. რითია ცნობილი „შალიაპინისეული პაუზები“? ჩვენი მოწაფეები ხშირად გვერდს უვლიან პაუზებს, არ აცხადებ მათ, რაც უარყოფითად მოქმედებს სწორ რიტმსა და ნაწარმიების შინაარსის გახსნაზე.

სასარგებლო ჩრჩევებს ოღვეა სტანისლავსკი აგრეთვე ბევრის ფილტრებსა, რაც ძალზე რთულ ვოკალურ-ტექნიკურ პროცესად ითვლება სიმღერაში. სტანისლავსკი ვეზირჩევს, რომანსი მოწაფეებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეასწავლოთ. იგი წერს, რომ რომანსი უნდა თქმეს აქვდეს ზღინ-ვარებადღე. ვოკალისტები ამაზე ამბობენ, სიმღერა შეეიცხისხსხსხორციოთ, რასაც შეიძლება დაემატოს კიდევ ის, რომ სიმღერა გულსა და სულში უნდა გამოვატაროთ.

როცა მოწაფე, ადამყოფობის ან სხვა რამდენ ტრავმის გამო, გრავიველ პერიოდში ვერ მღერის, მან დასვენების საათებში ან ძილის წინ გონებაში რამდენჯერმე უნდა გაიმეოროს ესა თუ ის რომანსი და აღადგინოს ყველაფერი, რასაც მოსაგა პედაგოგი ვაკეებზე მოითხოვდა. ასეთი ვარჯიშით მას ხანგრძლივი შესვენების შემდეგაც კი თამამდ შეუძლია შესარსოს რომანსი ხმადალა.

სტანისლავსკი რომანსზე მუშაობა მცენერულ დონეზე დაამუშავა. ასე უნდა მოეკიდოს ამ საქმეს ყოველი ვოკალისტი-პედაგოგი და შემსრულებელი. თანამედროვე ვოკალური მეცნიერება (თუ შეიძლება ასე თქვათ) მოითხოვს კვლევითი მუშაობის ჩატარებას თითოეული რომანსის, არისის, სიმღერის შესწავლისას.

მომღერალი ყოველ ახალ მუსიკალურ ფაქტურაში უნდა იქცეს გამომსახველობის ახალ საშუალებებს, ამასთან, ემოციისწინებდეს მუსიკის სტილის, ხასიათის, ფონტიკის ეროვნულ თავისებურებებს. მაგალითად, იტალიური ენა ძველადი და მოწილია, ამასთან რბილი და მღერადი, რამაც უთუოდ იქონია გავლენა იტალიური ვოკალური სკოლის ხასიათზე. იტალიური სკოლაში დიდი ყურადღება

ეთმობდა ვოკალიზაციის სილამაზეს, მოწილობას, ზომიერებას, ხმის ვირტუოზულ ფლობას მივლ დიაპაზონებზე. ასე შეიქმნა საფუძვლები იტალიური ბელ კანტოს ჩამოყალიბებისათვის.

XVII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა იტალიური ბელ კანტოს ძირითადი სტილისტური მიმართულებანი. სტანისლავსკი ბელ კანტოს „ვოკალს პოეზიას“ უწოდებდა და წერდა, რომ იტალიური ოპერისა და ბელ კანტოსაგან მნიშვნულ შთაბეჭდილებას იგი აღიქვამდა მთელი სხეულით.

საინტერესოდ აღწერს სტანისლავსკი ბარტიონების მეფის კოტნის მიერ ნამღერ ნოტას, რომელმაც მასზე ფეხიკურად იმოქმედა, ის იყო ფართო, ქვერადი, მჭკვეფი, თბილი და ამაღლებებელი.

რუსეთში დარგომიუსისა და მუსორგისის მიერ შექმნილმა ახალმა საშემსრულებლო სტილმა ახალი ამოცანები დააყენა მომღერლის წინაშე. თ. შალიაპინმა თავის შემოქმედებით გახასიათა ვოკალური სელოფონების საუკეთესო ტრადიციები, გამსჭვალა ისინი თავისი დრამატული ტალანტის ძალით.


თუ სტანისლავსკი შემოქმედებით პროცესს გენიალურად „სწვდებოდა“, შალიაპინი მას ასევე გენიალურად ახორციელებდა. იგი პირველ რიგში ეძებდა განსახიერებელი გმირის შინაგან არსს, განასაზღვრავდა მისი ხასიათის მთავარ თავისებურებას. შალიაპინის სიმღერაში ვოკალური და დრამატული ტექნიკა იმდენად ორგანულად იმყოფებოდა ერთმანეთს, რომ შეუღლებული იყო გარჩევა ენასა, თუ რას აკეთებდა იგი სცენაზე, იმისაგან თუ როგორ აკეთებდა; ამაზე თვითონვე წერდა: „არ ვიცი, რაშია საქმე, როცა ვარლამს ვმღერე, თავს ვარლამს შევიგრძნობ, ფარლავის შესრულებისას — ფარლავად, დინ კიხობის შესრულებისას — დინ კიხობად. არა, უზარლოდ მაგიწვდება ჩემი თავი და ვერ არის. ჩემთვის ფარლავა მთავარი. მე მას ფრთას ვასამს სიმღერით“.

შალიაპინი სიტყვებს სასეპით უხუნებოვად წარმოთქვამდა; „იმღერდა ისე, როგორც ლაპარაკობდა“.

უკანასკნელ წლებში ბევრი საბჭოთა მოწინავე პედაგოგი-ვოკალისტი მუდგა სიტყვის პრობლემის შესწავლას სიმღერაში. 1963 წლის იანვარში მოსკოლის შედგასაკავშირო კონფერენცია, ვოკალური განათლების საკითხებზე. სიმღერის გამოცდილმა პედაგოგებმა ვ. სარაკიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორებმა დ. ანდლუაქემ და გ. გოგინაძემ, სხვა მეცნიერებთან ერთად, ამ კონფერენციაზე განიხილეს ახალგაზრდა ვოკალისტი-შემსრულებელთა კადრების მომზადებისთან დაკავშირებული საკითხები. ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისის კონსერვატორიებში ამაჟამად მიმდინარეობს საინტერესო და სსარგებლო მუშაობა, საქართველოში ამ საკითხებზე მუშაობენ კონსერვატორიის პროფესორები: დ. ანდლუაქე, ნ. ბოჟუჩავა, გ. გოგინაძე, დ. მჭედლიძე და სხვები.

როგორც ვხედავთ, სტანისლავსკის მოძღვრება ეხება ვოკალურ ტექნიკის ყველა მხარეს. მან მიიღო მეთობა, რომლის შემშვებით ახალგაზრდა შემსრულებელი პოულობს მუსიკალური ფორმის ჩაწვდომის, მისი შემოქმედებითად ათვისების გზებს. ახალგაზრდა პედაგოგებმა, ვოკალურ-პედაგოგიური მუშაობის გაღრმავების მიზნით, კარგად უნდა შეისწავლონ და საფუძვლიანად დაამუშაონ სწორედ ეს მეთოდი, ზედმიწევნით შეისწავლონ სტანისლავსკის რომები.





კოტე მარჯანიშვილის

დაბადების

100 წლისთავი

საიუბილეო ზეიმი ყვარულში.







საიუბილეო საღამო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

# ქობე გეგანიშვილის საიუბილეო ღონისძიებები

საიუბილეო გამოფენის გახსნა ფილარმონიაში



მკლიმრმა ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა საბჭოთა სცენის რეფორმატორის, ეროვნული თეატრის განმაახლებლის კობე გეგანიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

საიუბილეო ღონისძიებები, რომელშიც მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრებიც მონაწილეობდნენ, 23 ნოემბერს დაიწყო, მაგრამ ფაქტობრივად მას წინ უძღოდა ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდიც. პრესაში უკვე დიდი ხნით ადრე სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები დიდი რეჟისორის ცხოვრებისა და



კოტე მარჯანიშვილის საფუბილეო საღამოს პრეზიდენტი თეოდორიონის დიდი დარბაზში.

## დიდი რაუბისორის დაბადების 100 წლისთავი

შემოქმედების შესახებ, იმართებოდა სესიები, საზეიმო საღამოებიც. ასე მაგალითად, 20 ნოემბერს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ხოლო 22 ნოემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოეწყო კ. მარჯანიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოები.

23 ნოემბერს, დილით, ზეიმის მონაწილეებმა მთაწმინდის პანთეონზე გვირგვინებით შეამკეს კოტე მარჯანიშვილის საფლავი, სადაც დიდდასაქართველოს დამსახურებული მხატ-

ვრის ბიძინა ავალიშვილის მიერ შექმნილი რეჯისორის ძეგლი (კვარცხლობის ავტორია არქიტექტორი გ. ჯაფარიძე). ნაშუადღევს კი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც ქართულ სასაზღვრო ხელოვნების ამ უდიდესი რეფორმატორის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლ. ანთაძემ.

მოხსენებით გამოვიდნენ ხელოვნებაშიმცოდნეობის დოქტორები ლ. ჯა-

ნაშვილი, ა. ფშარალაძე (მოსკოვი), მ. გუბუშვილი, მ. იოსიანიძე (კიევი), ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ციციშვილი, ს. ციციშვილი (ლენინგრადი), საქართველოს და უკრაინის სსრ რესპუბლიკების სახალხო არტისტი, პროფესორი ლ. ალექსიძე.

თავიანთ სიტყვებსა და მოგონებებში გულთბილად აღნიშნეს კოტე მარჯანიშვილის მიერ გაწეული დიდი ღვაწლი ქართული და რუსული თეატრების განვითარების საქმეში. სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა მ. ანაშვილი, მ. გუბუშვილი და ა. ალექსიძე, საქართველოს სსრ ხელო-





კოტე მარჯანიშვილის ძეგლი მოაწმინდის პანთეონზე.

კოტე მარჯანიშვილის ძეგლის საზეიმო გახსნა მოაწმინდის პანთეონზე.



ნების დამსახურებულმა მრეაწმინდებმა კ. გომიძემ, თ. ჰახაპიშვილმა, პ. პატარიძემ, ს. ჭელიძემ და სხვებმა.

სსრ კავშირის სახალხო მხატვართ. გულაშვილი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა საიუბილეო ზეიმზე. მაგრამ გამოეზავნა თავისი სიტყვა, რომელიც წაიკითხა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. ტატაშვილმა.

ასევე ავადმყოფობის გამო იუბილეს ვერ დაესწრო კოტე მარჯანიშვილის ვაჟშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კონსტანტინე მარჯანიშვილი, რომელიც დეპუტით მიესალმა იუბილეს მონაწილეებს.

სალამოს წარმოდგენილი იქნა თავის დროზე კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული და ამჟამად გ. ანაფორიძის მიერ აღდგენილი „ურიელ აკოსტა“.

ზეიმის მონაწილეებმა 24 ნოემბერს დღისით დათვალა იერუსალიმის ღირსშესანიშნაობები, ხოლო სალამოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზის ფოიეში დაესწრნენ კ. მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნას. სალამოს 6 საათზე იქვე დაიწყო საზეიმო სალამო.

საზეიმო საიუბილეო სალამოს პრეზიდენტობა არიან აშხანაგები: პ. გილაშვილი, მ. გომიკაიშვილი, ა. ინაშვილი, შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, მ. შვეპარდნაძე, ა. ჩუპინი, ბ. ძიწენიძე, შ. ჰახაპიშვილი, თ. ჩიჩინაძე, ჯ. პატარიძე.

აქვე არიან სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე კ. ვორონკოვი, მთავრობის საიუბილეო კომისიის წევრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა მთავრობის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძიწენიძე.

...დღეს, როცა ჩვენი ხალხი ემზადება ზეიმით აღნიშნოს მძლავრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავი, — თქვა მან, — ჩვენ განსაკუთრებით

უწვამთ ხაზს, რომ კოტე მარჯანიშვილი მთელი თავისი მწიჭფარე მოღვაწეობით ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხების კულტურათა დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას...

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბესარიონ შლენტიამ თავის მოხსენებაში ილაპარაკა კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მან ხაზსასმით აღნიშნა, რომ მარჯანიშვილი ეროვნული და ინტერნაციონალური მასშტაბის დიდი რეჟისორი იყო, რომელმაც გვიანდერმა ძლიერი, მაღალიდუერი, მაღალმხატვრული ქართული თეატრი. და დღეს ჩვენ დიდი სიყვარულითა და მადლობით ვიხსენებთ მის სახელს, სახელს ადამიანისა, რომელიც დაიფრფლა ქართული ხელოვნების, ქართული ხელოვნების, ქართული თეატრის აყვავებისათვის ბრძოლასა და შრომასი.

საიუბილეო საღამოზე სიტყვები წარმოსთქვეს სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ პ. შორშიძემ, სსრ კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტმა მ. გომელაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა მ. პანაშვილმა, ო. კუნიძემ, დ. ანთაძემ, ლ. ალექსანდროშვილმა (მინსკი), ა. ვასაძემ, მ. გომეზოვილმა, ხელოვნებამცოდნეობის დოქტორმა ნ. არმიანი (ერევანი), ხელოვნებამცოდნეობის კანდიდატმა რ. მანიშვილმა (ოფინგრადი), ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტმა მ. მამბრეშვილმა, ხელოვნებამცოდნეობის კანდიდატმა ლ. მანამ (რივა), პოლონელმა მსახიობმა ბ. ირლიჩმა.

პოეტმა ი. ნუნეშიძემ წაიკითხა კ. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი.

სცენური კულტურის საუკეთესო მაგალითად უნდა ჩაითვალოს სადღესასწაულო კონცერტი, რომელზეც წარმოდგენილი იყო ყოველივე საუკეთესო, რითაც ამაჟობს ქართული თეატრი. (რეჟისორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი, მხატვარი თ. სუმბათაშვილი).

25 ნოემბერს ზეიმის მონაწილეები გაემგზავრნენ ყვარელში. კ. მარჯანიშვილის მშობლიურ ქალაქში მოეწყო საზეიმო მიტინგი და დიდი სანაზაობა, რეჟისორის სახლ-მუზეუმში გაიხსნა ახალი ექსპოზიცია.



ზეიმი ყვარელში.

კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი ყვარელში საიუბილეო დღეს.





# ხელოვნებაშიც მთავარია კადრები!

ვასილ კიკნაძე

მსაქმის მონაცვლეობა ყოველთვის რთული პროცესი იყო თეატრებში. თეატრისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას თუ რა ახალი შემოქმედებითი ძალებით იყვებოდა იგი, როგორ ერწყმოდა ახალი ძველს, როგორი კონტრაქტი მყარდებოდა ახალ თაობებს შორის, რითი იყენებდა ისინი ერთმანეთისთვის ახლობელნი და რა მხატვრული პრინციპები ანსხვავებდა. ერთი სიტყვით, პრობლემებისა და საკითხების მთელი კომპლექსი იყრის თავს, როცა საქმე ეხება ახალი შემოქმედებითი კადრების გამოვლინებასა და მათ დაოსტატებას.

ქართული თეატრის ხვალისდელ დღეზე ზრუნვა, არსებითად თანამედროვე, ქართული თეატრის შემოქმედებითი პოტენციალის გარკვევა, მისი ნიჭისა და უნარის დადგენაა. ამასთანავე, ეს იმასაც ნიშნავს, რომ სწორად შევიცნოთ რა გზებია და საშუალებებით უნდა წარიმართოს ახალგაზრდობის ბედი თეატრში. უნდა შეიქმნას ყველა პირობა, რომ მყარ საფუძველზე აშენდეს მომავალი თეატრი, თეატრის ხვალისდელი დღე.

ქართველ ხალხს მუდამ თავი მოსწონდა შესანიშნავი მსახიობებით. რევოლუციამდელი თეატრის უმძიმეს პირობებში იკვლევდნენ გზას ერთეული ტალანტები. ქართველი მსახიობებისა და დრამატურგების უმრავლესობა აუტანელ პირობებში ცხოვრობდა. ვ. აბაშიძე ერთხანს რკინიგზის აგენტადაც მუშაობდა რომ ლუკმა-პური ეშოვა. ნ. გაბუნია რამდენიმე ხნით სცენასაც ჩამოშორდა ამავე მიზეზების გამო. ხოლო მისი მეუღლე ცნობილი დრამატურგი ა. ცაგარელი ნიკოლაძეს წერდა: „მესამე წელიწადია, უადგილოდ დავდივარ. ბევრი დამპირდნენ, ბევრი მაიმედეს, ბევრი მალოდინეს და ბოლოს კიდევ უსაშველოდ დამტოვეს. რომელი ერთი შემოგჩივლო? გთხოვ, ნიკო, ოღონდ რაიმე ალაგი გამომიძებნე, რომ ცხოვრების სახსარი შექონდეს და როგორც და სადაც უნდა იყოს, სრული თანხმად ვარ და მოგედლობი, დარწმუნებული იყავი ჯოჯოხეთში რომ წამიყვანო, სიხარულით წამოგყვები. თუ რამე გარეშე ალაგის მოგან გამოვლდება. ეს მაინც ჩაიდინე, რომ წერილით სთხოვო ჩემი გუ-

ლისათვის აქაურ რკინიგზის უფროსებს, რომ დროებამდის პოუზდის კონტროლიორის ალაგი მაინც მომცენ. ამას მე საუკუნით დამავალბე და დამიხსნი სასოწარკვეთილები-საგან“.

დაიხ, გამოუვალ მდგომარეობაში იყო ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდა მწერალი, უკვე ავტორი საუკეთესო პიესებისა. ისტორიამ იცის სუ ანტონოვის ტრაგიკული ბედიც. იმდენად უჭირდა ამ მწერალს, რომ ცალ ფეხზე ერთი ფეხსაცმელი ეცვა, მეორეზე — სხვა. მძიმე მატერიალურ მდგომარეობას ისიც ემატებოდა, რომ ისინი განიცდიდნენ ერთნულსა და სოციალურ ჩაგვრას. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართული თეატრის შესწავლურებს უპირველესი მოვალეობად მიაჩნდათ „ახალგაზრდობის მიზიდვა. ნიჭისა და შრომის ერთად თავის მოყრა და ისიც იმ დროს, როცა გარემოება საქმეს ვინძელებს. კაცს და მოღვაწე ფასდება გაჭირვების დაძლევის და გამარჯვებით“ (ვ. გუნია). მხოლოდ ინიციების ნებისყოფაზე იყო დამოკიდებული ისოდენ რთული დაბრკოლებების გადალახვა. ბედის ამარა იყო მიტოვებული ქართველი მსახიობები, ქართული თეატრი ცალკეული პატრიოტების, ენთუზიასტების მფარველობის იმედად იყო ქართული თეატრი. მაგრამ თეატრმა მაინც შესძლო თავისი ხალხისადმი ერთგული სამსახური, რასაც დღეს მადლიერებით ვიგონებთ.

წარსულს ჩაბარდა ქართული თეატრის უმძიმესი ხვედარიც. საბჭოთა ქვეყანაში გზა გაუხსნა ხელოვნების ყველა დარგს. მათ შორის თეატრსაც. შეიქმნა თვისობრივად ახალი, დიდი მასშტაბის თეატრი. საბჭოთა საკათოლიკოში დიდი სახელმწიფოებრივი როლი დაეკისრა თეატრს. იგი გახდა მილიონების იდეურ-ესთეტიკური აღზრდის მძლავრი კერა. თეატრმა დიდი როლი შეასრულა ახალი ადამიანის ფორმირებაში. პარტია ყოველთვის ჯეროვანად აფასებდა მის ამ ღვაწლს სწორედ იმიტომ, რომ თეატრი აქტიურად ეხმარებოდა პარტიას. საბჭოთა ხალხის დარაზნებაში, ხელს უწყობდა მასებში პატრიოტული სულისკეთების გაღვივებას. ნერგავდა მაღალ ჰუმანურ გრძობებს. თეატრს დიდი სამამულო ომის წლებშიაც კი უდიდესი სახსრები

მხარდობდა. თეატრალური ასალგაზრდობა მუდამ იდგა ჩვენი ხალხის ესთეტიკური ცხოვრების ავანგარდში. ასალგაზრდები იყვნენ ისინი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საბჭოთა თეატრს. დიდ მსახიობთა ნაჯილეკს გაჰყვებოდა მომღვებო თაობებიც. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს არ ხდებოდა იოლად, წინააღმდეგობებისა და ტყვეობების გარეშე, იყო რაღაც შინაგანი კანონზომიერება თაობათა ამ განსაცდლობებში.

მაგრამ სურათი ერთგვარად შეიცვალა უკანასკნელ 10-15 წელიწადში. ჩვენ ახლა ვეგვიტის ვილაპარაკოთ ამ პერიოდის მსახიობთა რაიმე ერთიან შემოქმედებას პოზიტიურად. მათ ინდივიდუალურ ბუნებაზე, მათ დიდ მიღწევებზე, მათი პიკიველია, იქმნება ზოგიერთი საინტერესო სახე, არის ნიღბივებიც, მაგრამ ჩვენ ვილაპარაკობთ მაღალ კრიტიკურობებზე, ახალ შემოქმედებებზე სამყაროზე, გულუბრყვილობაზე იქმნებოდა გვეფიქრა, რომ თითქმის ამის მიწეში მხოლოდ ასალგაზრდა ხელოვანთა შესაძლებლობებში ძვეს. არც მარტო ერთი რომელიმე ფაქტორი განსაზღვრავს ამგვარ მდგომარეობას. აქ სიმდიდრეებისა და წინააღმდეგობების მივლით კომპლექსია, რომელსაც საფუძვლიანი გამოკვლევა სჭირდება.

გადის წლები და სულ უფრო და უფრო მცირდება ინდივიდუალური აქტიური ტალანტების რიცხვიც, ხოლო იზრდება საერთო საშუალო პროფესიული დონე. განა იმავე თეატრალური ინსტიტუტის პირში არ არიან ე. მანკალაძე, გ. გეგეჭკორი, რ. ჩხიკვაძე, ე. მედიუნოვსკისი თუ ს. კვეციანი? რატომ ვეღარ ვხედავთ ამგვარ არტისტულ აღმოჩენებს? ეს სერიოზული საკითხია, რომელიც სპეციალურ განხილვას მოითხოვს...

თეატრალური ასალგაზრდობის გამოვლენას, საერთოდ, ასალგაზრდობაში თეატრისადმი ინტერესის გახასხლებას ხელი შეუწყო „ეთიკობრიობის“ მცდარმა თეორიამ, რომელიც თითქმის მივლი ათის წლის განხაზვანობაში ინერგებოდა და რომელსაც უფრო მეტი პრობლემა და ჰქონდა, ვიდრე პროფესიულ ხელოვნებას. ზოგიერთი მართლაც სჯეროდა, რომ „არტისტობა“ ყველას შეუძლია, რომ ამის სივრცეში არ არის საჭირო, არც დიდი შრომას მოითხოვს იგი. სრულიად ადვილი შესაძლებელია, სცენის მიყვარებულ, რომელიც დღის განმავლობაში პროფესიულად შრომობს და ზუსტადაა, საღამოს ასეთივე პროფესიულობით შეასრულებს ამა თუ იმ როლს სპექტაკლში. ერთეული შემთხვევების განზოგადებას, ხალხური შემოქმედებისადმი დამოკიდებულების არასწორ გაგებას ის შედეგი მოჰყვა, რომ თითქმის შემოქმედების ყველა ხფეროში იჩინა თავი და ვიდაცემის შექმნათ ილუზია, თითქმის რეჟისორის ან მსახიობის პროფესიონალ თავისუფლად შესცვლის მიყვარებულ, არაპროფესიონალი. სხვათა შორის, სპეციალისტთა აზრის იგნორირების სხე სხვა სფეროშიაც საქმად იყო გავრცელებული, მაგრამ ახლა ჩვენ „სხვა სფეროში“ იმდენ ვილაპარაკობთ.

„ე თ ვ ე გ ა რ თ მ ბ ი ს“ სახიფათო თეორიის ინერცია დღესაც არ შეჩერებულა, იგი თავის კონკრეტულ განხილვას პოულობს თეატრისადმი დამოკიდებულებაში, თეატრის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობაში. თეატრი ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრის, მისი ისტორიის, მისი თანამედროვე ცხოვრების ორგანული ნაწილია და არ შეიძლება აქ რაიმე კომპრომისი! ქართული თეატრი ყოველწლიურად ათაბობით სპექტაკლს მართავს. ყოველწლიურად იდგება 120-ზე მეტი ახალი სპექტაკლი, რომელსაც ესწრება თითქმის სამ მილიონამდე კაცი, ეს ხომ უპარმანაო აღდებოდა. განა შეიძლება ჯეროვანად არ ეფასებოდეთ იმას, ვინც ამ აუდიტორიას ელაპარაკება და განა შეიძლება სათანადოდ არ ვსწავლობდეთ იმას, თუ რო-

გორ ან რას ელაპარაკება იგი? არ შეიძლება! მაგრამ, სამწუხაროდ, ასე ხდება. განსაკუთრებით კი რაიონებში. არ არის სადღესობა, რომ ასალგაზრდობის დიდ ნაწილს სოფლიდან გამოქცევაზე უჭირავს თვალი. ადვილად ეწეება „მიწის მოწყვეტის“ ტვილოს. არა თუ სიჭაბუკის წლებში, შემდეგშიც, რიცა უმაღლეს ანათობებს იღებს, მაინაც ღარი უზრუნდება მშობლიურ მხარეს. ხოლო ნაწილი ასალგაზრდობის სოფლიდან დარჩენას არჩევს, შრომობს და წარმატებით ქმნის მატერიალურ დოვლას. მაგრამ იბრუნება კითხვა: იმ ასალგაზრდობის, რომლებიც რაიონში რჩებიან, ვუქმნით იგი ყველა პირობას, რომ ადგილზევე მიიღონ სულიერი საზრდო? რას ვაძლევთ მათ? დასვენების, გართობის, ესთეტიკური აღზრდის და საშუალებებით ვამყარებთ კონტაქტს ამ ასალგაზრდობებთან? ისინი, რომლებიც სოფლიდან წავიდნენ, შეიძლება და თუ არა ადგილზევე დარჩენილიყვნენ, რომ მათ სათანადო კულტურული ატმოსფერო ჰქონოდათ? ყოველივე ეს დიდა სახელმწიფოებრივი, ამასთანავე დიდი ერთეული საქმე არ არის? ეს შეუძლია ამ საქმეში ყველაზე დიდი როლის შესრულება (სხვა დარგებთან ერთად) თუ არა თეატრს? ათობით ლექცია ვერ მოხდენს ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას, როგორც ერთი კარგი სპექტაკლი. ეს ყველაფერის ცნობილია. მაგრამ კარგი სპექტაკლი თავისთავად ხომ არ იქმნება? მას ადამიანები, ცოცხალი ადამიანები ქმნიან დიდი სულიერი და ფიზიკური ენერჯის ხარჯვის ფასად. მერცხა, ზედმეწეუბნი ვინცნობთ კი ამ ხალხს, ათოდან თავისებურ, მაგრამ კეთილშობილურ მიზნებისათვის მებრძოლ ხალხს, რომელსაც თეატრის კოლექტივი ჰქვია? და თუ არ ვიტყვით, შეიძლება კი მასების იდეურ-ესთეტიკური აღზრდის ურთულესი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მათ გარეშე?

მასალაზე, პირველ რიგში სრულ წესრიგში უნდა მოვიყვანოთ კულტურული ცხოვრების ყველა ფორმა და თეატრის უნდა შევეუქმნათ ისეთი პირობები, რომ მას სხვა არაფერი ჰქონდეს საფიქრალი, გარდა სპექტაკლის იდეური და მხატვრული დონისა. მათგან უნდა მოიციხოვროთ მაყურებელს მისივე მაღალი „ხარისხის პროდუქცია“, არ შეუვრდეთ იმ შრავალიცნობა სუსტ სპექტაკლს, რომელსაც ისინი ქმნიან. ამ საკითხის გადაწყვეტა ახლა თითქმის შეუძლებელია, თეატრებს თუ არ შეემატნენ პროფესიონალი ასალგაზრდები. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაა. თითქმის უქნაურია: რატომ არ უნდა წავიდეს ასალგაზრდა მსახიობი ან რეჟისორი რაიონში? რა შეიძლება ხელოვანისთვის უფრო საინტერესო იყოს, თუ არა ხალხთან ყოფნა?

ღიბს, ბევრს უნდა წახალისა, წავიდნენ კიდევ, მაგრამ უკან დაბრუნდნენ. ჩვენ გამოხალისების კაპრიზებზე რომ ვილაპარაკებო. უნაზღვრობა დაბრუნდა იმით, რომ მათ ვერ იგრძნეს ჯიროვანი დამოკიდებულება თეატრისადმი. გაუჭირდათ ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა კულტურის სფეროში. მაიტი ილუზიები, მაღალი ხელოვნებისათვის ბრძოლის იდეალები მოვლოდნელად შეგება სინდულეობს, რომლის დაღვევა ხშირად თავისებურ გამირობას უდრის. გმირი კი ყველა როდია და არც არავის სჭირდება ასეთი სამის „გმირობა“. ამ ორი წლის წინააღმდეგ, „მოლოდინე გრუზიაში“ (1970 წ. № 5) ვწერდით: „ჩვენთან გადაუწყველები რჩება თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საკითხი. განსაკუთრებით სავანგაშო რაიონებში განაწილებული ასალგაზრდა მსახიობებისა და რეჟისორების ბედი. რაიონებში, როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიხედვით, დღემდე, ძალიან ცოტა კეთდება ასალგაზრდა მსახიობთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესე-





ბისათვის... ნუთუ ასე ძნელია ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის საბინაო პრობლემების მოგვარება? რა თქმა უნდა, არა! საქმე ესება თეატრის, როგორც იდეურ კულტურული კერისა და მებრძოლი იდეოლოგიური ტრადიციის შეუფასებლობას“.

ამ წერილის შემდეგ არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ისევე დარჩა. ამის საილუმინაციო რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ მსახიობის თავისი ემოციური და მგრძობიარე პროფესიის გამო მუდგებრივად არ რჩება უარადღობის თუ უკარადღებობის ოდნავი გამოვლენაც კი. ყოველმა მათგანმა უნდა იცის რომელი სპექტაკლს დაესწრო მათი რაიონის მღვიანა ან ლანკაშიის თავმჯდომარე, ვინ როგორი შეფასება მისცა მათ შორის, ვინმეს საიმოვნებს ეს თუ არა. რას იზამთ, ამითა თეატრის ცხოვრება, მისი სინამდვილე. არ დავმალავ და ზოგჯერ გამხელაც ვერდებათ იმისა, რომ მათი არიონის ხელმძღვანელები უცხო სტუმრებისთვის წელიწადში ერთი-ორჯერ თუ ეწყვიან ხოლმე თეატრს. გულისტკივილით გეტყვიან ამ ამბავს და თან დასძებნენ „კარგი კაცია—ნუ იტყვი სადმე, ვაითუ შევიძინო და მერე სულაც არ მოგვცავენსო“. და განა უწილობა სახელმწიფოებრივი საქმე პრობლემების სუბიექტურ ხასიათებზე იყოს დამოკიდებული? ყოველი თეატრი წლიურად საშუალოდ რ ახალ სპექტაკლს აწარმოებს, თეატრის მიერვე წლის მხატვრულ „პროდუქციას“ რომ გაისინჯოს რაიონის ხელმძღვანელებმა, სულ 15-18 საათი დასჭირდება. ნუთუ 365 დღედან დღენახვარი თუ ორი დღე მაინც არ უნდა დაეთმოს თეატრს? განა მართლა მოუცვლელთაშია საქმე? თუ რომელიმე პატარეჟიული ხელმძღვანელი ამას ფიქრობს, გვიჩვენა მათ შეჯახსებით რველი ბუღალდის ვ. ი. ლუნიის მაგალიტი. მთელი თავისი რეჟისურის მიღებაწინების მანძილზე მას არასდღეს არ შეუხებიათ თეატრისადმი უკუარადღება. ცნობილი ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ლუნიის ამბობდა, ეკლესიებს თეატრები შეესჯილიან. იქ ივლის საბჭოთა ადამიანი. მუშა, გლეხიო. იგი ზრუნავდა იმ ადგილის კეთილმოწყობაზე, სადაც ამ ზაღლეს უნდა ვარა.

ვ. ი. ლუნიის იყო მეთაური და შთამაგონებელი არა ერთი დიდი სახელმწიფოებრივი თეატრალური ღრისძიებისა.

1921 წლის სექტემბერში ლუნიისა მითითება მისცა „სოცნარკომს“ — საშუალებები გამოენახათ დიდი თეატრის რემონტისათვის, ხოლო უფრო ადრე, 1919 წლის 3 მაისს, ლუნიის თავმჯდომარეობით განხილული იქნა მოსახლეობაში თეატრის ბილეთების განაწილების საკითხები. გასოცნარი ფაქტია, არა? საბჭოთა ქვეყნის ურთულესი დრო და ბილეთების განაწილებაზე ზრუნვა! მსოფლიოს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის თეატრების მოღვაწეები ინატრებდნენ ასეთ ზრუნვას. დაბას, ასეთი იყო ლუნიის დამოკიდებულება თეატრისადმი მისთვის სახელმწიფოს პირველ წლებშივე. ამასთანავე ეს არის ბრწყინვალე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იყოს საბჭოთა თეატრისადმი პარტიული ხელმძღვანელობის როლი და ამოცანა. თეატრისადმი ყურადღების ლენინური დამოკიდებულება ათევედ უნდა იყოს თეატრის მოღვაწეთა პასუხისმგებლობას, ახალისებულ და მათ და მკვეთრად ამაღლებს თეატრის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეორე მსოფლიო ომში არც ერთ ქვეყანას არ გაუღია იმდენი მსხვერპლი. რამდენიმე საბჭოთა ქვეყანამ, მსოფლიო ისტორიის მთელ მანძილზე არასდღეს არ დაწერულა ამდენი ქალაქი და სოფელი, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ერთი დღითაც კი

არ შეუნელებია თეატრისადმი ყურადღება. სამელომის დროს გავსაზი „პრავდაში“ პიესაც კი დადგინდა (ა. კორნეიჩუკის „ფრანკი“).

ეს იყო თეატრისადმი ლენინური ზრუნვის მაგალიტი იქ, სადაც თავი იჩინა საერთოდ შრომელთა კულტურული ცხოვრებისადმი ყურადღების მოძღვრება, თეატრებისა წარმატებით ვერ გადაწყდა ახალგაზრდა კადრების საკითხი. აი, ორი ტიპური, საილუმინაციო მაგალიტი. ამ უთი წლის წინათ მესხეთში, ქალაქ ახალციხეში, განახლდა ქართული თეატრი. ყველას აფიქრებდა, თუ ვინ წავიდოდა ახალ თეატრში. თეატრის შესაქმნელად კი მთელი დღი იყო თეატრი. მე ბედნიერი შემთხვევა მქონდა ანაერტსულ მესხურმა ჩემს სტუდენტებთან, თეატრალური ინსტიტუტის სასახლისათვის ფაკულტეტის მეთაურებზე. სხვა პრობლემებთან ერთად, ყველას აფიქრებდა მთელი საკითხი. როგორ მოეწყობოდა მათი ცხოვრება, ექნებოდა თუ არა საშუაო პირობები და... ისინი წავიდნენ. ახლა ამ თეატრს ხუთი წელი უსრულდება. აქ არის ძმობის, მეგობრობის ახალგაზრდული ერთობისათვის აღსაყვამელი ტიპები. ისინი იოლ პირობებში როდი მუშაობენ. ყოველ მერვე დღეს გადაან მუშობენ რაიონებში, დადანი საოფელში, მუშაობენ დღისითაც, ღამითაც. ხშირად განავლით სპექტაკლებზე (40-50 კილომეტრზე) მიჰყავთ თავიანთი მცირეწლოვანი შავებში, რომლებიც სანახევროდ თეატრში იზრდებიან. ადვილი როდია ყოველივე ეს შრომებისთვის, მაგრამ ამ ახალგაზრდებმა უკვე გვიჩვენეს თავიანთი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნა, გვიჩვენეს მაგალიტი, რომელიც არა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უკან არ დაიხვეს სიძულეთა წინაშე, თუკი საამისოდ გარკვეული პირობები არსებობს.

ამ ახალგაზრდობას ხალხის და ენერჯია შემატა ქალაქის პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღებამ, მათმა დახმარებამ, ყოველდღიურმა ზრუნვამ. მათ მიეცათ საცხოვრებელი ბინა, დახვდათ გულთბილი ატმოსფერო. ჩვენ კომფორტზე, სხვებისაგან გამოირჩეულ პრივილეგიებზე, როდი ვლანაპარობთ, არამედ ელემენტარულ ნორმებზე. საქმარის აღმოჩნდა ამ ნორმების დაცვა და ახალგაზრდა კადრების საკითხზე წარმატებით გადაწყდა. ეს გავატა, სწორედ ახალციხის პარტიული ხელმძღვანელობამ მას მხარი მისცეს ასაკში მისა და ადგილს კენის რაიონებისა. ამ თეატრის ყოველ ზრუნავდენ კულტურის სამინისტროცა და სხვებიც. ასე ერთობლივად გადაწყდა დიდნიშვნელოვანი საკითხი. იმედო გვაქვს, რომ ეს ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება.

არანაკლებად საინტერესოა ზუგდიდის თეატრის მაგალიტი. მაგალიტი იმისა, თუ როგორ არ უნდა იყოს თეატრისადმი დამოკიდებულება. ზუგდიდში წავიდნენ ახალგაზრდა მსახიობები რეჟისორ თ. ჩხეიძის მეთაურობით. მაგრამ ერთ წელზე ცოტა მეტ ხანს დარჩნენ და დაიშლნენ. არა, კი არ დაიშლნენ, სხვას უმთავრესობა რუსთაველის თეატრში. თ. ჩხეიძე თეატრის ერთ-ერთი მოწინავე რეჟისორია. კარგად მახსენს ამ ოპტიმისტი ახალგაზრდების ენერჯიული მუშაობა ზუგდიდში. არასოდეს არ დაშავიწყებია თ. ჩხეიძის ნათქვამი: „ვისთვის ვმუშობ, არავის არ აინტერესებს“. როგორ თუ ვისთვის, ხალხისთვის, — ვუთხარი მე და მიხვდნენ, რომ არავითარი დამაკერებლობა არ ქონდა ჩემ ფრანსა. რეჟისორი სწორედ რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღებას გულისხმობდა.

ამ რამდენიმე ხნის წინ კულტურის სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთ სესიონში მისიტრამა ჰკითხა ზუგდიდის რაიონის კულტურის განყოფილების გამგეს: როგორია თეატრის ახალი სპექტაკლები. მან ვერცერთი სპექტაკლის

სახელიც კი ვერ გაიხსენა. მერე მოაგონდა, რომ არსებობს აიესა „სამშობლო“ და უპასუხა, — თითქმის ზუგდიდის თეატრში „სამშობლო“ იდგმებოთ. განა შეიძლება თეატრის კოლექტივისადმი ამგვარი უპატივცემლობა? ეს თეატრი ხომ ყოველწლიურად 450-ზე მეტ სპექტაკლს უჩვენებს? რამდენ უშილო ღამეს, შრომასა და ენერგიას მარჯავს ამისათვის? ნუთუ ეს უანგარო შრომა მიტყუარდება ამ ინსახურებს?

უნდა გაეიხსენო ჩვენს თეატრალურ წრეებში კარგად ცნობილი ფაქტი. მას ზმირად თეატრალურ კულისებში ვყვებით ხოლმე. დაე, ახლა მაინც ითქვას საჯაროდ. ზუგდიდის პარტიულმა ხელმძღვანელობამ შესძლო გამოჩინება რეჟისორმა ვ. ყუმიტაშვილი მიეწვია. ეს მართლაც დიდი მოვლენა იყო. საფრანგეთისა და ამერიკის თეატრალურ წრეებში პირადად რეჟისორი სამუშაოდ ჩავიდა ზუგდიდში. პირის თანახმად, გარკვეული პერიოდის შემდეგ ვ. ყუმიტაშვილი თბილისში უნდა დაბრუნებულიყო. გაცივდა ეს დროც, რეჟისორმა შეასენა ქალაქის ხელმძღვანელობას მათი შეთანხმება. ვ. ყუმიტაშვილის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხელმძღვანელმა უარი უთხრა რეჟისორს ზუგდიდიდან წასვლაზე. ხოლო როცა ვ. ყუმიტაშვილმა ხელმძღვანელს განუცხადა, რომ არ დადგამს სპექტაკლებს, ხელფასს კი ავიღებ და იძულებული ვახდები განათავისუფლოთ, უპასუხეს: ნუ დადგამთ, თქვენსითანა ინტელიგენტ ქალაქში უსაქონლად რომ დადიოდეს, მაინც დირის იმ ხელფასად, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ.

ასეთი იყო თეატრის მოღვაწეებისადმი დამოკიდებულების ნაიმუშო მავალით იმავე ზუგდიდში. როცა ამ შემთხვევას ვიხსენებ, მაგონდება არა ერთი მსახიობისა თუ რეჟისორის ამკამინდელი მდგომარეობა. მართლაცდა ქვის ველი უნდა გქონდეს ხელმძღვანელს, რომ „შენს“ ქალაქში, „შენს“ რაიონში, იქ, სადაც ჩავგაბარეს ათასობით ადამიანის ბედი, ხელოვანი უბინაობის გამო თეატრის შენობაში ცხოვრობდეს, ცხოვრობდეს გამოუვალი მდგომარეობის გამო, თორემ რომელმა დირექტორმა არ იცის, რომ კანონით დაუმეგობლია ამგვარი რამ.

აი, ცხინვალისა და სოხუმის მავალითეობი, ცხინვალის ქართულ დასსაც შეემატენ უმაღლესი თეატრალური განათლების მქონე მსახიობები, მაგრამ ვერც მათ გაამძებინეს და უმრავლესობა მალე შემოიფარნტა თეატრს. მიზეზი ერთი და იგივეა. წელს სოხუმის თეატრში თერთმეტი ახალგაზრდა მსახიობი წავიდა. არ გასულა დღე დრო და უკვე დაიწყო დნადობა. რატომ? ამ საკითხზე საუბრითი სამართლიანად განაცხადა სამინისტროს კოლეგიის გაფორმებულ სხდომაზე სოხუმის თეატრის ხელმძღვანელმა ნ. ეშმაძემ, რომ ახალგაზრდა მსახიობები ბიზნის დაქირავეებისას იხდიან 50 მანეთს, ხელფასი კი 85 მანეთი აქვთ. თეატრს არ შეუძლია თავისი ძალებით გადაწყვიტოს ეს საკითხი. ასეთივე განცხადება შეუძლიათ გააკეთონ სხვა დირექტორებმაც.

როდესაც წერილის შეასავალით ძველი მსახიობის მძიმე ხვედრზე ვლაპარაკობდით, ეს სიმძიმე შედეგი იყო უკუღმართი დროისა, დღეს არ არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს ამგვარი მდგომარეობისათვის. იგი შედეგია ცალკეული ხელმძღვანელობის უყურადღებობისა.

ჩვენ ვიცი, რომ ზოგიერთ რაიონში საერთოდ არ არსებობდა დაწესებულება საბინაო პრობლემა. საცხოვრებელი ბინები ცოტა შენდებოდა, მაგრამ ყველაფერი მაინც თავს იყრის ხელმძღვანელობის დონესთან, მის სახისათვის. აი, თუნდაც ფოთის მავალითი. ამ თეატრში მხოლოდ ერთ მსახიობს ჰქონდა უმაღლესი თეატრალური განათლება. ვერ იქნა და ვერ გადაწყდა ახალგაზრდა სპეციალისტების მიწადიდის საკითხი, ვიდრე ქალაქის ხელმძღვანელობამ არ გამოყო ორი ბინა. სამგარისი აღმოჩნდა ამ მინიმუმის გაკეთება და წელს ამ თეატრს უმაღლესი თეატრალური განათლების ექვსი ახალგაზრდა შეემატა. როგორც ვხედავთ, პარტიულ ხელმძღვანელს, თუ იგი ვერცხვად აფასებს თეატრალურ კულტურას, წარმატებით შეუძლია შექმნას იმგვარი პირობები, რომ მირალური უფუფუნად ჰქონდეს თეატრს მოსთხოვოს: იყოს უფრო ძლიერი თავის შემოქმედებაში, უფრო საინტერესო და მაღალმატერული იყოს მისი ნამოღვაწარი.

იმის გამო, რომ ძალიან ნელი ტემპით მივრდები თეატრებში ახალგაზრდა სპეციალისტების გავრცეის საკითხი, თავი იჩინა არასახარბილო ტენდენციამ: თეატრის ხელმძღვანელები იძულებული არიან დასა შეაქონ კულტურულ-საგანმანათლებლო ტექნიკუმდამთავრებული ახალგაზრდებით (გამონაკლისი შეიძლება), ან პირდაპირ სცენისმოყვარეობით. რასაკვირველია, თეატრის პროფესიული დონე, მათი შესაძლებლობის შესაბამისი ხდება. ამ მოქლენს მერვე მხარეც აქვს. თუ ასე გაგრძელდა, მიხდებოდა ისე, რომ გარკვეულ წლებში დაკომპლექტდება დასი და მაშინ დილიშის წინაშე აღმოჩნდებით — როგორ მოვუაროთ თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს? სად გაგანაწილოთ? ამჟამად ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრებში შეიძლება 20-25 მსახიობის მოწყობა. ეს ბევრიც არის და ცოტაც. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს მუშაობაზე. დამოკიდებულია იმ ტენდენციებზე, რომელიც წარმატებით გადაჭრის ხელოვნათა ახალი კადრების აღზრდისა და დამატების, მათი შრომითი მოწყობის პრობლემებს.

გვეყვარა, რომ თეატრისადმი დამოკიდებულებაშიც მოხდება გარდატეხა. რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ახლა შორიდან მასურებლის როლით არიან, უფრო ახლოს მივლენ თეატრთან, გაიკვირნენ თუ რით სუნთქავს, რით ცხოვრობს ხელოვანი კომკავშირელი.

სხვაც ბევრი ითქმის თეატრზე, მის წარმატებასა თუ ნაკლოვანებებზე. ბევრი ითქმის იმაზეც, თუ ვინ როგორ ეხმარება ამ თეატრს, ვინ რამდენად არის დანიჭრესეული მისი ბედი. ერთი კი ცხადია, რომ თანამედროვე მთხოვნის დონეზე ადგილობრივი დაქვემდებარებით თეატრებს ვეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ ვერც კულტურის სამინისტრო, ვერც ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ვერც კომკავშირი და ვერც პრესა. შეუწყარვებლად სუსტია თეატრალური კრიტიკის დახმარებაც. ახლა მთავარის არის, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ დღეს, ხვალ. როგორ გარდავქმნათ მუშაობა, როგორ გადავწყვიტოთ ერთობლივად, კომპლექსურად ესოღენ რთული საკითხები. რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ახალი კურსის არსი თეატრის სფეროში, თეატრისადმი ლხინიური დამოკიდებულების, მისი ნორმების აღდგენა და განვითარება ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე.





# მ ი ვ ს ე ლ ო ბ ხ ა ლ ს ხ უ რ ა მ ა უ ს ი კ ა ნ ს !

შემხრებულ უნიკალურა ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა, იგი განუზომელ ზემოქმედებას ახდენს მხნეულზე ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ცნობილმა მუსიკისმცოდნემ ზ. ნადელმა შემთხვევით მოკერა ყური ტყვედ ჩავარდნილი გურულების სიმღერას. დაინტერესდა „სიმღერების“ ვინაობით და განცვივრდა, როცა შეიტყო, რომ მათ მუსიკასთან არაფერი ჰქონდათ საერთო. ეს ქართველი ჭაბუკები ტყვეობამ შეახვედრა ერთმანეთს, ისინი დარდას და მივიპროშას მშობლური სიმღერის ჰანგებით იმსუბუქებდნენ. „ჩვენში ყველა ასე მღერისო“ — მიუგის ქართველმა ტყვეებმა ნადელს. ასეთმა პასუხმა კიდევ უფრო გააკვივრა ცნობილი მკვლევარი. სწორედ ამ ჭაბუკებისაგან ჩაიწერა ზ. ნადელმა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა და ამ საკმაოდ მცირე მასალის საფუძველზე დაწერა სპეციალური ნაშრომი, სადაც წაითაყენა გაზეივლილი აზრი — ეგრეთაჲმ მრავალხმიანობა საქართველოდან შემოვიდაო.

განა მხოლოდ თვითმყოფადი პოლიფონიური აზროვნებით ხასიათდება ქართული ხალხური მუსიკა? იგი სხვა მხრივაც განსაკუთრებულია — გამოირჩევა ჯანბორბივი მრავალსახეობით, მდიდარია დიალექტებით — ქართლკახური, მეგრული, გურული, სვანური და ა. შ. თითოეულ მათგანს მკვეთრი თავისებურებანი ახასიათებს. არსებობს ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფადობის გამოშვავილი სხვა მხარეებიც, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. ყველივე ამის შესახებ არაფერი იცოდა ზ. ნადელმა. ეს დღესაც არ იციან უცხოელმა სპეციალისტებმა.

ამიტომაც გულისტკივილით აღვინიშნავ, სათანადო დონეზე არ გააქვს დაუქნებელი ქართული ხალხური მუსიკის პრობლემა. მაგალითად, ორიდევ წლის წინ მოსკოვში ბავშვთა და ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების IX კონფერენციასზე თავი მოიყარეს მუსიკალური სამყაროს გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. ქართული ხალხური სიმღერების მოსმენის შემდეგ „დედუკები გაკვირვებას გამოთქამდნენ ჩვენი სიმღერების მრავალხმიანობის გამო, გვეკითხებოდნენ, ნუთუ ასეთი სახით არსებობს იგი ხალხში და მასში კომპოზიტორის ხელი არ ურევიაო“ (გაზ. „თბილისი“, 25/VII, 70 წ.) თანამედროვეობის გამოჩენილმა მუსიკოსმა — ი. სტრავინსკიმ კი ამ რამდენიმე წლის წინ განაცხადა: — ჩემთვის უკანასკნელი წლების ყველაზე დიდი აღმოჩენა იყო ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერები. ეს მან სრულიად შემთხვევით აღმოჩინა, თავისი მიგობრის ნ. კრინბერგის საშუალებით, რომელსაც ამერიკაში გურუ-

ლი ხალხური სიმღერების ჩანაწერები ჩაუტანია. მასასადამე, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ასპარეზზე გატანას საქმე მაინცდამაინც წინ ვერ წავივნივია. ჯერ კიდევ 1937 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების პირველი დეკადის დღეებში გახეთი „პრადა“ წერდა: „მუსიკის ისტორიკოსები ყოველთვის ძალიან ნაკლებ გურადლებას აქვეყნდენ ხალხურ სიმღერებს. სრულიად უფერულ ჯერმაველ და იტალიელ კომპოზიტორებს ასობით წიგნები და სტატები აქეთ მიძღვნილი, ხოლო თავისი მუსიკალური მნიშვნელობით იშვიათი ქართული ხალხური სიმღერების შესახებ უცხოეთის ლიტერატურაში თითქმის ვერაფერს ნახავთ. ჩვენმა მუსიკისმცოდნეებმაც ვერ მოიკალეს, რომ როგორც საჭიროა ხელი მოვიკიდათ ხალხური სიმღერებისათვის, გასცნობოდნენ მათ თანამედროვე მდგომარეობას, ისტორიას. ისინი განცვივრებოდა და აღტაცებით შლიან ხელებს, როცა ისმენენ ქართული მელოდების სიმღიდრეს, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადო უნარი არ შესწევთ განმარტო მათი თავისებურებანი („პრადა“, 14/1 1937, № 14. სტატია გადმომეჭვდილი იყო გაზ. „კომუნისტში“. 1937 წ. № 19).

დღეს უცხოეთი სპეციალისტებისათვის ქართული ხალხური მუსიკა აღმოსაჩენი არ იქნებოდა, დროულად და სათანადოდ რომ გვეზრუნა მასზე. ამისათვის კი მრავალი საშუალება არაებობს: საჭიროა ქართული მუსიკალური ფოლკლორის საფუძვლიანი და მრავალმხრივი შესწავლა. დროა შეიქმნას ვრცელი მცენიერული ლიტერატურა, რომელშიც მაღალ პროფესიულ დონეზე იქნება გაანალიზებული მუსიკალური ფოლკლორის ყველა საკითხი. ასევე აუცილებელია ქართული ხალხური სიმღერების კრებულების სისტემატური გამოცემა, მათი ხარისხიანად ჩაწერა ფირფიტებზე, მხატვრული კოლექტივების გასტრელების თადამოჩინა ჩატრება არა მარტო საბჭოთა ქვეყნის ფარგლებში, არამედ უცხოეთშიც; გარდა ამისა, უთუოდ სათანადოდ ნაყოფს გამოიღება ჩვენს რესპუბლიკაში ხალხური მუსიკის ფესტრავლების გამართვა ფართო მასშტაბით, ეს ღონისძიება არ უნდა იფარგლებოდეს თვითმოქმედი კოლექტივების წახალისების სურვილით. მას ღრმა შემეცნებითი ხასიათი უნდა მიეცეს. ასევე სასურველია სამეცნიერო სპეიების, სიმპოზიუმების სისტემატური ჩატრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ჩვენი სპეციალისტები, არამედ საბჭოთა და უცხოეთის ფოლკლორისტები და ა. შ.

არც ისაა დასამალი, რომ ქართული ხალხური მუსიკის განვითარება შეწყდეს, მან ერთგვარად შეწყვიტა თავისი



დღი ცხოვრება. იგი მხოლოდ ერთოვრავიული გუნდების საკუთრება გახდა. და ხალხი კი ნაკლებად მეტრის თავის სიმღერებს. შრომის დროს, ჭირში და ლხინში. ამ შემთხვევაში ერთოვრავიული გუნდები მუხუშუმებს უფრო მოგვაკონანს, თანაც მნიშვნელოვანი განსხვავებით: მუხუშუმში ქ-სპონანტები სამარადისოდ არის დაცული, ერთოვრავიული გუნდი კი ამის უნარს მოკლებულია. საკვალაო ეს ფაქტი!

ქართული ხალხი ძირითადად კოლექტიურ შემოქმედებითს პრინციპში ნახვია თავის დიდებულ საკუთრ მუსიკას. კოლექტიური შემსრულებლის დროს ერთი და იგივე სიმღერა აბსოლუტურად ერთნაირად არასოდეს არ სრულდებოდა. ეს შემოქმედებელი შემსრულებლები სიმღერის ამა თუ იმ მუხლს უცვლიდნენ საუეს — ამდიდრებდნენ, აღრმაგებდნენ მის პარმონიასა და პოლიფონიას. ასეთი ცვლილებები შედეგად ხშირად ახალი სიმღერა იბადებოდა კიდევ, ამიტომაც ხალხს არასოდეს ბერძნებოდა ხოლმე თავის სიმღერები. იგი მუდმივ განვითარებაში იყო. ახლა კი, ხალხში ფეხი მოთივად მოღერება უცხოურმა სიმღერებმა, უცხოურმა ინტონაციებმა. ჩვენებური ხალხური სიმღერების შესრულება უკიდურესობაში შეწედა და, ცხადია, მის განვითარებას ფრთები შეეკავა. მხოლოდ ავა-იქ შემოერთება ამ საქმის თითო-ორულა ეთნოგრაფიკა, მაგრამ ისინიც, რაკი ხედავდნენ, რომ მოდას მეტი გასავალი აქვს, უსიღოსოდ კვადებიან საქმეს...

ჩვენ ისაც იგი ვიცით, თუ როგორ შევეწყით ხელი ხალხური მუსიკის განვითარებას. ხშირად ხელის შეწყობის მაგიერ ხელის შემლა გამოვცდის. ეს კი უთუოდ იმით უნდა აყვნათ, რომ ჩვენში ქართული ხალხური მუსიკის მცენიერულად შესწავლის საქმე ჯერ კიდევ არა დასა სათანადოდ დონეზე, არ არის მიგნებული ქართული ხალხური მუსიკის განვითარების შინაგანი კანონები. ხოლო ამა თუ იმ მივლების განვითარებისათვის სწორი გეგმის მიცემა ვერ მიხერხდება, თუ არ იქნება შესწავლილი მისი შინაგანი კანონები.

მართლაც, ჩვენმა ცნობილმა მუსიკისმცოდნეებმა (შ. ასლანშვილი, გ. ჩხიკავაძე, ბ. გულისაშვილი, ვ. აბაშიძე, თ. ჩივაძე, ვ. გვახარია, თ. მამალაძე და სხვ.) ბევრი რამ გააკეთეს ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, მაგრამ ეს რომ არ კმარა, ამას თვალსაჩინოდ ასაბუთებს ქართული ხალხური მუსიკის ახლანდელი მდგომარეობა. ცალკეული პირები ან კი როგორ შეძლებენ ქართული ხალხური მუსიკის შესწავლის სათანადოდ, დონეზე აყვანას? ამისათვის აუცილებელია სათანადოდ მეცნიერული ცენტრი, მკვლევართა მსალაური კოლექტივი, რომელიც სისტემატურად უნდა იყისოდეს საამისოდ მომზადებული კადრებით. ამ დარგში მუშაობა გაუნძღვლებდ მარტო მუსიკალური განსაკუთრების მქონე სპეციალისტს, იგი ამავე დროს საუფქვლიანად უნდა იცნობდეს საქართველოს ისტორიას, ქართული ხელოვნების ისტორიას, ქართულ პოეტურ ფოლკლორს, საქართველოს ერთოვრავიას. ამას კარგად ასაბუთებს არასპეციალისტი მუსიკოლოგის წარმატებანი; ხომ საყოველთაოდ ცნობილია იგი. ჯავახიშვილის ფუქიმდებლური ნაშრომი ქართული ხალხური მუსიკის შესახებ. ი. ჯავახიშვილი სპეციალისტი მუსიკოსი არ ყოფილა, მაგრამ სხვა ქართველოლოგიური დისციპლინების უბალო მცოდნე იყო. ასეთი განათლებით მამინ ისიც კი შეძლო, რომ ფილოლოგი (და არა მუსიკოსი!) ჯ. ნოღაიდელის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე დაადგინა — თხზნიანთა ატარულ შრომის სიმღერებში დღემდე შემორჩენილიათ. შეიძლება სხვა არამუსიკოსი მოღვაწეების დასახელებაც, რომელთაც სპორულ-ფილოლოგიური დისციპლინების საფუძვლიანა ცოდნა შესაძლებლობა მისცა ქართული ხალხური მუსიკის შესახებ საკულისმით დასკვნები გამოტანათ.

ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სათანადოდ კადრების მომზადება შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ან ეთნოგრაფიის სპეციალურ ფაკულტეტში განვითარების დარგზე უნდა გაიხსნას, სადაც, რაღა თქმა უნდა, მიიღებენ საშუალო მუსიკალური განათლების მქონე ახლავაზრდებს.

ქართული ხალხური მუსიკა ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის ბრწყინვალე გამოვლინებაა; ამას ერთხმად აღიარებს ყველა — შინაურთაც და გარეგნაც. ეს საუბერ წინაპრებმა ჩვენამდე მოიტანეს და ჩავაბარეს, რათა იგი მსოფლიო კულტურის საგანძურში შევიკვანა. ჩვენ თუ არ ვიზრუნებთ ამ განძის შენარჩუნება-განვითარებისათვის, დანაშაულს ჩავიდებთ არა მარტო ჩვენი წინაპრების, არამედ ჩვენი მოავლების და საკაცობრიო კულტურის წინაშე, რამდენადღაც საკაცობრიო კულტურა ის საგანძურია, სადაც ყველა ხალხს, დიდსა თუ მცირეს თავისი წვლილი შეაქვს. დავეშვათ და ცვლა ხალხი ასე გულგრილად მოვიკიდა თავის კულტურას. — რაღა შეგვჩენება? ეს ხომ საკაცობრიო უბედურება იქნებოდა?

ასანაშვავია ერთი მეტისმეტად მნიშვნელოვანი მომენტიც. საკითხი აქნა ახლავაზრდობის აღზრდა.

ცნობილია მუსიკის უდიდესი გამაკეთილშობილები ძალა. ქსპერიმენტულად ამტკიცებენ, რომ არამც თუ ადამიანებზე, ცხოველებსა და ასე გასინჯეთ, მცენიერებზედაც კი გარკვეულ გავლენას ახდენს მუსიკა. მარტო ცრუმორწმუნეობის შედეგად როდი იყო, რომ ჩვენში მძიმე სენით შეპატონებისადამიანების განკურნებას (ხალხის რწმენით — პატონებისა), სენის გამკეკვლი სულების გულის მონადირებას) ჩონჩურს დაკვირათა და ამიღერით ცდილობდნენ.

მაგრამ ყოველგვარი მუსიკა, თურმე, რომი აკეთილშობილებს ადამიანს. აი, ერთი წერილი, რომელიც ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა. წერილის სათარაია „ერთ ვკვეთქრება თანამედროვე მუსიკა?“. მასში ნათქვამია, „ტუნესის შტატის ქალკ ნოსკილის (აშშ) უნივერსიტეტის პირველ კურსელებს უმრავლესობას სამედიცინო შემოქმედის შედეგ ამოიზარდა სმენის მნიშვნელოვანი დაქვეითება. ზოგაერთმა სტუდენტმა სმენის მხრივ მადიურა მოხუცის დონეს. უნივერსიტეტის შემოქმედებულმა მაღიურა სპეციალაციამ გადაწყვიტა ჩატარებისა გულმოდინე გამოკვლევა, რათა დაედგინათ ასეთი უცხური მოვლების მიზეზები. ექიმებისა და სპეციალისტების ხანგრძლივი ქსპერიმენტების შედეგად გამოიჩვენა, რომ სმენის დაავადების „წყაირო“ — ეს არის ნოსწავლეებისა და სტუდენტების გატკავლა ულტრათანამედროვე მუსიკით, რომელიც ქუხს და გრავალებს ნოსკილის მრავალრიცხოვან „დისკოთეიმების“. ექიმებმა ცდები ჩატარების ცხოველებზე, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასმენინებდნენ როკ-როლს, ტვისტს და მსგავს მუსიკას, სპეციალურად ჩაწერილ გასართობ დაწესებულებებში, სადაც ხშირი სტუმრები არიან სტუდენტები. რამდენიმე საათის შემდეგ ცხოველები უკვე ვერარ აღქე-მდნენ ამ მუსიკას. გამოიჩვენა, რომ მათ სწორიულად ჰქონდათ დი-ზონანებული სმენის აპარატი, განსაკუთრებით დაფის აკვი. ამ ქსპერიმენტის შედეგად დიწყო ნოსკილის მოსწავლეობა გამოკვლევა და აღმოჩნდა, რომ მისიარდა შორის ბევრს არ შეელო ბეჭტების ნორმალურად აღქმა. დაზარალებულთა განსაკუთრებით მაღალი პროცენტია იგი უფროსი კლასების მოსწავლეობა და სტუდენტთა შორის, რომლებიც დაავადებულნი არიან თანამედროვე „მუსიკის“ სენით.“

საკდესის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი თ. ანიჩინი იუწყება, რომ ექიმმა დედვი ლოსკომპმა, რომელმაც ჩატარება გამოკვლევა და ქსპერიმენტები, განაცხადა, „ხმაურის მუსიკით“ ამერიკელი ახლავაზრდობის გატკავება შეიძლე-





ბა ახალგაზრდებს მოუპოსოს ნორმალური შრომითი საქმიანობის შესაძლებლობა, ჩვენ რაღაც უნდა ვიღონოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავეგებოთ ფრიად სავალალო შედეგების წინაშე“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტები“ 28/11—68 წ.).

რასაკვირველია, ეს საშინაო ლებაც ჩვენი არ არის, მაგრამ იმას კი აშკარად ადასტურებს, რომ ყოველგვარი მუსიკის ან აკეთილშობილების ადამიანს. ბურჟუაზიულ სამყაროში არის ადამიანები, რომელთაც აწყობთ ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც არავითარი საზოგადოებრივი ინტერესები არ ექნება. ისინი არც კი ფარანებ ამას. აი, რა უთქვამს ერთ ასეთ იდეოლოგს: „დედ, აკეთონ, რაც სურთ, იცეკვონ როკ-ნ-როლი, გაერთონ სპორტით, სიყვარულით, იარონ და-რის კლუბებში, დალიონ, ბოლოს სცემონ ერთმანეთსაც — ეს მათი უფლებაა და არ შეგვიძლია აუკერძოთ. მაგრამ ჩვენი შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ, ჩამოვაშოროთ ისინი პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელიც საბოლოო ანგარიშში ამოირჩევა მარქსისტული პოლიტიკა“ — (გაზ. „სასახლი განათლება“, 27/11/11—70 წ. ციტატა მოკაყეს ა. ჩაჩიბაიას თავის სტატიაში).

დას, მათაც იცინა, რომ ყოველგვარი მუსიკა არ აკეთილშობილებს ადამიანს და შეეჩვეულად უბიძგებენ ახალგაზრდობას ისეთი მუსიკისაკენ, როგორც გამოფიტვას მას, როგორც სოციალურ არსებას. ჩვენ კი აუ გერ მივიწყებთ. თუმცა ეს ისე არ უნდა გაგვიფიქროს, თითქმის ჩვენ სიახლოსა და წინააღმდეგობას ვიყოთ. მაგრამ უზოგადერ ენერჯითი სასეე ახალგაზრდა ისეთ მუსიკას ის-მეს, რომელიც მის სულზე, ნერვებზე მოქმედებს როგორც გამაღიზიანებელი საშუალება, რის შედეგადაც იგი მზად არის ხელი მოალოს ახალდარჯულ ხეს და მოელოდეს, წიხლი ჰქვას სანაგვე ურნას და ააყიროს, არ დაერიდოს გამძლეულ ადამიანებსაც და ჩემი აუტყვოს, ან გვერდით ჩაგლით გოგონას მომბაქურებლად აიღებოს... ცხადია, ყველა ამ ბორბლების მიზეზს მხოლოდ მუსიკალურ შთაბეჭდილებებს ვერ მივაყურთ. აქ თავს იჩენს აღზრდა, ბუნება, მაგრამ აღზრდამიც და საქონელი ახალგაზრდის სულიერი ცხოვრების ფორმირებაში მუსიკას რომ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ესეც უდავოა. ნამდვილი, ჭეშმარიტი მუსიკის მოსმენის შედეგე პირიქით ხდება — აგრესიულად განწყობილი ბუნებაც კი მშვიდდება, კეთილშობილდება. ამ დიდ საქმეს კი ყველაზე უკეთ მშობლიური მუსიკა აკეთებს. ამიტომ მასზე მეტი უნდა ვიზრუნეთ. ყოველი დღე უნდა ვცხამართ ქართული ხალხური მუსიკა შევინარჩუნოთ და ნორმალური განვითარებისათვის საჭირო პირობები შევქვიშნათ.

რა ვიღონოთ?  
საჭიროა ღრმად ჩავეყვით ქართული ხალხური მუსიკის ბუნებას, შევისწავლოთ მისი განვითარების გზები. მოვაზნადოთ სათანადო მეცნიერული კადრები.

ცხადია, ამას დრო სჭირდება. მანამდე კი სასწრაფოდ უნდა გამოიქმნოს საშუალებები, ისიც არ დავაგროთ, რაც ვერ კიდევ შემოგვრჩენია. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია, აღდგას საქართველოს რადიოსა და ტელევიზიასთან ხალხური სიმღერების შემსრულებელი საგუნდო ანსამბლი იმ ტიპისა, როგორიც არსებობდა რადიოსთან 1943—1950 წლებში ავტენტური შეგრედიის ხელმძღვანელობით.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ანსამბლი საქართველოს რადიოსთან დიდი სამამულო ობის დროს ჩამოყალიბდა და წარმატებითაც მუშაობდა, მაგრამ, რატომღაც, ეს ოცეკიანი გუნდი დაშლეს. ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ ანსამბლის დაშლის შემდეგ გაძლიერდა გიტარობანია. ისინი (მოგებარენი) კი მღეროდნენ ყველაფერს, გარდა

ქართულისა. ახლაც ცოტას როდი მოისმენთ სიმღერებს, რომელთაც ტექსტით ქართული აქვთ, მუსიკალური ფაქტურა კი უცხოურია. ამასაც უნდა ვიბძოლოთ.

საქართველოს ყველა რაიონმა უნდა მიიბძოს მხარაძელ ამხანაგებს, რომლებმაც ამ საქმის დიდი ერთუხიანობა, საქართველოს სხვ ბელეობების დამსახურებელი ნიჟინისა, სასულეკაძის ინიციატივით ადგილობრივი მუსიკალურ სასწავლებელთან ჩამოაყალიბეს ერთდროულ მუსიკალური სასწავლებელი. ადგილობრივ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს, დაბავსეს რაიონის კომპოზიტორების სასწავლებელში გაეზახნათ 19—25 წლის საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, რომელთაც თვითონვე დაუნიშნავდნენ სტიპენდია. ამას გარდა, რაიონის კომპოზიტორები ვალდებული იყვნენ ხელი შეეყვით ამ ახალგაზრდებისათვის 3—5—7 კაციანი მომღერალთა ჯგუფების ჩამოყალიბებაში, ისინი ამ ჯგუფებს გადასცემდნენ სასწავლებელში მიღებულ მუსიკალურ ცოდნას, ამასთან შეასწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერებსაც.

წამოწყებას კარგი პირი უჩანს. ეს საშვილიშვილო საქმეა.

ხელი უნდა შეეუწყით მცირერიცხოვან კოლქტივებს, რათა ხშირად გაიმართოს მათი კონცერტები ახლომხლო ქალაქებში. შეეძგე კი ეს კონცერტები ცოცხლად (და არა ფირზე ჩაწერილი) გადასცენ რადიოთი და ტელევიზიით. ეს შემოაბა არ უნდა ატარებდეს კომპანიურ ხასიათს.

ამას გარდა: უნდა ჩამოყალიბდეს ქართული ხალხური საკრავების ორგანზტრი იმ ტიპისა, როგორიც ჰქონდა მარიამ არჯენიშვილს და სათანადო ყურადღება მიექცეს კირილე ვამაკიძის მიერ რეაბილიტირებულ ქართული ხალხური საკრავების ორგანზტრსაც.

უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა შეძლებისდაგვარად აღდგინდა ქართული საგალობლები. იგი ისეთივე მონაპოვარია ჩვენი კულტურისა, როგორიც ბეკა ოპიზარის ნაჭეტი ხატები და ჩვენი ეკლესია-მონასტრების კვლავზე შემორჩენილი ფრესკები. სამწუხაროა, რომ ქართული საგალობლების მცოდნენი დაიხიციენ. მაგრამ იქნებ აქა-იქ შემორჩენილი იყოს თითო-ორიად საგალობლის მცოდნე. მათაც უნდა მივაგნოთ. მართალია, დიდი ნაწილი საგალობლებისა ჩაწერილია, მაგრამ ვინ იცის — როგორ? „სიმღერის აბსოლუტური სისწორით ჩაწერა ჩვენი ახლანდელი მეცნიერულ-მუსიკალური საშუალებებით შეუძლებელია“ (დ. არაყიშვილი).

დღეს კი, როცა არსებობს სრულყოფილი ტექნიკური აპარატურა, მით უფრო საჭიროა ქართული ხალხური სიმღერა-საგალობლების ჩაწერა-გამოფრება.

- აკადემიკოსი ბ. ზანიამ,
- აკადემიკოსი შ. ამირახაშვილი,
- აკადემიკოსი ნ. ჩიბაძე,
- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
- წევრ-კორესპონდენტი ზ. ზირაძე,
- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
- წევრ-კორესპონდენტი ზ. ქიძინაძე,
- პროფესორი ბ. ნოღალაძე,
- პროფესორი ზ. შილაძე,
- პროფესორი ზ. მანუჩაძე,
- დოცენტი ზ. მარშაძე,
- დოცენტი მ. ნუნაძე.

ს ს რ კ 5 0  
ფლისთავისადმი  
ვიკლვნილი  
გამოფენილან



ბ. კვიციანი.

კომპოზიციური.

ნ. ქართველიშვილი.

სამშობლო.







ლუნილ სობინოვი.

## გამთბენილი რუსი მთავარი

სიმონ ფანცხავა

1914 წელს მოსკოვში გავიციანი ცნობილი პედაგოგისა და მწერლის ალ. ტიხომიროვის და—ანა ტიხომიროვა. ამ სათნო მოხუცმა ერთი საინტერესო ამბავი მიაშობ:

„ჩემ ძმასთან ა. ტიხომიროვთან პარასკეობით ვიკრიბებოდით. 1894 წლის შემოდგომაზე ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე უცნობი ახალგაზრდა მღეროდა, სტუმრები გატაცებით უსმენდნენ, უმაღლე დანტერესდნენ მისი პიროვნებით. გამიჩიკვა, რომ სავერდოვანი ხმით დაჯილდოებულ ახალგაზრდა მომღერალს, არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია სცენასთან, ეს იყო დამწყები იურისტი — ლუნილ ვიტალის ძე სობინოვი, — შესანიშნავ ხმასთან ერთად მას ხელს უწყობდა სილამაზე და მომხიბვლელობა“. სხვათა შორის, 1915 წელს მოსკოვში იყიდებოდა სობინოვის ფოტოსურათი, რომელიც უნივერსიტეტის დამთავრების პერიოდში ე. ი. 1894 წლის ივლისშია გადაღებული. იმ

ხანად მოსკოვში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი სტუდენტი, ეს სურათი რომ არ შევიძინოს. ლ. სობინოვი — თავმდაბალი, სათნო და კეთილშობილი პიროვნება, ხალხში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა.

ხელოვნების ეს დიდი ქურუმი მუდამ მზრუნველობას იჩენდა გაჭირვებული სტუდენტების, მუშა-რევოლუციონერების, დამწყები მსახიობებისა თუ მხატვრების მიმართ. უფრო მეტიც: მისი კონცერტების მთელი შემოსავალი განკუთვნილი იყო ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისათვის. ვინ მოსთვლის, რამდენ ასეთ საზოგადოებასა თუ გაერთიანებას ასულდგმულება სობინოვის კონცერტების ფულადი ფონდები? სობინოვის ერთი საღამოს შემოსავალი კი 5 ათას მანეთს აღემატებოდა. იგი სტუდენტობის ნამდვილი მეგობარი იყო. მოსკოვში სობინოვი ხშირად შემხვედრია სამკითხველოში, საჭარბაკოში და სტუ-

დენტთა სასადილოში, რომელიც პოლიტიკური და ლიტერატურული სჯა-ბაასის ადგილიც იყო. იქ ხშირად იმართებოდა ხოლმე საინტერესო კამათი საჭირბოროტო საკითხებზე.

სტუდენტთა თავყრილობის ამ ცენტრში გამოფენილი იყო სობინოვის ენებურთელა პორტრეტი. ამით ახალგაზრდობა გამოხატავდა ღრმა პატივისცემას დიდი მომღერლისა და მოქალაქის მიმართ.

მასსთვის ლ. სობინოვის ერთი კონცერტი. რეაქციონერები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ პოპულარული მსახიობის მიმხრობას. ერთმა შვარჯიშულმა იმ საღამოს მომღერალს დემონსტრაციულად მიართვა დიდი გვირგვინი. აღშფოთებულმა სობინოვმა მთრე დღეს წერილი გაგზავნა გაზეთ „ვეკ“-ში, სადაც წერდა: „საკვირველია ბატ. შმაკოვის ამგვარი ნაბიჯი. მე მასთან არავითარი კავშირი არა მაქვს, არც როგორც კერძო პირთან და არც საზოგადო მოღვაწესთან. ამიტომ ბატ. შმაკოვის საგან გვირგვინის მოძღვა დიდ გაუგებრობად მიმაჩნია“.

ლ. სობინოვისა და რ. შალიაპინის ერთად მოსმენა ქართველი სტუდენტების ოცნება იყო. ეს ოცნება სინამდვილედ აქციეს სტუდენტებმა საბა ტატიშვილმა, პეტრე თოფურიძემ, ევტახი თოფურიძემ და ლევან გოკელმა. ისინი ორი დღე და დამედიდნენ რიგში და იშოვეს ოციოდე ბილეთი. ასე დავეწყარით თპერა „ფუხსტ“-ს ლ. სობინოვისა და თ. შა-

ლიაპინის მონაწილეობით. სამწუხაროდ, იმ საღამოს არ მღეროდა ნეჟდანოვა. მეორედ მოვისმინეთ „ივანე ხუსანიანი“. რაღა თქმა უნდა, ჩვენს ბედნიერებასა და აღფრთოვანებას არ ჰქონდა სასღვარი.

ერთხელ შევიღოდე ქართველი სტუდენტი შევედი ყოფილი ფილიპოვის კავშირ, სხამალაი ბასის შემოგვესმა. მაშინვე ვიცანით, ყავას მიირთმევდნენ: ლ. ანდრეევი, ს. ბუნინი, ა. კუპრინი და სკიტალევი, მათ ესაუბრებოდა ლ. სობინოვი. კუპრინს ხელში ეჭირა ჟურნალ „ვეს“—ის ერთ-ერთი ნომერი, რომლის რედაქტორი მეყენატი ს. პოლიაკოვი იყო. ეს ჟურნალი დოკადენტური მიმართულებისა იყო, მასში თანამშრომლობდნენ მწერლები და პოეტები დაწვებული ალ. ზლოტიდან კ. ჩუკოვსკამდე. ეს და ამგვარი სახის სხვა ჟურნალებს ინტერესით კითხულობდნენ მაშინდელი ქართველი სტუდენტები: ტიცტაბიძე, პ. გაბუნია, ნიკ. ჯორჯიკია, გრ. ვეშაპელი, ირ. ჭავჭავაძე და ს. შა ტატიშვილი.

— „ხომ გესმით, არყის მოტანა აგრძალებულიაო“—პროტესტით შესაძახა ჩვენს მაგიდას ლ. ანდრეევა. «Да министры спиртом спекулируют и народа разум притупляют...». დასძინა სკიტალევა. «Оказываются у нас две тайности: одна — тайное распространение реакционными хулиганами водки» თავისებური სიღინჯით დამითარა კუპრინმა. სობინოვი თანხმობის ნიშნად იღიმებოდა.

ასე აღმოჩნდით მოწინავე პროგრესული მწერლების მხატვრული სიტყვის უზადლო ოსტატების გვერდით. დაუეციარ მოგონებდა დამრჩა ის. ლ. სობინოს გადაწყდა ლ. სობინოვის კონცერტის მოწყობა ქართულ საზოგადოებაში და აკაკი წერეთლის სახელობის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში.

1916 წლის 28 იანვარს აკაკის გარდაცვალების ერთი წელი შესრულდა. სათვისტომოს გამგეობის წევრმა სიმონია წერეთელმა მოხსენების გაკეთება ითავა. შედგა კომი-

სია საშა ჯავარიძის, გრ. ვეშაპელის და იოსებ მჭედლიშვილის შემადგენლობით. მათ ლიტერატურული ნაწილის ჩატარება დაევალა, საღამოს სტუდენტებში იყო დამბეჭეული (ცვარნამი). იმ საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო მოსკოვის ქართველი საზოგადოების სამსახურში პროფესორები გ. ღამბარაშვილი, მ. ზანდუკელი, ვ. ხორავა, ალ. ჯავახიშვილი, კომპოზიტორი დიმი. არაკიშვილი, ხელოვნების მოღვაწეები — ალ. წუწუნავა, აკ. ფაღავა, გვექლები ივ. პოლუმორდვინოვი, რ. თუმანიშვილი, პოლოვნიკი ივ. ქავთარაძე, მრეწველი დ. და გ. ყაფრიშვილები, დ. დიმიტრაძე და სხვები.

საღამოს დაესწრო ალ. სუმბათაშვილი-იუჟენი და თან ჩვენს მიერ მოწვეული ლეონიდე სობინოვი მოიყვანა.

აღფრთოვანებული ახალგაზრდობა ალ. იუჟენსა და ლ. სობინოს ტანის გრძილით შესგებდა.

ლ. სობინოვი მოიხიბლა ჩხახალუხში გამოქვეპილი მოხდენილი ქართველი ყმაწვილებით, აღფრთოვანდა ჩვენებური სიმღერებითა და ცეკვებით. მან მოგვარება: „გული მტკიო, რომ ერთი რომანსიც არ ვიცი აკაკის სიტყვებზეო.“

ლ. სობინოს ბევრი რამ ჰქონდა გაგებული საქართველოზე, ქართულ მუსიკაზე, ჯერ კიდევ ვანო სარაკიშვილისაგან, რომელთანაც მას ნამდვილი მეგობრობა აკავშირებდა. კარგად იცნობდა მოსკოვის ქართული წითელარმიელთა დრუჟინის ხელმძღვანელს ვასო არაბიძეს (მსახიობი) და სამხატვრო თეატრში მომუშავე ალ. ნუწუნავასა და აკაკი ფაღავას.

ალ. იუჟენის მეშვეობით ლ. სობინოვი ხშირად ესწრებოდა ქართულ წვეულებებს პროფესორების გ. ღამბარაშვილისა და მ. ზანდუკელის მიერ მოწყობილ. არც დ. არაკიშვილსა და ალ. ჯავახიშვილს აკლებდა მზრუნველობას.

ერთხელ, შევესწარი ლ. სობინოვის საუბარს სერგო კლდიაშვილთან (მწერალი), შალვა ჭიგოძესა (მსა-


ტვარი) და პავ. აბულაძესთან (მათემატიკოსი). სულ ახლახან სერგომ გამახსენა იმ საღამოს შესახებ: „იმ საღამოს ლ. სობინოვი გამოიქნა და კანცერტოვებს ჩვენს ხალხის მუსიკალობის შესახებ. მან თქვა: „მსოფლიოში იტალიელებისა და ქართველობისა მუსიკალობის ხალხი არ მოიპოვება“.

აკაკის სსონის საღამოს ჩატარების შემდეგ გადაწყდა სობინოვის მონაწილეობით მეორე კონცერტის გამართვა ღარიბ სტუდენტთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად. კონცერტი შედგა 1916 წლის 10 აპრილს და მისი მთელი შემოსავალი, 3800 მანეთი, სტუდენტთა სახლის მშენებელ კომიტეტს გადაეცა.

ამ მიზნით ლ. სობინოვი მესამედც შევაწუხეთ. იმ საღამოს ლ. სობინოვი განსაკუთრებულ განწყობილებაზე იყო. სახე უღიმგად და ყოველ ჩვენგანს ხელის ჩამორთმევით მოგვესალმა, იგი კონცერტზე მოიყვანეს. პროფ. ღამბარაშვილმა და ტიცტაბიძემ. მან იხილა ჩაიკოვსკის რომანსები და ლენსკის არია ოპერადან „ვეკვნი ოფენინი“, შემდეგ კი ჩვენთვის განსაკუთრებულ, ძვირფასი რომანსები: „საქართველოს გორაკებზე“, „ქართული სიმღერა“ და ერეკლეს არია იპოლიტოვ-ივანოვის ოპერიდან „დალარტი“.

კონცერტის დამთავრებისას მან უპატიებლად შეცდომად ჩათვალა, რომ არც ერთი ქართული რომანსი არ იმღერა... ამაზე სანდრო წერეთელმა მივუთ: „ჩვენ ვაქვს ერთი რომანსი, რომელიც ასე იწყება: «Все тебе одному, все, что мне даровал бог». («მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუცია მაღლიდან ღმერთს»). ლ. სობინოვს დიმილი მოეჩრია, დიდი გრძნობით ჩამოართვა ხელი სანდროს, გამოგვემწვიდოდა ყველას და მ. ზანდუკელის, გრ. კუჭუხიძის (ჯანმრ. კომისარი), ვლ. ცომაკის, თ. კეთელიძესა და ნ. ლაჭუკიანის თანხლებით დატოვა დარბაზი. ასეთი იყო სობინოვის დამოკიდებულება ჩვენადმი.





რეჟისორი კონსტანტინე სურმაგა.

პარტიული და უკრაინელი ხალხის მეგობრულ, კულტურულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ურთიერთობა განსაკუთრებულად აღინიშნება თეატრალური ხელოვნების დარგშიც. იმის შესახებ, თუ წარსულიდან რა დიდი წარმატებით სარგებლობდნენ უკრაინელი თეატრალური ხელოვნების მოღვაწენი საქართველოში, ხოლო ქართველები უკრაინაში, სავანებო წიგნებიც კია შექმნილი. სახელოვანი ისტორია კიდევ უფრო შედეგიანად გრძელდება მას შემდეგ, რაც მეგობრობისა და ძმობის, თანასწორულეობიანობისა და ურთიერთდახმარების პირობები დაედო საფუძვლად ერთა შორის ახალ, წინათ არანახულ ურთიერთობას.

## ქართული ზივის საკმატება უკრაინულ სცენაზე

ოტია იოსელიანის პიესა „სანამ შრამი გადაბრუნდება“ კიევის ლენინა უკრაინკას სახელობის აკადემიურ თეატრში

სცენა სპექტაკლდან. ავაბო — ვ. დობროვოლსკი, კესარია — ე. ოპალოვა.



სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ამ საიუბილეო დღეებში კვლავ და კვლავ დიდი სიყვარულით აღინიშნება ყოველი კულტურული ურთიერთობა საბჭოთა ხალხებს შორის. თეატრალური ხელოვნების დარგში ამის უტყუარი დადასტურებაა ის, რომ ქართულ სცენაზე ხშირად იდგმება მოძვე რესპუბლიკების დრამატურგთა პიესები, ხოლო მოძვე რესპუბლიკებში კი ქართველი დრამატურგების ნაწარმოებები. მეგობრობისა და სოლიდარობის ამ საერთო ატმოსფეროში კვლავ მხარდამხარ დგანან უკრაინა და საქართველოც.

ქართველი მაყურებლები ყოველთვის გულთბილად ზეიდებიან სცენაზე წარმატებით განხორციელებულ უკრაინულ პიესებს, ჩვენთვის ასევე სასიხარულოა, როცა ხშირად გვემის ქართველი დრამატურგების წარმატებების შესახებ უკრაინის სცენაზე. კიდევ


ერთი ახალი სიხარული განგვაცდევინა იმ ფაქტმავე, რომ უკრაინულ მაცურებელში დიდი წარმატებით სარგებლობს ლესია უკრაინკას სახელობის კივიის აკადემიური თეატრის სპექტაკლი — ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ეს უთუოდ იმითავე აიხსნება, რომ ოტია იოსელიანის პიესა ეხება ეროვნულ ნიდაგზე ამოკითხულ შოგად აქტუალურ საკითხებს — ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის, მათი მჭიდრო კავშირის აუცილებლობის პრობლემას და თეატრიც საყვებით სწორად მოიქცა, როცა ქალაქთან მჭიდრო კავშირსა და სოფლიდან მოუწყვეტლობის აქტუალური საკითხი ძირითად ლეიტმოტივად აქცია სპექტაკლშიც.

სახიზარულოა ისიც, რომ კივილეებმა ამ ცნობილი პიესის დასადგმულად ქართული სადადგმო ჯგუფი მიწვივის (რეჟისორი კოტე სურმაგა).

რეჟისორმა სპექტაკლი ტრაგიკომიკურის ესთეტიკაზე დამყარებულ ჟანრში გადაწყვიტა. ტრაგიკომიკურ გმირად წარმოსდგა სცენაზე მთავარი პერსონაჟი — მიწის შეზღდილი აღამიანი, სიბრძნისა და მხნეობის განსახიერება აგაბოც ვიქტორ დობროვოლსკის წარმოსახვით. მსახიობმა შესწლო მაცურებლისათვის შეეყვარებინა ხალხის წიადიდან აღმოცნებულნი ეს სიცოცხლით სავსე, გამრჯე და დოვლათიანი აღამიანი და საერთოდ, მეტად ანსამბლურ, პარმონიულ კავშირში აღმოჩნდა უკრაინელი მსახიობების მთელი შემადგენლობა. სულ ერთია, ეს მსახიობი ვ. ოპალოვა (აგაბოს მფულე კესარია) იქნება თუ ვ. სლანკო (მისი უმცროსი ვაჟი ბუხუტი), მსახიობები: მ. რუზნიჩენკო, ვ. იარემჩენკო და ტ. ბაზილევჩი (აგაბოს რძლები — გოგოლა, ქუქუნა და ლანდა) თუ ვ. ბალოვი (კარპე).

აღნიშნავენ, რომ ლესია უკრაინკას თეატრში მაცურებელი დღეს მისი ვიქტორ დობროვოლსკის ქართულ აგაბოსთან სათათბიროდ შეიძლება საკამათოდაც კი, და ორივე შემთხვევაში — სულიერი სიმტკიცის მოსაპოვებლად. და განა ესევე ლესია უკრაინკას თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის გამარჯვება არაა? რა თქმა უნდა.

აგაბო — სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი — ვიქტორ დობროვოლსკი.



კესარია — უკრაინის სსრკ სახალხო არტისტი ევეგენია ოპალოვა.





ტ. შველიძე.  
იმერლები.

ს ს რ კ 50  
ფლისთავისაღვი  
ვიკლხნილი  
გამოფანიღან

გ. ცერაძე.  
სინათლე შობებში.





გაჩინა და უსაქმურობა-მომხვეველობა ზნეობრივ კულტად აზიდა. ასეთი ადამიანების გასაგონად თქვა ლეონიდი ბრეჟნევი:

„ჩვენ, ამ ხანაგებთ, როდი ვაშენებთ უსაქმურთა სამყაროს, სადაც რძის მდინარეები და თაფლის ნაპირებია, ჩვენ ვაშენებთ ორგანიზებულ, ყველაზე შრომისმოყვარე საზოგადოებას კაცობრიობის ისტორიაში. და ამ საზოგადოებაში იცხოვრებენ ყველაზე შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი, ორგანიზებული და დიდად შეგნებული ადამიანები“.

დახა, რძის მდინარეები და თაფლის ნაპირები მხოლოდ შრომა-საქმით მოიპოვება. ძროხას მოვლა-მოწველა უნდა და ფუტკარს მოშენება-მოფერება სჭირდება. დიდი შრომა უწევს პატარა ფუტკრის პაწაწინა ნესტარს, რათა ეგებურთელა ადამიანის ვეება ტუჩებს ერთი ციცხვი თაფლი მაინც გაალოინოს. და, თუ ფუტკარს ამდენს ვაგალებთ, ჩვენს თავს, მეფუტკრეებს, უქმად ყოფნას რატომ ვაჩვევთ. განა, თითოეული ჩვენგანი თავისი საქმის ფუტკარიც არაა? თუმცა ზოგიერთი ბუხანალი ფუტკრის სკაში ბზუილს დაიკეულა და მათი გაუთუ გამოდგება გვესუსება.

არა, ბუხანალებთან და უსაქმურებთან მორიგება შეუძლებელია. ამაზე მწვავედ ითქვა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების — მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა აქტივის კრებაზე, სადაც თეთრზე შავით დაიწერა: გემებისა და ვალდებულებების შესრულება ჩვენს ხელშია.

გემები კი დიდი გვაქვს, თან ისეთის შესრულებაც ვალდებულნი ვართ, წლობითაც რომ, თუმცა, არ შეგვირულებია. ამას წლევანდელი გემგაც ემატება, რომლის განაღდება ახლა უკვე თავმოსაწონად აღარ კმარა, რაკი სახაროდ ითქვა — კაცი ის არის, ვინც ერთბაშად სახელმწიფო გემებს ცოტა თავის ნამატსაც წაამატებს.

დახა, გასაკეთებელი ბევრი გვაქვს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა დარგით, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში და, რაღა თქმა უნდა, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციებში, უმაღლესი სასწავლებლების განხრით, ამის გაგრძობით და ამასთან ერთად კულტურის საწარმოთა და დაწესებულებათა სახითაც.

როგორც ვხედავთ, ბევრს შეეხო აქტივის კრება და ყველანა და ყველაფერში მაინც გადამწყვეტი აღმოჩნდა შრომა და თოსნობა, სიტყვა და საქმე, დაპირება და შესრულება.

მაგრამ, როცა ყველა ამ კომპონენტს მოუყარეს თავი, დაასკვნეს, რომ მათი მამოძრავებელი და გამმარჯვებელი სოციალისტური შევიძრება, სოციალისტური ვალდებულების განაღდება არის. არა, ისეთი სიტყვა კი არა, ზოგიერთმა ადვილად რომ დაარღვია და მარტო 1972 წელს მთლიანად რესპუბლიკის 142 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი დაალო, აქედან თბილისილგებს — 113 ათასი კვადრატული მეტრი, საბანაო მშენებლობის მესხუდი. სიტყვატატივობაში ხუთიდან ერთი დამხედველი ოჯახი უზენაოდ დატყვა. და აბა, რა შეიძლება იყოს ამაზე მეტი სამარცხენო პირვატეხლობა.

მრავალი კრების მომსწრე ვარ, მაგრამ სათქმელი რომ ასე უვალდებლოდ თქმულიყო, ასეთის — პირველად. სიტყვა-საქმის პირველად ყველას იმ ძალით აუხეზებდა, რომ ოვაციებში აპლოდისმენტების გადასატყორცნად აღარავის ეცადა. ან რა იყო ტრასაფანდური: რესპუბლიკამ 1972

# გაბეზისა და ვალდებულების შესრულება ჩვენს ხელშია

წინამძღვრობა-მარანაწარმოებს ცუდი დრო დაუდგა, სახალხო დევნა გამოეცხადა.

ობივტულობა-მარანაწარმოება ჯერ აზროვნებაში ისახებოდა და მერე მოქმედებაში იჩიკებოდა, ზოგჯერ უნებურადაც, კეთილი ადამიანების დაუკითხავად, ინიკრებით, ხელშეწყობით, წაყრებით. ატმოსფერო იყო ამის გამჩენი. სოციალურ-საზოგადოებრივი პირობები კი არა, — ობერობი-ვატელების მიერ მოქსოვილი იბობას ქსელი, შემგუებლობის სიფრიფანა და გამჭვირავლე აპკი, მაგრამ დახეთ, რა ძნელი გამოდგა მისი ვაჭრა-გახეთქვა.

იქნებ შეერწმუნებოდაც მონდა, — ობივტულობა-მარანაწარმოება ჯერ მოქმედებაში გამოიქონიდა და მერე აზროვნებაში შეიჭრა? რა განსხვავებაა?! ფაქტია, რომ ზოგიერთს ღრმად გაუჭვია მანკიერი ვირუსი — კომუნისტური საზოგადოება ცხვირის დუშა, მთოაღ და ჭამეო. თუმცა არც ცხვირის დუშა მიიჩნის დელიკატესად, — პრიმიტივად გამოაცხადეს, პიკანტური მენიუ დაიწესეს და ვინც ამაში ჩამორჩენას გამოავლენდა, იმშუშნებოდნენ, ისევე ძრახავდნენ, როგორც ჩვენ, — თუ მაგან და მაგან თბილისელს, ერთხელაც არ უგებია საოპერო სპექტაკლი, ან ერთხელაც არ შეუღია ხელოვნების მუზეუმის კარები.

ქოდა, ასეთმა ატმოსფერომ დოკლავიობის კანდარები



წლის გვემა ვერ შესრულა ბევრი მაჩვენებლის მიხედვით, არ შესრულდა მეტბრე ხუთწლიელის მეორე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებაც. არც ისაა დასამალო, რომ გასულ წელს სამრეწველო წარმოების წრდის ტემპმა გვერით გათავალისწინებლი 6 პროცენტის ნაკლებად მხოლოდ 0,3 პროცენტზე შეადგინა.

ყოველივე ეს დამაფრთხილებელია და მამობილითებელიც, — სიბარძოვო ითქვამს და მედიდური ფარმაკანბეგით თავი უდარდებლად ლამაზ კედლი არ ჩაგდებო. ჭკმშიარც სევდა და ჯალბ სისარულზე შთაბავნიერებელია და ამიტომ მეურნე-პოლიტიკოსთა რესპუბლიკურმა შეკრებამ დაბაბულო გინების ქვარში გადაადნო და გამაოწროთ დღეს დაწყებულ სეარის გამარჯვების საბრძოლო იარაღი, — ერთი ყველასათვის ფიქრობდა და ყველა ერთის კეთილდღეობისათვის ირჯებოდა.

რა თქმა უნდა, მეურნე-მეცნიერების ხვედრს ხელოვან-ლიტერატორებიც იყოფენ და მატრიიალური და სულიერი მოსავლის მომყვან-მომკვლევებაც 1973 წლის გვერდის შესრულებისათვის სოციალისტური ვალდებულებების განადღების სიტყვა დასდეს. ყველა თავის საზრუნავს უტრიალებდა და ხელოვნათა პირობას ხელოვნათა ჟურნალიც ხმას უერიგებს, რაკი ხალხის გასაკონდა ითქვა „სოციალისტური შეჯინებების ორგანიზაციის გაუმჯობესებამში დიდი როლი ენიჭება ჩვენს მეტდვით სიტყვას“.

კიდევ იმბტობ, რომ:

„ახლა, როცა არესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან ესოდენ დიდ მუშაობას, ჩვენი საქმიანობის ყველა მუბანზე სერიოზულ ნაკლოვნებათა აღმოფხვრისათვის, არაჯეს არა აქვს მორალი სტუი უფლება განვხევა დღეს მას, ასეთ სიტუაციაში არავინ არ უნდა იყოს პასიური, გარეშე მეთვალყურე“.

„საბჭოთა ხელოვნება“ თავის ადგილს უპოვებს ამ მოწოდების მხარშიმდგომთა შუაგულში. იგი ოდესმე როდი ყოფილა უკლები მორანალო, მაგრამ ახლა უფრო შემტევი გახდა, მეტის თავდაგრეობით შეუბა მანანალობას, რადგან ეს სენი შემოქმედებამაც განდა. ჟურნალი პროგრესულის ჩვენების სიმაღლეებიდან შეუტყვის ობიექტობას, მომწეებულობას, უთაოსნობას, უსაქმურობას, უცოდინრობას, მომწევეკლებობას, ლოთობას, ზნედაცემულობასა და უიდეობას ხელოვნებაში.

„პრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეჯინებების საჯაროობის, მისი უდგევების შესადარობის, ნაკისრ ვალდებულებათა, საცემეო დავალებათა შესრულები-სადმი კონტროლის უზრუნველყოფა. კონტროლი ეპისოდური კი არ უნდა იყოს... არამედ უნდა იყოს მუდმივი, სისტემატიური, დაწყებულ წლის პირველივე დღეებიდან მის დამთავრებამდე“. — ნათლად ითქვა იმთა შეკრებაზე, ვინც გვემეობს და ვალდებულებების შესრულება თავის ხელში აიღო.

„საბჭოთა ხელოვნებაც“ ვალდებულებას იღებს, რომ ისიც აგებს ხალცავს.

ურსალმა უკვე აჩვენა ქართული ბალეტის დაჭაობების მიწეზები და კვლავაც დაბნებარება მსაღლეო დასისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის შემართობის გარდაქმნას, თხურომტი წლის მანძილზე ადვილად დაკარგულის და დიდი ხნის დროით ძნელად აღსადგენს.

ურსალი ბევრს უწერდა მსაჭკართა საქებარს, მცირეს — ნაკლზე, მაგრამ ამასაც გამოასწორებს. უკვე ვაჩვენებთ ზოცინათ სერიოზული ნაკლოვნება მსაჭკართა კავშირის ნაკლებტორი ფონდის ეკონომიური-ორგანიზაციულ საშობინობაში და შემდგემაიც არ შევანელებთ ამ დარგისადმი კონ-

ტროლს. სასშკარაოზე გამოვიტანთ იმ ცნობლ მსაჭკართა გავარდაც, ვინც უფლის შობამ გაიტყვა, სარფიან გემორბეულურ შეკვლებს დაძაბდა და პროფესიულ-მეტი-მდღეებით გამოუმეტიანდ დიდი ხანია გაქრა, პროფესიულად გამოიფიტა.

არც იმ პედაგოგ-ჟიურის წვერებს მოერიდება რედაქცია, რომლებიც რესპუბლიკურ, ამიერკავკასიის, თუ საკავშირო კონფერენციის კანდიდატთა შერჩევისას საკუთარ შეჯირდებს ზედმეტად სწკალობენ, სხვის, უფრო უკეთესებს კი უმართებულად ჩრდილში სტევიენ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა პოლიტიკური არსი მოგავიწოდებს მაქსიმალურად ღრმად ჩაწვდებით მსაჭკრულ მოვლენებს, ვაჩვენებთ იმ შემოქმედთა კეთილშობილური ცდა, ვინც თავისი ნიჭითა და უნართა ქმნის ნაწარმოებებს მუშათა კლასზე, ნოვატორ კომბინურებზე, პოლტარული ინტერნაციონალიზმით აღსაქვე მშრომლებზე, ხალხთა ძმობამეგობრბაზე, დიდ საბჭოურ პატრიოტიზმზე.

ურსალი სისტემატურად დაბეჭდაც რეცენზიებს სპექტაკლებზე, ახალ ფილმებზე, სახვით ნაწარმოებებზე, ბევრს, ღირსებულ სობტას მიუძღვის, მაგრამ დიდად ნუ დავგვემდურებინათ, თუ ყველას არ მოვეფერებოთ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინტერნაციონალური სოლიკუეთების რეპრეტურის შექმნის უახლოეს წლებში, უკვლავც დიდი მზარტუარს ექნება საოპირო თეატრში რუსული კლასიკისა და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებების აღდგენა-დადგმას, თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების მიერ შექმნილი ოპერების განხორციელებას. ამასთან, ვერც შემდგომში შევრიგდებით თეატრის ერთხელ უკვე მიუღებელ ცდას, რომ ვერდის „ოტელო“ ქართულ ენაზე კი არა, იტალიურად ემდღებთ ქართველ სოლისტებსა და გუნდს. ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა სერიოზულად უნდა მოეკიდოს საოპირო ხელოვნების მშრომელ მასებში ფართოდ გატანის ვალდებულებას, თუ უნდა, რომ ყოველი თბილისელი წელიწადში ერთხელ მაინც დაესწროს მის სპექტაკლებს, რაც შეიძლება მალე უნდა აღადგინოს ქართულ საოპირო სიტყვებზე რუს და ქართველ კომპოზიტორთა უმართებულად მიტარებულ ბევრი კარგი ოპერა. რედაქცია არ დაუვიდა იმ ქართველი სოლისტების წინააღმდეგობას, რომლებსაც ქართული ენაზე სამდერი პარტიების შესწავლა ესარებათ, იტალიურზე კი თავს არ ზოგავენ. ურსალი ასეთ მაღალყოფიბათ სოლისტებს შემდგომში უკვე გვართავს და სახელით გააცნობს საოპირო ხელოვნების მოყვარულებს.

ყოველივე ეს სახელმწიფო კონსერვატორიის მისამართავ ითმის, რადგან მიმდღრლების მიერ რეპრეტურის შესწავლა ვიკლისის კლასში იწყება და ამიტომ უნდა იზრუნოს სასწავლო-საბოტო ლიტერატურის შექმნაზეც.

დავაცენებთ საკითხს, რომ თბილისში დილთა და დღისთავ იმართებოდეს სპექტაკლები: არის ბევრი მაყურებელი, — ვინც მეორე ცვლათ მუშაობს, ვინც შვილობილებს უსის სახლში, სავამის ტელეპროგრამას რომ არ აცდენს და დღისით დროს კი მძიმედ კლავს. მათ პეპსიონორებიც ემატებათ, მეორე და მესამე ცვლის მოსწავლეებიც ივლიან და რსაკვირგელთა, თბილისის სოფლიდან სტუმრად ჩამოსულნიც დაესწრებიან.

და ბოლოს, მხარს აუვებთ რესპუბლიკის აქტივეზ გამოსულ ვანსულ ჩარკვიანის ნათქვამს:

„დიდი გმირი იყო პაატა საკაძე — მშობელი მამის მიერ სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირული მძევალი.“

მაგრამ არაკლები გმირი იყო ჩვენი თანამედროვე იაკობ ჯუღაშვილი — მშობელი მამის მიერ სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირული მძევალი“.

დახ, იყო და ქართველმა მოქანდაკეებმა იქნებ გამოკვეთონ იაკობ ჯულაშვილის საკულტურული პორტრეტი, გაიკვივონ პორტრეტი ჭაბუკია, ვინც უძმიძმა პირობებში ნაშუი არ შეირცხვინა, იერსავე გიბრასა, ვინც საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი საკუთარი წვეთ-წვეთი სისხლით დაიცვა. მხატვართა ესუ რადღების ღირსია იაკობ ჯულაშვილი ისევე, როგორც მისი ტოლები — მატროსოვი და კოსთომინასკია.

გმირთა ყველა ისიც, ვინც შემოქმედებითა შრომობს და იღვწის, იზრდება და იზრდება. და ამასვე ითქვამ იმ გაფართოებულ ფორუმზე

„კომუნისტის მშენებლობის მოწინავე მიჯნებს ხშირად წუწოდებთ შრომითის ფრონტს, მუშათა შრომითს საქმეებას — გმირობას და ვაჟაკობას“.

დახ, გწოდებთ, რადაც ვაირომიური და კულტურული მშენებლობის ახალი მიჯნების აღება, ნიშნავს ისეთი მამაციების, გმირობისა და თავდადების გამოჩენას, როგორც საჭირო იყო რევოლუციის ბარაკადგმეზე, სამოქალაქო ომის სანერგებას თუ დიდი სანამუშეო ომის ფრონტებზე“.

პირველი ხუთწლეულების გმირთა სახელები დიდი მადლიერების გრძობით გაიხსენეს საქართველოს შრომელთა ფორუმზე და მათ შორის ხელოვნების მოღვაწენიც დასახსნეს. თანამედროვე მხატვრული ინტელექტისა ბევრ ნოვატორ ხელოვნის ითვისეს და მათი გმირული ცხოვრებამ შემოქმედების მაგალითზე ახალი თაობის აღზრდა სახელოვნო პრესის საპატიო ვალდებულებაა ჩრება. მასზე ბუნება გაისმა დანასახურებელი შეფასება, რომ „საბჭოთა ხელოვნები და პოეტები, მხატვრები და კომპოზიტორები, მსახიობები და რეჟისორები მუდამ იყენებ ხალხთა ერთად, იქ, სადაც უძლებდა ქვეყნის ბედი, სამშობლოს ბედი, სადაც იბადებოდა შრომის პირობა“.

ამიტომ მოუწოდებენ ჩვენს შემოქმედებით ინტელექტუალს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს „შექმენ რბამა იდუირი და მაღალმხატვრული ნაწარმოებები მუშათა კლასის, კომუნურნი გლეხობის, ინტელექტების, კომუნისტებისა და კომკავშირელების, ჩვენი თანამედროვეების — კომუნისტის მშენებლების შესახებ“.

სოციალტური შეჯიბრების პრაქტიკულად გასახორციელებლად კომარტული ვალდებულებები აიღეს ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებმა. რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირები, დაწყებულნიან და ორგანიზაციები ხუთწლეულის მესამე წელს აღნიშნავს საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის სახლთა მშობრობის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პათოსის ამასველი ახალი მაღალიდუირი მხატვრული ნაწარმოებები. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, — ნათქვამია აღებულ ვალდებულებათაში, — უფრო მჭიდრო კავშირს დაამყარებენ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების შშრომელთან, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებთან, ჯარის ნაწილებთან. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხაზით რესპუბლიკის თეატრები და სახელმწიფო ფილარმონიის ბალეტი 1973 წელს გამართავენ 6.200 გამსვლელ სპექტაკლსა და კონცერტს. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ 1973 წელს სახელმწიფო გეგმის შესაბამისად 27 დოკუმენტისათვის და გახორციელებს 7 სრულმეტრაჟიან მხატვრულ, 6 მულტბოლოკაციურ და 55 ქართულენაზე დუბლირებულ სრულმეტრაჟიან ფილმს. გადაწყვეტილია ქალაქის კინოჩსელი გადიდდეს 3 ერთეულით, ხოლო სოფლებსა — 35 ფართოეკრანიანი დანდაგარით.

მიმდებროვანი სამოღვაწეო მიზნების პოლიგრაფისტებმა, გამოცემლობებმა და წიგნი მოგვარებმა. მათ გეგმის გადამეტებით 4 მილიონი ეგზემპლარი წიგნის გამოცემა დაიბრუნეს.

ყოველივე ეს სერიოზულ მუშაობა-შემატებას მოითხოვს და შესრულების შემოწმების საქმის გაძლიერებას. განასაუბრებელი დანიტერესება უნდა გამოვიჩინოთ სახელოვნო ლიტერატურის — მონოგრაფიების, ალბომების, ბუკლეტების, რეპრდუქციების მისაწოდებლად მოსახლეობისათვის. ამისათვის უფრო მეტი დანახვება უნდა გაუწიოს განამცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნთა ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა სპეციალიზირებულ გამოცემლობას „ხელოვნებას“. უსრუნელოდ იგი მაღალხარისხისოვანი ქალაქით, სტამბით, საპროდუქტო ლობიტით. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლია მხატვართა კავშირის სამხატვრო ფონდსა და საწარმო-სამხატვრო კომინატსაც.

დროა მოგვარდეს სხვა ასეთსავე შემოქმედებით ორგანიზაციაში უკვე კარგა ხნის წინათ და კარგადვე მოგვარებული შეჯეტითი გამოცემების საქმე. მხოლოდ სამხატვრო ფონდის შესააღმდგობით და ურბოთი აისხნება, რომ დღემდე გამოუბრუნა ხელოვნებათმცოდნეების მიერ დიდი ხნის წინათ დამზადებული დღენები მხატვართა ნამუშევრებზე და მხატვრებზე, ბუკლეტები და ალბომები. დრო გადის და ლაპარაკი ლაპარაკად რჩება.

არც მხატვართა კავშირის პრეზიდენია ამაში უცოდველი. წლების წინ სამხატვრო ფონდს სათანადო ლობიტაც კი ჰქონდა გამოცემებისათვის გამოყოფილი, მაგრამ ჯერ კიდევ სამხატვრო ფონდის ძველი ხელმძღვანელობა ხელფეხს უყარავდა თავისისავე ხელმძღვანელ მხატვართა კავშირის პრეზიდენტს. შემდეგ ეს თვითმწიფლდა კანონად აქციეს და ნიჭიერი ქართველი მხატვრები დაპირებული ბუკლეტებისა და ალბომების გარეშე დატოვეს. მხატვართა კავშირში რეაქსი წევრია, რომელთაგან ნახევარი მაინც მოქმედი შემოქმედია, მაგრამ ორივედ ალობისა და სამიოდე წიგნის გარდა, რომელთა უმრავლესობა მისკომბა დაბეჭდა, საქართველოში ჩამოსული რუსი და უცხოელი სკამრებისათვის სრულად არაფერია. გვყავდეს ნიჭიერი მხატვრები და არა გვქონდეს მათი ალბომები — სამარცხენოც არის და გასაკვირიც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი ქმედითი კურსი მანათობელ სნივად შეიჭრა ყველა საგამომცემლო თუ სახელოვნო ორგანიზაციისა და არა უნდა დარჩეს ქუჭრუბანა, სადაც მიმალა-მიყუყუა შესძლოს გულცივობამ, გულგრილობამ, უსაქმურობამ, უქნარობამ ქართული საბჭოთაი სულიერი ცხოვრების საზიანოდ. კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს დიდი სამუშაო გეგმები უდევთ და მათ განსახორციელებლად მოთხოვანც მტკიცე უნდა იყოს და შედეგც — ნაღდი.

სიტყვა საქმეს არ უნდა დააცილონ ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის მუშაკებმაც. ბევრი რამ გავიდა პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერით, ბევრი კარგი საქმე წამოიწყეს და დამთავრეს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველომ და ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოებამ, ამას ხალხი ხედავს და მადლიერებით აფასებს. მაგრამ ვერც იმაზე დაგვიუკავით თვას, რომ უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა ცალკე პირთა საქმისხმად რომ აღიკვევოს და, მიმეჭრობისა და უთანადობის ატმოსფერო გავაფანტო. განა ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ ქართული ძეგლებისადმი გულბოძი დამოკიდებულებებზე მეტყველებს მრავალი ფაქტი, როცა მატერიალური კულტურის ძეგლების მცველებად ისეთებს ნიშნავენ, ვინც საუბრაო ობიექტთან 40-50 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს, იქვე ახლოს მცხოვრებულს კი საუბრალოდ ვერ იმეტებენ თურმე. დარაჯებისათვის განკუთვნილი ხელფასი ზოგჯერ მრუდე არბით მიედინება და არც



ამის დაფარვა და პატივად შეიძლება. ყოველივე ამგვარის გამოვლენა-გამოსწორება კულტურის ფორმის პირდაპირი გალიაა და, რა თქმა უნდა, პრესისაც.

ყველა ამ მოთხოვნის განხორციელება საბჭოური პატრიოტიზმისა და ღრმა იდეურების შეერთებით გახდება შესაძლებელი. ეს კი პროფესიული სპეციალისტების შემდგომ წინსვლასა და ზრდას მოითხოვს. ხელოვანთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გავლა ყველა ამ ამოცანის სამომხდლო გადაჭრის საწინდარია, ხელოვნებაში კიდევ ძალუმაღ არსებული ნაკლოვანებების აღმოჩენვა-ამოწმის ბასარი იარაღია. აი, ამ იარაღის გასაღებად და მანკიერებათა ამოძირკვისათვის მიიმარჯვებს „საბჭოთა ხელოვნება“ თავისი მრავალი ათასი მკითხველის შენიშვნა-რჩევებს და საერთაშორისო ძალების ცოდნა-უნებრებას.

სოციალისტური შეჯიბრის არას იდეურების ამაღლებისათვის პრიორიტის სფეროსაც მოიცავს. სახელოვნო დარგშიც უნდა გაიშალოს დაძაბული მოღვაწეობა მორალურ-სწავლბურ თვისებების დასახვეწად, იდეურ-ესთეტიკური შესვლბლების გასამტკიცებლად. ჯერ კიდევ გუშინ სტიქიურებით დადამტკბული ფორმებიდან წულგამართული უნდა გადავიდეთ იდეური სიწმინდის ფართო საკავშირო მაგისტრალზე სასაპარეზოდ და უხალისე ხანში მივადვიოთ იდეური სიღრმის ისეთ ნორმებს, რომლებიც სასახელო იქნენაც ჩვენთვისაც და მისაბაძი ჩვენი მკვობრებისთვისაც. უღნური მოძღვრებისადმი თავდადებულ საქართველოს მშრომლებს, მის შესანიშნავ მატარულ ინტელიგენციას — შეურბებსა და ხელოვანთ, მეცნიერებსა და კულტურის მოღვაწეთ ტრადიციულად მოსდებთ კომუნისტური მრწამსის ერთიან მეზობლობა აუანჯღბთ სვლა და არც ახლა ჩამორჩიან სხვებს მორალურ-იდეური და პოლიტიკურ-ორგანიზატორულ გლობალურბაში, მაკალითის მიმჭვნიც გახდებიან და დახმარების აღმომჩენიც შეიქნებიან საერთო გზით მიმავალ ახლო თუ შორეული ქვეყნების მეგობრებისათვის, სოციალისტური სისტემის პროგრესული ნორმების მშენებელი შედგებილი პროლეტარებისათვის. საბჭოელი თუ სოციალისტური ერებისათვის, კომუნისტის მშენებელი და მანანებისათვის, ყველა ამ ხალხებისათვის, ვისაც ცხოვრების მიზნად გაუხსნა — კომუნისტური წყობილების გამარჯვების დაჩქარება, ქვეყნიერებაზე მშვიდობის დამყარება, დემოკრატისა და სოციალური პროგრესის გამარჯვება.

საქართველომ კომუნისტურ სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია მოძემ სომხეთი და აზერბაიჯანი და ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას, მუშათა კლასს, კომუნისტურ და ინტელიგენციას სოციალისტური შეჯიბრის სასახარეზოზე გააქვს იდეური ნორმების ამაღლება-განმტკიცების მოთხოვნა. რა თქმა უნდა, ყოველგვარი იდეურ-სწავლბური ნორმა კომუნისტურ-სწავლბობის ამონაყარია, მაგრამ იმნა სთქვა, რომ პირველ უმეოროდ შეუძლიან არსებობა. შრომა ზნეობას წარმოშობს და სწავლბური სიმტკიცე შრომითობას აღნდნავს, ერთი ღრძის ორი მორბადა მშრომელი კლასს და ინტელიგენციას და ამ თავის საზიდ ღრქეულად აზიდავს კომუნისტის მწვერვალზე, შრომა-აზროვნების პარბონის ქიმზე.

ასეთ ამოცანებს ისახავს ჩვენი სახელოვნო ჟურნალი და მათ განსახორციელებლად პირველ ყოვლისა შემწვეული სერიოზული ნაკლოვანებები უნდა მოწოდოს. მკითხველი ისე ნუ გაიგებს, თითქმის სოციალისტური შეჯიბრების არის ნეგატიურად გაგვევოს, დიდ წარმატებებს უნდა ეჭვდავთ და მხოლოდ ნაკლებ გამახვილებთ ყურადღებს. არა, პოზიტიურზეც ბევრი თქმის, რაკი დიდი გააქვს წარმატებები და ესეც სოციალისტური წყობის განხორციელებითაა გაპირობებული: ნაკლი წარმატებათა ჩრდილოვანი ლაკაა, მაგრამ მიღწევათა ხატვამ ჩავარდნების გაიქცეს სერიოზულიც არ უნდა წავგარავს. გვასხეოდეს ლ. ი. ბრეჟნევის შენიშვნა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულების ძიების გვერდით დამარცხებულების გაპირტივების საგვებლობაც არ გავიწყდებოდეს:


„სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასხების ცოცხალი შემოქმედება, მოთხოვს არა მარტო მოწინავეთა აქტიურ მხარდაჭერასა და წახალისებას, არამედ იმათ გამოვლენასაც, ვინც ჩამორჩა ან საკმაოდ კეთილსინდისიერად არ მუშაობს. და ეს უნდა ხდებოდეს საქვეყნოდ, საჯაროდ, რათა მშრომელებმა იცოდნენ არა მარტო ისინი, ვინც ძალონის და უშურებლად მუშაობს, არამედ ისინიც, ვინც მუშაობს უკულოდ, დაუძაბავდ. ჩვენც ისევე ხდება, რომ ზოგიერთი ბევრს ხმალბობს, როცა ვალდებულბებებს კისრულობს, მაგრამ ჩუმად არის, როცა მათი შესრულების შედეგებს აჯამებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს შედეგები არც თუ ისე კარგია. და ამ გამოდიის, რომ გამარჯვებულბებს ჩვენში იცნობენ, დამარცხებულბებს კი ვერა“.

შურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულების მაკალითიანობის გაგრეცლებათ-განხეოდების გვერდით დამარცხებულების ჩამორჩენის მიხეზებას ახანის. ამით შინარის მიეცემა თვით შეჯიბრების, შრომობის მეტოქეობას, რომლის წარმატება და ფუძენებულია სოციალისტური შეჯიბრების ოთხ პრინციპზე: შეჯიბრების საკრობაზე, შედეგების შესადარობაზე, მოწინავე გამიცლებების გამეორების შესაძლებლობაზე და შრომის ურთიერდამხარებაზე.

ეს ოთხი პრინციპი სოციალისტური შეჯიბრების საფუძვლიანია, — ითქვა აქტივზე. — ამ პრინციპების მტკიცე შესრულება ნიშნავს დიდალწიით შეჯიბრების ფექტიანობას, მის ქმედითობას, მიზნავს ჩავაბათ მასში თვითელი მშრომელი, მიეწვევთ მისი თვითული მონაწილის ბუღს“.

სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს რესპუბლიკის ინტერნაციონალური სულისკვეთების გაღვივება-გამტკიცების შთამავრთნებელია, იგი ჩვენი საზოგადობის ყველა პატიოხანი და ქმედითი წევრის მატერიალური და მორალური სიმდიდრის წყაროა ამიტომ ჭეშმარიტებაა: ის, ვინც ნამდვილი პატრიოტია, ნამდვილი ინტერნაციონალისტი-ლენინელია, ის, ვინც მთელი სულითა და გულით ერთბუღია კომუნისტურ იდეებთან, იქნება პირველ რიგებში, მოწინავეთა პოზიციებზე, პატრიოტი წინასწარ და სახულობათა განხორციელებებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ყველაზე მოწინავე ხაზზე.

დიას, ის, ვინც ამ მოწოდებას გაამართლებს, ხალხის სიყვარულსა და აღიარებასაც დაიმსახურებს. ამ მიზნისაკენ მოვეციოდენდენ საქართველოს მშრომელთა გულბებს, რომლებმაც მოკლდ და მკაფიოდ თქვეს: გვემებისა და ვალდებულბების შესრულება ჩვენს ხელშია.



საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ასრულებს ცეკვას „გორგასლის ანდერძი“.

## ახალი დაღბეა

ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო მარტ გომიაშვილის ხელმძღვანელობით.



ამას წინათ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა საესტრადო სპექტაკლის „შენ გიმღერი, ჩემო თბილის ქალაქო!“ პრემიერა (ლიბრეტოს ავტორი ლ. ჭუბაბრია, რეჟისორი—ა. ჩხარტიშვილი). დადგმაში მონაწილეობდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ა. კავსადის ხელმძღვანელობით, ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო მ. გომიაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნანი ბრეგვაძე, ი. სოხაძე, თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობები — ლ. ჩიბლაშვილი, ზ. კახიანი, ი. ვასაძე, საღამო მიჰყავდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ტ. საყვარელიძეს.





საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ირმა სოხაძე.



რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნანი ბრეგვაძე.

ანსამბლის გამოსვლა





# როცა

# ვერ აყვავდა ნუში

გიორგი დოლოძე

მანამდე რომ კინოსელოფენებში აშკარად შეიმჩნევა ერთი ტენდენცია, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრა ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ. „ზოგჯერ ისეც ხდება, — ხაზგასმით მიუთითა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში, — რომ ნაწარმოებში იქნებოდა კარგი აქტუალური თემას, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხატვარი თავის აპოკანას ძალიან იოლად მიუდგა, არ აარაქსოვს თავის შრომაში მთელი ნიჭი. ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას გვაქვს უფლება ხელოვნების მუშაუბებისაგან მოვუვლოდეთ შეტ მომთხვენელობას საკუთარი თავისა და კოლექტივისადმი“.

თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბოლო პროდუქციას, ცხადი გახდება, რომ ჩვენს კინემატოგრაფისტებში ფრიალდ სერიოზული მუშაობა მართებთ პარტიის ასეთი მაღალი მოთხოვნებიდან შესასრულად, რადგან მხოლოდ თემატიკური აქტუალობა ვერაზროს ვერ შექმნის ხელოვნების ქემპარტ ნაწარმოებს.

ამ ელემენტარული ქემპარტიების მავალითა ახალი ქართული მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმი „როცა აყვავდა ნუში“ რომელიც კარგი ჩანაფიქრის მიუხედავად, სწორედ იმ „გაიოლებიასა“ და საკუთარი თავისა და კოლექტივისადმი არამომთხოვნილობის გამო, რომელსაც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შემოცნებითი სიტყვები გულისხმობს, იად ეურადაც და მხატვრულადც ერთობ არაღამაჯერებელ და მიუღებელ ფილმად იქცა.

მაგრამ როგორ შეხვდა მას ჩვენი კრიტიკა, იმთავითვე მეოთხთა თუ არა ფილმის შემოქმედ კოლექტივის პრინციპული და გულწრფელი ის აშკარა შეცდომები, იად დაშვებულია ფილმის დრამატურგიასა თუ საერთო გადაწყვეტაში? სამწუხაროდ, კრიტიკოსთა ნაწილი ვერც ამჯერად დადგა სათანადო სიმაღლეზე. ამით კი გაგრძელდა ის ინერცია, რომლის აღმოსაფხვრელად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისეთი ფრიალდ მნიშვნელოვანი და დროული სპეციალური დოკუმენტები, როგორცაა დადგენილებანი „ლიტბატურულ-მხატვრული კრიტიკისა“ და „სამჭიოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

კრიტიკის შესახებ დადგენილებებში ვკითხვართ: „კრიტიკაში დღემდე ვლინდება შემორჩენილი და მოკიდებული უღებულება და იდეური და მხატვრული წუნისადმი, სუბიექტივიზმი, ძმებნაჭური და ჯგუფური მიჰქრობება“.

სამწუხაროდ, ასეთი „ძმებნაჭური და ჯგუფური მიკროპოპოლიტიკა“ გამოიხიბა, რომ ფილმი „როცა აყვავდა ნუში“ გამოსვლისთანავე არც მეტი, არც ნაკლები, შედგება იქნა აღიარებული. პირველად რეცენზიების ავტორებმა (თ. თაბუკაშვილი, ა. სტრატევიკა, კ. ვერელი, თ. ე. ძიგვა) მაკურბლისა და თვით ფილმის ავტორების უპატივცემლობა გამოიჩინეს, როცა მანამდელი პოზიცია დაიკავეს და საჭიროდაც არ მიიჩნიეს გულწრფელი საუბარი გაუმართავ ფილმის დამდგმელ კოლექტივთან (გამონაკლისია რ. თიკანაძე და

ი. კოჭუხიძე). ჩვენი აზრით კი, ასეთი საუბარი აუცილებელია, რადგან რეჟისორი ლანა დოლობერიძე თანამედრვე ქართული კინოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედი და ამდენად, მის წარმატებასა თუ წარუმატებლობას, ბუნებრივია, გულგრილად ვერ შევხედვით.

საკმაოდ, შეადართ ფილმი სარეჟისორო სცენარს და ირწმუნებთ, რომ ლანა დოლობერიძეს ნამდვილი ტიტანური შრომა გაუწევია, რათა ის, რაც ლ. დოლობერიძემ სარეჟისორო სცენარში ვერ შესძლო, უშუალოდ ფილმის გადაღების თუ დამონტაჟების პროცესში მაინც დაეძლია. მაგრამ ცნობილია, რომ მაყურებელი გულგრილია ამგვარი რეჟისორული „ოპერაციებისადმი“, მას მხოლოდ ის აინტერესებს და იმაზე გასცემს თამასუქს, რასაც ვერანზე ხედავს.

ვერანზე კი რას ვხედავთ? ფილმის გვირგვინი არიან ფოთკლასელები, რომლებიც უკვე ამთავრებენ საშუალო სკოლას და სიმწიფის ატექტატებით შემოდიან ცხოვრებაში.

ახალგაზრდობა უპირისპირდება ძველ თაობას — ასეა ფილმში. მაგრამ როგორ, რა სახით გვიხატავენ ავტორები ამ თაობებზე? დაიწყეთ ძველი, ე. ი. „მამათა“ თაობით, თუნდაც იმიტომ, რომ მეტი და მამოკრებელია რეჟისორისა და სცენარისტების ტენდენცია, ყოვლად უკარგისად და მანკიერად დაგვიხასიათონ ის უფროსი ადამიანები, რომელთა გარემოცვაშიც იზრდებიან ახალგაზრდები.

ვინ იგულისხმება „მამათა თაობაში“? — ნიკო, ვატა, მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, მწვინელი, ზურას დედა, ლეკოს მშობლები და ბებიანი, ხათუნას მამა, ერთ-ერთი მოსწავლის მამა, რომელსაც წინა დღით დისერტაცია დაუტეს (პრობითად ვუწოდოთ „დისერტანტი“). ვინ არიან ეს ადამიანები, როგორი სახით წარმოვიდგინებთ მათ ფილმის ავტორები?

ნიკო — ავტორების აზრით, ყოველის შემხლე საქმოსანი, მომხვეჭელი, ჩვენი ცხოვრების ხორცმეტი: მისი ცოლი — ყურმიჭრითი მონაა, ნამდვილი მხეცელი; ვატა — ლაქია, ნიოს მარჯვენა ხელი, ყველა მისი დანაშაულის თანამოხიარე და აღმსრულებელი; მასწავლებელი თორნიკე — საცოდელი პედანტი და მოსწავლეების მიერ აბუჩად აგდებული; ხათუნას მამა — გაუბრკველი ის ხასიათის პიროვნება; მწვინელი — უპრინციპო, მხოლოდ წუწუნა ადამიანი, რომელსაც ბრძოლის უნარი არ შესწევს მამონაც კი, როცა თვითონ და მისი აღსარელიც მართალია; სკოლის დირექტორი — უპრინციპო პედაგოგი და მქრთამე (როგორც კი, ნიოს სათრით, დაუშვებს ზურას შეჯიბრზე, რაც, სხვათა შორის, პედაგოგიური თვალსაზრისითაც

1 სცენარის ავტორები ზ. არსენიშვილი და ლ. დოლობერიძე, დამდგმელი რეჟისორი ლ. დოლობერიძე, მთავარი ოპერატორი გ. პელოვი, მხატვარი გ. ვიგვარი, კომპოზიტორი გ. ყანაელი. კინოსტუდია „ქართული ფილმი“, 1972 წ.



გაუმართლებელია, დირექტორი მყისვე სარგებლობს ხელ-საყრელი მომენტით, რაღაცას თხოვს ნიკოს და ისიც თანხმდება — ჩემი კსეიერ და თქვენი ხმალი; ლექსოს მშობლები გულქვა ადამიანები არიან, ერთმანეთს გაიცლებიან და ბებიას ანარაღ მებურთობით მოწოდებულნი ასაკამდგარი ბები; ერთ-ერთი მოწადინებს მამა ხახვის ჯიშებს იცავს დისერტაციას, რათა შემდეგ ამ ხახვი თუ დისერტაციით „ვოლგა“ შეიძინოს.

აი, ასეთი ერთიანად მანკური ხალხით არის დასახლებული ავტორების მიერ შემთავაზებული საყარო „მამათა“ თაობისა. ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, იმის კითხვებზე, როგორი უნდა გაიზარდოს ჩვენი შეცვლელი თაობა ამ ადამიანებების ხელში, ნუთუ ერთი მინც (იმ მილიციების გარდა, რომელიც პირნაღად ასრულებს თავის მოვალეობას და ისევე ავტორებს მოგონილი „კონფლიქტის“ გასაძლიერებლად დასჭირდათ) არ იყო მამათა თაობის ისეთი ვინმე სანიშნო, ჭკუისმასწავლებლად რომ გამოდგარიყო. ავტორების ერთადერთი საყრდენი აქ მხოლოდ ლექსის ბებია არის და ეგებ ზოგმა მიაშტამა გვიფხვას, აი, ეს ქალი ზომ დადებითი გმირიაო. ვითომ? ანალოზის ელემენტარული უნარია საჭირო, რომ ეს მოჩვენებითი ილუზია მყისვე გააქრეს.

თავდაპირველად მართლაც ეცხვებოდა ბებიას, როგორც პრინციპულ ადამიანს, სიმართლის ქობას. როცა ზურა მიიტაცებდა სხვის მამქანას და ამის გამო მომავალი შეჯიბრებდად მოხსნიან, ყმაწვილები გადაწყვიტენ, ერთადერთი ადამიანი, რომლის საბრძოლველსაც კოლოს დირექტორმა შეიძლება დაუჭიროს ზურა შეპირბუც, ეს არის ლექსის ბებია, ყოფილი საბრტსმენი, შეგარდელი. მაგრამ თვით ლექსი უარზე, იგი განაცხადებს: „ო, შენ არ იცი, რას იტყვის ბებიაჩემი, დასასჯელი უნდა დაისჯოს“. ე. ი. ლექსის ბებია პრინციპულად ადამიანი, თუმცა საქმე ეხება ზურას გაცილებით „მცირე“ დანაშაულს (მამქანის დროებითი გატაცება), მაგრამ ელემენტარული ლოგიკა ითხოვს პასუხს შემდეგ კითხვაზე, რატომ უღალატა ამ პრინციპულმა ბებიამ თავის მრწამსს სწორედ მაშინ, როცა ყველაზე უფრო საჭირო იყო ეს პრინციპულობა, როცა ზურას მორიგ თავქარიანობას ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა, სხვა თუ არაფერი, საკუთარი დედამისისაგან მიტოვებული და მერე შელოთი გაზრდილი შვილიშვილი დავლუბა?

... ზურა ისე გიჟივით მიჰრთვებდა მამქანას, რომ ერთ-ერთ მოსახვეწი ვეღარ შეაკავა და გადაიჩნა. მამქანაში ორნი იყვნენ — იგი და ლექსი. ლექსი იქვე გარდაიცვალა (ავტორების ყოვლად გაუმართლებელი სურვილის გამო), ზურა გადარჩა. მელოდიაზე ბებიასთან (სიმართლისად და პრინციპულობის ქობათან) მიდის ზურას მამა, საქონლანი ნიკო, რათა კავასი არ იყოს, კიდევ ერთი საქმე მოაკვარაზებინოს. ნუთუ ასეთი ნიტი გამოუთქმელი მწუხარების დროსაც შეუძლია ნიკოს საქმის „მოკვარაზებინება“ ფიჭი? შეუძლია. ამიტომაც არის იგი ყოვლისშემძლე კომინატორი. მიდის და უტიფრად თხოვს ბებიას, ლექსი მანც მკვდარია და ნუთუ ჩემი ბიჭიც დავლუბით, თუ თქვენ იტყვი, რომ საჭესთან ზურა კი არა, ლექსი იჯდა, მაშინ ზურას აღარ დაიჭერენ. მცირე ყოყმანის შემდეგ ბებიამ თავს ხმდებია, ე. ი. ბებიამ უღალატა თავის პრინციპს და გაცილებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე ნიკომ ამ ზურად. დანაშაული ჩაიდინა იმიტომ, რომ ადფარა სიმართლედ და ერთხელ კიდევ შეუწყო ხელი ნიკოს ადვირახსნილობას — ნიკოსათვის ეს მორიგი, კვავის ტერმინოლოგიით თუ გიჟივით, „გაიმასწავლო“ საქმე იყო და „გაიმასწავლა“ კიდევ. ამ-

დენად, ბებიას თითქოსდა მხოლოდ მორალური კომპრომისი აშკარად მიდის იურიდიულ დანაშაულობამდე (დანაშაულის მიჩქმალვა). ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ამა თუ არა ბებიას ვეწოდოთ პრინციპული ადამიანი, სიმართლის ქობა. ცხადია, არა. პრინციპულობა მან მამინაც კი ვერ გამოიჩინა, როცა საქმე ეხებოდა მისი საკუთარი შვილიშვილის სიყველად.

მაგრამ, თუ ბებია არ არის მართლაც ნამდვილი პრინციპული ადამიანი, არამედ ერთი მოსყვარული ქალი, რომელსაც არ გაანია რამე პრეტენზიები მაღალ წინებრივ პრინციპებზე, თუ მას უნდაოდა შეეცვლა ზურა, მამინე ლოგიკა ითხოვს პასუხს მეორე კითხვაზეც — საკუთარი შვილიშვილი რატომ არ შეეცვლა, როცა ასე ვსილანდ მიძახა — „აი, შენი სანაქებო მშობლების წერილები, ერთი გადმინდა გწერს, მეორე გამოდინდა“. ავი ბებოთ კარავდ იცოდა, რომ ამ დროს ისედაც სულამდგურული ლექსი გარბოდა ზურასთან „შესაჯახებლად“. ანდა რა ლექსის ბრალი იყო, თუ მას ასეთი „სანაქებო“ მშობლები ჰყავდა, თუ რომ იგი, სპარალოდ ბავშვი, ბებიას ამბარა მიაღწეს და ახლა, რაღაც მოჩვენებითი მოვალეობის მიზნით ერთი გადმინდა უგზავნის წერილს, მეორე კი — გამომიდინა. საკითხავია, ასეთი შხამის გადმინთხვა როგორ შეეძლო ისეთ დღეისმისაკ ბებიას, მისი დაზარადც ავტორებს სურდათ (და ვერ კი შესძლებს) ჩინი ორბატა. მაგრამ საქმეც ეს არის, რომ მისი სახათის ამ შტრიხით მოგვამხადეს ფილმის ავტორებმა დამაჯერებლად დადგვეყნის მორალური კომპრომისი, რომლის შესახებ უკვე ითქვა და რომელმაც საბოლოოდ გამოიწერა ბებიას ეკრანისეული იერსახე.

ამდენად, ფილმის ავტორებმა მამათა თაობა და გენაქტეს ერთობ მანკიერად, რაც ყოვლად გაუმართლებელია და ტენდენციური სიძრულეით ასახავს ჩვენს სინამდვილეს. არც ერთი გონიერი კაცი არ მალავს იმას, რომ ჩვენს შორის ჯერ კიდევ არიან ისეთი მომხდველი თუ უპრინციპო ადამიანები, როგორცაა ნიკო ან ფილმის სხვა მოქმედი გმირები, მაგრამ რა უბედურება იქნებოდა, რომ ერთის წაით წარმოგვედგინა, თითქოს მთელი ჩვენი საზოგადოება მხოლოდ ასეთი ადამიანებისაგან შედგებოდეს, რომ თითქოს ძველ და საშუალო თაობებზე ერთი კაცი მაინც არ იყოს ისეთი, რომლის განვლილი ცხოვრება ან დღევანდელი საქმიანობა ჩვენი ახალგაზრდობისათვის სანიშნოდ, გზის მანათლად არ გამოგვხდებოდა. განა ერთის წუთით მაინც შეიძლება ამის წარმოდგენა? აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ფილმის ავტორებს მართლაც ელემენტარული პარობორების დაცვა (ეს თანდათან იგულისხმება), არამედ იმაზე, რომ ახლა უკვე აღარ შეიძლება კარკაქტული ცხოვრების ეწეოდ და ეკვი შეივადე იმ შესანიშნავ ადამიანებს, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობას შეადგენდა ასე საინტერესოა ქმნიან ჩვენს ცხოვრებას.

„უთ გვიერთ კინო ფილმს, — აღნიშნულია სკაქცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა კინოტეატრის შემდგომი განვითარების ღონისძიება შესახებ“, — აკლია იდგური მიზანდასახულობა, მკაფიო კლასობრივი მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების გასუქების სახეში. ლენინური პარტიულობის პოციციებიდან ცხოვრების მართლად ჩვენიების ნაცვლად ასეთ ნაწარმოებში მოცემულია მოვლენებისა და ფაქტების შედაპირული, ცალმხრივი, შოგჯერი კი, მცდარი გაგება“.





ხელ აღუმაღლებია შინაგანი ხმა მამის წინააღმდეგ. საგარეოა, რომ აქ იგულისხმება ის ერთადერთი შემთხვევა, როცა ზურა გადაწყვეტს გაგრილად თბილისში გამოიქცეს, მაგრამ ვითომ ეს შინაგანი ამბოხის გამო ხდება? რა თქმა უნდა, არა. ხათუნამ სისხვა წამოდიო და მხოლოდ ამიტომ მიდის.

... ზურა ჩემიონი გახდა. ეს ამბავი მამამისმა რესტორანში აღნიშნა. ხათუნა „პროტესტის“ ნიშნად არ დაეწინაურა ქეიფი, თბილისში წასვლას გადაწყვეტს და ვოგზალში გავა. მოვარდნა ზურა:

ზურა: მიდიხარ?

ხათუნა: შენც წამოდი რა. გვხვეწები, წამოდი რა...

ზართლა უსინდისო ხომ არა ხარ. რად გინდა ეს ძალად ჩემპიონობა. გვხვეწები, წამოდი რა. წამოდი.

ზურა: წამოვალ.

ხათუნა: მართლა წამოხვალ?

ზურა: ჰო, დამიცადე.

ეს არის და ეს. ამ ფილმში ასეა ხოლმე, მოსწავლეები როგორც უნდათ და სლავა უნდათ, იქ გარიან. ზურაც ვეღარ გაულებს ხათუნას ხეწნას და თბილისში გაყავა. ეს არის შევერებელი ყმაწვილისათვის დამახასიათებელი სრულიად ბუნებრივი ფსიქოლოგიური-საკუთარი ლტოლვა გოგონასაკენ და არავითარი შინაგანი ამბოხი მამის წინააღმდეგ.

ასევე მოგონილია რეცენზენტის სიტყვები, თითქოს ფილმში ნამეგნები იყოს ის ველუები, რომელიც ვითომ თანდათან ხდება ზურას ხასიათში, რომ თითქოს მასხობი ზ. ყიფშიძე «По крупинкам раскрывает затаенные мотивы его протеста против отцовского мира. Что Лекса пробуждает в Зуре приглушенную его отцом чистоту души. Не смерть друга, а вся его жизнь, духовно яркая и светлая, совершает перелом в характере Зуры».

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პატივემუღმა რეცენზენტმა, ალბათ, ფილმის ხას, ანარსებულო ვარიანტი ხახა, თორემ იმ ფილმში, რომელიც ეგრანზე გამოვიდა, არავითარი ამის მსგავსი არ ხდება, სხვა თუ არაფერი, ყოველივე ამის შემოწმება ელემენტარული გზით შეიძლება... ფილმში ერთი ეპიზოდზე კი არ არის, რომ ზურა დაფიქრებულიყო ლექსოს ცხოვრებაზე და გადაეწყვიტა, როგორც პატივებული რეცენზენტი ასევეის, მოდი მეც მასავით სუფთა ცხოვრებას დაიწყებო. მხოლოდ უკიდურესმა ტრავმებმა, მისი გაზრებამ, რომ იგი ნებაით თუ უნებლით მაინც შეკლულია, დააყენა სინდისის ქენჩნის საკითხი. ამიტომ არ გვერა ფინალისა, როცა ზურა თავისი ფეხით მიდის მილიციაში, არ გვერა, რადგან იგი თვითონ გიგურად მოუშვადებელი და მხატვრულად გაუმართლებელია. მანამდე ერთი უნიშვნელო მტრისადმი კი არ იყო მინიშნებულო ყმაწვილის ხასიათის ასეთი პოტენციური შესაძლებლობა.

ასეთია ზურა. როგორი არიან მისი თანაკლასელები? თანაკლასელები ზურა ისევე „ბატონობს“, როგორც მამამისი, მაკალითა. ვატახე. როცა სკოლის დირექტორის შეტაკებითიბეზე, თქვენმა მოსწავლეებმა მანქანა გაიტაცეს-სი, იგი შემოვა კლასში და მიმართავს მოსწავლეებს: „ცხვრებივით გააკვივით, არა! კლდეზე რომ გადაჩნებო-ყო, იქაც გააკვივდით?“ ე. ი. სკოლაშიც იცანან, რომ ზურა კლასის „ყორი“ და „ლიდერი“ა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, უცებ მის წინააღმდეგ აღსდგებიან ხათუნა და ლექსო. მოულოდნელად იმტობ, რომ ეს მხოლოდ ფილმის ავტორების სურვილია და ნიადაგმოუშვადებელი რჩება.

ხათუნა და ლექსო მხოლოდ მაშინ იქებებიან ე. წ. „და-

ღებით“ გმირებად, როცა საკუთარ გრძობებს შედარებულა ამ ფილმის ავტორებს დასჭირდებათ ეს სიუჟეტური სკლის დასაბამად.

რამ აღაშფოთა ხათუნა, გაგრიდან ჩამოსვლის შემდეგ მორალური ხილა რომ გააწნა ზურას? განა მანამდე არ იცოდა, რომ ზურა სწორედ ისეთი კაცია, რომელიც „მისინის მისაღწევად ყველა ხერხს იხმარდა“, განა ჯერ კიდევ ვაგონო ე. ი. შეჯიბრზე წასვლამდე არ იცოდა, რომ ზურა ამ სიყალბე ჩაიდინა (გადაკეთებული დაბადების მოწმობა, შეჯიბრებიდან მოხსნა და მერე გავლენიანი მამის წყალობით ისევ დაშვება, განა მანამდეც არ იცოდა, რომ დამანაშვე ზურას მაინც შეეხვეწებოდნენ და წაიყვანდნენ შეჯიბრზე (ე. ი. გაგრამი, ზღვაზე და ერთად იქნებოდნენ)?! სხვა თუ არაფერი, ავი თვითონაც წუხდა, რომ ამ შევეწვიონო? მაგრამ ზურა ამშვიდებს, იცის, ზომ უმისოდ შეჯიბრი არ იქნება:

ზურა: ნუ ხართ, კაცო, ეგეთი გულბრყვილობები. ეგენი ნოლს ჩაწერენ ველოსპორტში. აქეთ შეეხვეწებიან კიდევ.

ხათუნა: რომ არ შეგეხვეწონ, მერე?

ზურა: აა...

ხათუნა: რომ მეუბნებოდე ზღვაზე ერთად წავალთო?...

ზურა: ხათუნა, მართლა გინდა, რომ წამოვიდე, გინდა, ძალიან, ძალიან?

ხათუნა: აა.

ზურა: ესე იგი, მოვიღივარ.

როგორც ვხედავთ, ხათუნა, შემდეგ რომ მორალურ ლექციებს უთხოვს ზურას, წასვლამდე თვითონ აქეზებდა ზურას და მიაღწია კიდევ — ზურამ პათეტიკურად განუცხადა, თუ შე გინდა, ე. ი. მოვიღივარო და წავიდნენ გაგრამში. მაგრამ ხათუნას სურს გაგრიდანაც ზურასთან ერთად იმგზავოს. აქ საქმეში ნიკო ჩაჩუავე, ფეხი არ გაადაც თბილისში, შეუბღერეს, ჩანს უთავაზებს კიდევ და ზურაც რა შევილია, წინ აღუდგას, უსიტყვოდ დარჩება გაგრამში (რეცენზენტი კი ვეიმტკიცებს, არა ერთხელ აღუდგა წინ მამის!), იმდენი ვატაკობა და თავმოყვარეობაც არ ყოფნის, რომ გამოეთხოვის ხათუნას, გაფრთხილის, ვერ მოგაკვიბო.

ხათუნა კი ამ დროს გვერდით ამოუდგება... რა თქმა უნდა, ლექსო და იწყება მათი — ხათუნასა და ლექსოს „წინააღმდეგობა“ ზურასთან, რაც ფილმის კონფლიქტად სადღეს და ბოლოს იწყებს უდანაშაულო ლექსოს სიკვდილსაც. საჭირო იყო ასეთი უკიდურესობა? რა თქმა უნდა, იგი საჭირო გახდა მიხთორის, რათა ფილმში რაღაც აფეთქებულიყო და ამით როგორღაც კონცენტრაცია მოეხდინათ მაკურების განხეული ყურადღებისა. ბუნებრივია, როცა ეგრანზე უდანაშაულო კაცი კვდება, მაკურებული შეუძლება და იფიქრებს, რა მოხდა, რა დასაშავა ამ კაცმა ასეთი, რატომ გაიმეტეს ასე უმოწყალოდ იგი ფილმის ავტორებმა. იფიქრებს და გონების თვალით გადახედავს ფილმის მსვლელობას, ეგებ რაიმე გამოიჩინა, მაგრამ, როცა მივლ ფილმს ერთხელ კიდევ გაიახვება, დარწმუნდება, რომ სიუჟეტის ასეთი განვითარება მხოლოდ ავტორების ხელთაფური სურვილი იყო და საკუთარ თავს ტყუილუნარლად ვუსაყვედურყო...

სასაყვედურო კი ზვირი არ არის ფილმის ავტორების მიმართ: სად ხდება ეს ამბავი, ვინ არიან ეს დაბამანები როგორც ძველი, ისე ახალი თაობა, რას გვეუბნება ფილმი თავისი გმირების შესახებ, რომელ გმირს როგორი ცხოვრება უნდა, ვინ არის მათ შორის ბრძოლისუნარიანი, საორიენტაციო, პრინციპული, რას ფიქრობენ ისინი ცხოვრებაზე, რას ელტვიან, რისკენ ისწრაფვიან, რანი არიან ისინი პოტიცირად და საერთოდ, რა ადღილს დაიქვირენ

ისინი ჩვენს საზოგადოებაში, რა მისცა მათ სკოლამ, რა მარაგით, რა საწყისებით გამოდიან ისინი ცხოვრების ფართო შარავასზე და ა. შ. მიუღო წყება საკითხებისა, რომლებიც გვაფიქრებინებენ იმიტომ, რომ ფილმში არც კია დასამუღი ეს საკითხები, ხასიათების მაგიერ მოქმედებენ სქემები და ფიქტულები, რომელთაც ხორცი, სისხლი და აზრი აკლიათ, აკლიათ ის „სიღრმე თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პროცესების ასახვაში“, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ჩვენი კინოს ერთ-ერთ ძირითად ხარვეზად მიიჩნევს. „ეკრანებზე იშვიათად გამოჩნდებიან ხოლმე გმირები — ნათქვამია ამ დადგენილებაში, — რომლებიც გვიჩივდავენ ხასიათის მთლიანობით, ადამიანური მომხიბვლელობით, კომუნისტური იდეალებით ერთგულებით. ამავე დროს გადაჭარბებული ყურადღება ეთმობა პერსონაჟებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ღრმა საზოგადოებრივ ინტერესებსა და მტკიცე მორალურ საფუძვლებს“.

საშუაზროდ, სარეცენზიო ფილმშიც ასეა — მასში ვერ მოიძებნა დრო და ადგილი ჩვენი საზოგადოებადამინანებისათვის და გადაჭარბებულ ყურადღება დაეთმო მტკიცე მორალურ საფუძვლებს მოკლებულ ადამიანებს. შესაძლოა, აქ შევედოან, როგორ, განა მორალურად გახსნული ადამიანთა მხილება საძრახისა, მაგრამ ჯერ ერთი, თუ მიუღო ჩვენი საზოგადოება ერთიანად ასეთი ადამიანებით

არის სავე, მაშინ ვილას სამსჯავროზე გამოგვყავს ფილმის გმირები (აქ, ვიმეორებთ, ობიექტურობის გრძობა და შომა მთლიანად დაკარგეს ავტორებმა) და ვივრცე — მთავარია როგორ ამხელ, რა დამაჯერებლობით, იეს გასაზრავებლად?!

ფილმის პირველი რეცენზენტი წერდა: «Попытка авторов разобраться в сложных жизненных процессах, дать ответы на многие вопросы, волнующие сегодня современное общество — почетна и благородна».

სიტყვა „разобраться“ ნიშნავს „გარკვევას“. ამდენად, რეცენზენტი მაშინ იქნებოდა მართალი, თუ ფილმის ავტორები მართლაც შეეცდებოდნენ გაერკვიათ მათი, როგორ, ვისი და რისი შემწეობით ჩამოყალიბდა, საგალითად, ნიკო, როგორც ხასიათი. ყოველ მოვლენას თავია გამოწვევი მიზეზი აქვს. ამდენად საჭირო იყო ამ მიზეზის ძებნა ან მინიშნება მაინც. თუ მიზეზი არ გავიგე, სწეულს ისე როგორ განაკურნავ. ნიკო — საქმოსანი და მომხვეჭელი სოციალური მოვლენაა, ამას კი ახსნა სჭირდება და ბრძოლა. მაგრამ ფილმის ავტორები მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდებიან, რაც, სამწუხაროდ, მშრალი ინფორმაციის სფეროს განეკუთვნება და არა ხელოვნებისა. ხელოვნებას, ჭკუმატრაც ხელოვნებას მომადლებული აქვს გარდამქმნელი, შთამაგონებელი ძალა, ძალა, რომელსაც ლიტერატურული სცენარის უმწიფრობის გამო მხოლოდ სასწაული თუ მისცემდა ცხოველყოფილობა, მაგრამ, როგორც ჩანს, არც კინოში ხდება სასწაული და ვეღარც ნუმი აყვავდა, თუმცა აქ, დრო იყო ყვავილობისა.

# „ხეკავშირი“ და ქართული კინო

კარლო გოგოძე

ქართული კინოხელოვნების ამავედარი გერმანე გოგიტიძე თავის მოგონებებში, სადაც ფილმ „ქრისტინეს“ დადგმასთან დაკავშირებულ სინელებებს უხვბა, წერს: „ბოლოს იმ დასკვნამდე მივდი, რომ მე მართო ერთს არ შემეძლო გამეგრძობებინა ეს, როგორც მატერიალურად, ისე მიზანდასახულების თვალსაზრისით, საჭირო საქმე დაერწმუნდი იმაში, რომ კინოფილმების წარმოება ერთი ადამიანის ხელით არ უნდა იყოს. იგი ან სახელმწიფოს, ან რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის უნდა ეკუთვნოდეს. ამიტომ, გადავწყვიტე მიმეზარათ იმ დროს არსებული კოოპერაციული საზოგადოებისათვის — „ცეკავშირი“, რათა მას მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის. „ცეკავშირმა“ მიიღო ჩემი წინადადება და, როგორც კინოურათი „ქრისტინე“, ისე სხვა ჩემს მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმები, გადავიყიე ამ ორგანიზაციას“.

მართლაც, გ. გოგიტიძემ თავისი ფილმები „ქრისტინე“,

აგრეთვე „სახალხო არმიის ზეიმი“ და სხვა 1919 წლის 27 სექტემბერს „ცეკავშირს“ გადასცა. იმ პერიოდის პრესამ ფართო საზოგადოებას აუწყა „ცეკავშირის“ მიერ ამ ფილმის შექმნა და გვრანებზე გამოხსვლა. მაგალითად, გაზეთი „სლოვო“ ფართო აზრულებით აქვიუხებდა: „პირველი ქართული კინოდრამა „ქრისტინე“, გამოშვებული „კოოპერაციების კავშირის“ მიერ, ეგნავტ ნინოშვილის ცნობილი მოთხრობის მიხედვით, ალექსანდრე წუწუწავას დადგმით, გერმანე გოგიტიძის გამოცემით, 1920 წლის 9 მარტიდან კინეზო მინიონში წავა“. „ცეკავშირის“ დინტიკრესება უკვე არსებული ქართული ფილმებით შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. იგი თავისი მასშტაბითა და პროგრესული ტენდენციებით, ნათლად გამოირჩეოდა იმ პერიოდის სხვა ორგანიზაციებისაგან, ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო მისი გადაწყვეტილება „ქრისტინესა“ და გ. გოგიტიძის სხვა დოკუმენტური ფილ-



მების შესყიდვისა და მათი გვარსზე გაშვების შესახებ. „ცეკავშირის“ ასეთი მოქმედება, გარდა გვირგვინური შემოსავლისა, სახსლად და ავტორიტეტს უქმნობდა თვით ამ ორგანიზაციას, რაც ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარებისათვის აუცილებლად საჭირო იყო.

როგორც ცნობილია, ფილმის წარმოების სასწრაფოს უქონლობის გამო გაჭირვებაში ჩავარდნილია გ. გოგიტიძის „ქრისტინე“ პირველად სახელმწიფო ლატარიას გადასცა გ. გოგიტიძე ამით მდგომარეობის გაუმართაობა და ხალხისადმი მისთვის სასურველი კინონაწარმოების მიწოდების უაღრესად. ლატარიის გამგებმა კი ფიქრობდა, რომ „ქრისტინეს“ ბეჭირი მაყურებელი ყოფილება და შემოსავალიც დიდი იქნებოდა.

გ. გოგიტიძე „ცეკავშირისადმი“ მიმართულ ერთ-ერთ თავის წერილში წერდა: „გამოვიდა თუ არა პირველი ქართული არშიები, ლატარიის გამგებმა მომხმარა წინადადებით, რომ ამ სურათებით „ქრისტინე“ და სხვა დოკუმენტური ფილმებით—გ. გ. დაუმარებოდი იმათ საღაროს, ენე იგი საურათების ჩვენება ყოფილიყო ლატარიის ბილეთებით. მეორეა, რომ ამით ორ მიზანს მივაღწევდებ: ერთი, რომ ჩვენს ნაშრომს ფართო მასას მივაწოდებდით, მეორე, ლატარიას დავემარებოდი, როგორც ორივე მიზანს ხელი ვერ შევიწყო“. ამის მიუხედავად, გოგიტიძე ამბობდა, ბილეთების სიძვირე იყო.

„ლატარიის გამგებამ“ ვერც შშობილი კინემატოგრაფიის დიდი პატრიოტის იოსებ იმედაშვილის იმედი გამართა. როგორც ფილმებით, ისე ლატარიის გამგებების ღონისძიებით აღტაცებულნი ი. იმედაშვილი წერდა: „ჩხვლა ეს ლენტეხი ქართული ლატარიის გამგებმა შეიძინა, რომელსაც განუწარმავს მთელი საქართველოს მოვლა და ყველაზე ხალხს აჩვენოს იგი. ეს იქნება ნამდვილი სამეცნიერო თვალსაზრის ჩვენი ხალხისათვის“. ი. იმედაშვილი კიდევ უფრო მეტს მოულოადა, რიცა ამბობდა: „განსწარმოვლია ეს ლენტეხი ევროპაში გაიგზავნოს იქაური საზოგადოების საჩვენებლად...“ მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ გაბართდა... ლატარიის გამგებმა“ ამ პირველი ქართული სამსახიბო ფილმის უცხოეთში გავრეცხვა კი არა, საქართველოშიც კი მისი სათანადო დონეზე გაშვება ვერ მოაგვარა.

„ცეკავშირის“ გამგებობის მიმართ მიწერილი იმავე ბარათში გ. გოგიტიძე წერდა: „ახლა მიხდა ეს ლატარიის საქმე დაგმოთარო, მივეც მას უფრო პოპულარული სახე, რომ ამით შე არც ჩემი შრომა დამეკარგოს და მიხსნაც მიღწეული იყოს. ამ მიზნით მოგმართავ თქვენ გამგებობას, რომელმაც მიზნად დაისახეთ ხელი შეუწყოთ ყველა კულტურულ ინიციატივას და ამ სურათების ჩვენება ფართო მასებისათვის იკისროთ თქვენ“.

რას წარმოადგენდა „ცეკავშირი“, რა ურთიერთობა ჰქონდა მას ქართული კინოხელოვნებასთან? ამიერკავკასიის „მომხმარებელთა საზოგადოების კავშირი“ („საკავშირო“) 1916 წლის მაისში ჩამოყალიბდა ბთინისში. 1918 წელს მას სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა საქართველოს კოოპერატიული კავშირი („ცეკავშირი“).

„ცეკავშირის“ თავისი ამოცანები მხოლოდ სამომხმარებლო საქმიანობით არ განუხსნავდა. თავის სპეციფიკური მუშაობის პარალელურად, მან შეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეებიც წააბოძო — შექმნა სხვადასხვა განყოფილება, რომლებსაც საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურება დაეკლდა.

„ცეკავშირის“ გამგებმა შექმნა ორგანიზაცია გაგზავნილი ერთ-ერთი თავისი ბარათით იტყობინებოდა: „ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირი გვირგვინურ მოქმედებას-

თან ერთად აწარმოებს ფართო კულტურულ განმანათლებელ მოღვაწეობასაც მთელ საქართველოს ტერიტორიაზე“. წერილში საუბარია იმზეც, თუ როგორ შეიქცა კავშირის მოქმედება ამ სფეროში, როგორ განვითარდა და გაიზარდა მისი მასშტაბი. „ცეკავშირი“ საზოგადოების ამცნობად იმის შესახებ თუ რა საშუალებებით ახერხებს იგი ფართო მასებში კოოპერაციული და სხვადასხვა დარგის განახლების შეტანას, რომ მას ჰქავს კავალა, რომლითაც ხალხი ეწყობა ხელთვნება, მასთან ჩამოყალიბებულია დრამატული სტრუქტურა, რომელიც უახლოეს ხანებში დაიწყებს მოქმედებას და ა. შ.<sup>4</sup>

...მაგრამ, ნათქვამია ბარათში, — ზემოთ ჩამოთვლილ კულტურულ მოქმედებაზე ვერ გაჩერდება კავშირი. იგი ფაქტობრივად საშუალებას ხმარებს, რომ უფრო მეტად დაუხლოდეს ხალხს და შექმნას ისეთი მიმოხილვით და ხალხისათვის ადვილი გასაგებია რამ, რომლითაც უფრო გადაიდობება ხალხის გაათავისმობიერება“.

„ცეკავშირის“ გამგებმა ასეთ საშუალებად თვლის კინემატოგრაფიას, „ვინაიდან ერთადერთი საუკეთესო საშუალება ხალხთან დასახლოებლად, მასში განათლების შესატანად ჩვენ ვხვდებით კინემატოგრაფიული საქმე, ამიტომ განვიზრახეთ მოვაწყოთ თუ დაარგოთ მთელი განყოფილება“<sup>5</sup> ასეთია ბარათის დასკვნა.

„ცეკავშირის“ გამგებობის მოწინავე ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა ამ ბარათს, ხელმძღვანელობდა ქართული კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა შეხვედრელებით, რომლებმაც კინემატოგრაფი იმ თავითვე აპოქის უდიდეს ხელოვნებად აღიარეს.

როგორც ცნობილია, კინოს უტოლიტარული მნიშვნელობის შესახებ ბევრად ადრე თავისი აზრი გამოთქვათ კოტე მესხს, ვალერიან გუნიას, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი, თვით დიდი აკაკო მაღალ შეფასებას აძლევდა კინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართული კულტურის მოღვაწეებს არა ერთი წერილი მიუძღვნიათ ამ საკითხისადმი. საკამრისია დაგასახლოთ იოსებ იმედაშვილის ცნობილი წერილი „ცხოვრება წინ გვიწევს“ (აქრ). „თავართ და ცხოვრება“ 1915 წ., № 21; შალვა დადიანის მოხსენებით ბარათი დაწერილი 1918 წელს და სხვა დოკუმენტის რომლებიც ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის შექმნის საკითხს მიეძღვნა“.

როგორც მოქმედი ბარათიდან ჩანს, „ცეკავშირი“ ატარებს სათანადო პრაქტიკულ მუშაობას, — შექმნილი აქვს კინოდაბმები აპარატურა ლაბორატორიული მოწყობილობით, აწარმოებს მოლაპარაკებას ევროპის კინოფორმებთან და ა. შ.

მაგრამ პირველად და ყველაზე აქტიური ნაბიჯი, რომელიც „ცეკავშირმა“ მშობლიური კინემატოგრაფიის განვითარებისათვის გადადგა, ეს იყო კინოფილმ „ქრისტინე“ შექმნა და მისი დემონსტრაციის უფრო მაღალ დონეზე დაყენება საქართველოს ტერიტორიაზე, მისი მიტანა ფართო მასებთან, ხალხში პოპულარიზაცია.

ფილმის შექმნასთან დაკავშირებით „ცეკავშირის“ გამგებმა ხელშეკრულა დადო გერმანე გოგიტიძესთან და იგი მიწვიდა კინოგანყოფილებაში ფილმების წარმოებისა და დემონსტრაციის ხელმძღვანელად. გ. გოგიტიძეს მისთვის ჩვეული ენერჯითი შეუდგა მუშაობას. მას ესხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში როგორც „ცეკავშირის“ ფილმების გადაღების, ისე მათი დემონსტრაციის ხელმძღვანელად.

შეიქმნა „ცეკავშირის“ კინოატელი, რომელმაც მიტად რთულსა და მძელ პირობებში თავს იდო ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის შესაქმობა.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს მათ მიერ შედ-

გენილი სამუშაო თემატური გეგმა, მისი ხასიათი, მრავალფეროვნება, ერთნული ტენდენცია, რომელიც შემდგენიანად გამოიყურებოდა:

1. კლასიკური ლიტერატურის ინსცენირება, 2. საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ფილმები, 3. კინოკომედიები, 4. საბავშვო სურათები, 5. სამეცნიერო-პოპულარული და 6. დოკუმენტური ფილმები.

კლასიკური ლიტერატურის გერანიზაციაში აქტიურს თემატური გეგმა გულისხმობდა სუბმათაშვილი-იუნიონის „ლალატიკა“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებსა და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებების გერანიზაციას. გეგმაში ხაზგასმით იყო თქმული. „უნდა მომხდარიყო გერანიზაცია თხზულებებისა, რომლებსაც არა მარტო საქართველოსათვის, უცხოეთისათვისაც კი ეჭვებოდა მნიშვნელობა“.

არსებულ პირობებში მისი განხორციელებისათვის სწრაფვა ნაადვილო უტოპია იყო, მაგრამ მასში იგრძნობოდა ის მეღვარი ბრძოლა, რომელსაც ქართული კინოს მოღვაწეები დიდი მხატვრული კინემატოგრაფიული ტიტოების შესაქმნელად ესწრაფოდნენ და რომლის განხორციელებაც მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ გახდა შესაძლებელი.

კინოკომედიების შექმნის თვალსაზრისით გეგმაში შეტანილი იყო სხვადასხვა კომედიური ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოების კინოინტერპრეტაცია. საბავშვო ფილმებად გათვალისწინებული იყო დიდაქტიური ხასიათის ქართული ზღაპრების, ლექსების, საერთოდ ხალხური ფოლკლორის გამოყენება.

გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დოკუმენტურ კინემატოგრაფიას, სამეცნიერო-პოპულარულსა და ხეილი ფილმებს.

„ადგილობრივი სანახაობის სურათებში იგულისხმება საზოგადოებრივი ხასიათის მომენტები, — ნათქვამია გეგმაში, — აგრეთვე წმინდა გეოგრაფიული ადგილები, მისი სილამაზენი, კურორტები, რომელთაც გაეცნობა თვით საქართველო და აგრეთვე სააგიტაციო მასალად გამოიყენება უცხოეთში“.

„ცეკავშირის“ კინოგანყოფილებისათვის, რასაკვირველია, უფრო ხელმისაწვდომი იყო სუფთა დოკუმენტურ — „ყოველდღიურ ამბებზე“ მუშაობა, ვიდრე მხატვრული ფილმების გადაღება, ამიტომაც არის, რომ ამ სფეროში

გადაღებულია თვალსაჩინო ნაბიჯი, შექმნილია არასრულმქონი კინოკალურ-დოკუმენტური სამეცნიერო და ხეილი ხასიათის ფილმი, რომელთა შორის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგამა უცხოეთშიც კი გაეცნოდა გზა.


„ცეკავშირის“ კინოგანყოფილების მიერ ამ დროს გადაღებულ ფილმებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმი „ბათუმის გადმოცემა საქართველოსათვის ინგლისელი ოკუპანტების მიერ“, რომელიც 1920 წელს გადაიღეს გერმანე გოტიტხის ხელმძღვანელობით. ეს ფილმი უდავოდ თვალსაჩინო ნაბიჯი იყო „ცეკავშირის“ მიერ დასახული გეგმების განხორციელების მხრივ.

ვახუტი „სლოვო“ წერდა, რომ „კომპარატივის ცენტრალური კავშირის“ „ცეკავშირის“ აქტიურ, გერმანე გოტიტხის ხელმძღვანელობით აწარმოების გადაღებას ქალაქ ბათუმში“. ცნობა ეხებოდა სწორედ ზემოაღნიშნულ ფილმს იგივე ვახუტი სარეკლამო განცხადებაში იუწყებოდა: „კვირიდან, 11 ივლისიდან, კინოებში „პიკადილუსა“ და „კინოპალასში“ პროგრამის ზეგით ნაჩვენები იქნება „ბათუმის გადმოცემა საქართველოსათვის ინგლისელი ოკუპანტების მიერ“ და იქვე მიუთითებდა, რომ ეს ფილმი შედგებოდა 18 ეპიზოდისაგან, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა: „აჭარელთა დებუტაცია“, „საქართველოს სამხედრო ნაწილები ბათუმთან“, „ზეგით პროსპექტზე“, „საქართველოს ჯარების შესვლა ბათუმში“, „აღლენი ბათუმის ქუჩებში“, „ეიზიტი დრედნოუტზე“ და სხვა, რომლებიც ერთი გარკვეული იდეური მიზანდასახულებით არიან გაერთიანებული და ერთ მთლიან, დამთავრებულ კინონარკვევს ქმნიან.

ეს ფილმი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება, მაგრამ ერთი კი უდავოა: „ბათუმის გადმოცემა საქართველოსათვის ინგლისელი ოკუპანტების მიერ“ ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართული კინოს შექმნისათვის ერთგვლი ხასიათისა და ფორმის ჩამოყალიბებისათვის წარმოებული შემოქმედებითი შეჯახების პროცესში. მისი მიკვლევა, აღმოჩენა და საჯარო ჩვენება ნათლად წარმოგიადგინებდნენ ბევრ ისტორიულ ამბავს, გვაგრძნობინებდა იმ მძიმე შრომას, რომელსაც ფილმის შემქმნელი ჯგუფი ეწეოდა.

როცა აღსაპარკობთ შემოქმედებითი შეჯახების პროცესზე, მხედველობაში გვაქვს ბილგიელი კომპოზანტი პირონი, რომელსაც ამ დროს თავისი განყოფილება ჰქონდა თბილისში, იღებდა რეორტე მხატვრულ, ისე დოკუმენ-

კადრი ფილმიდან „ქრისტინე“.





ტურ კინოფილმებს და აშკარა კონკურენციას უწევდა ისეთ ერთგულ საქმის, რომელსაც „ცეკავშირის“ კინოგანყიფი-  
ლებმა იგვა სათავეში.

როგორც ცნობილია, 1920 წელს საქართველოში ჩამო-  
ვიდა ევროპის სოციალისტური პარტიის დელეგაცია. დე-  
ლეგაციის წევრებმა იმოგზაურეს საქართველოს სხვადა-  
სხვა კუთხეში. „ცეკავშირის“ განყოფილებამ გადაიღო ეს  
მოგზაურობა. რა თქმა უნდა, მას არ გამორჩენია ისეთი  
დღი და სტაჟირი უბედურებაც, როგორც იყო მიწისძვრა  
გორში. უკრნალი „კავშირი“ იუწყებოდა, რომ საქართვე-  
ლოს ცენტრალური კომპარტაციული კავშირის კინემატოგრა-  
ფიულმა განყოფილებამ კინემატოგრაფიულ არმიასე გადა-  
იღო ქ. გორში მიწისძვრისაგან დაზარალებული ადგილები  
და შენობები (ქ. გორში „კავშირი“ 1920 წ., № 5-6).

„ცეკავშირის“ კინოატელიჟის მუშაობა პირველ ხანებში  
კარგად წარიმართა. მას საკმაო რაოდენობის ფილმი დაუგ-  
როვდა და მათი ჩვენებაც კი მოაწყო, რათა საზოგადოებრი-  
ვსათვის ქართული ფილმებისაგან შედგარი მთელი პროგ-  
რამა ეჩვენებინათ. ჩვენს ხელთ არის ამ ღრისძვრის მო-  
საწვევი ბარათის ასლი, სადაც ვკითხებით:

„ვეროსა, 7 მარტს, საღამოს 7 1/2 საათზე ელექტრო-  
თეატრ „მინიონში“ ნაჩვენებია იქნება საქართველოს ცენტრ-  
ალური კომპარტაციული კავშირის კინემატოგრაფიული  
არმიები.“

გიგზაინი რა ამასთან ერთად საპატიო ბილეთს,  
ერთგულ მობრძანდეთ თეატრ „მინიონში“, რომლის მისა-  
მართებელი საპატიო ბილეთშია ნაჩვენები<sup>9</sup>.

მივიღებ 7 მარტს კინოთეატრ „მინიონში“ ფილმების  
საზოგადოებრივი ჩვენება პირველია, უნდა ვიგულისხმოთ.  
რომ ამ დღეს დემონსტრირებული იყო მხატვრული ფილ-  
მი „ქრისტიანე“ (როგორც უკვე „ცეკავშირის“ მიერ შეძე-  
ნილი). დოკუმენტური ფირები „ბათუმის გადმოცემა საქ-  
ართველოსათვის“, „გორის ტრაედი“ და სხვ.

თუ შეხედვითაში მივიღებთ იმ დროს ბათუმში გ. გო-  
გოტიძის აქტიურ მუშაობას, რასაც მის მიერ „ცეკავშირის“  
სახელზე გამოცემული დეკლემაციის ადასტურებენ, 7 მარტს,  
იქვე გარეშეა, ნაჩვენები იყო ის ფილმებიც, რომელთა  
გადაღება „ცეკავშირის“ ატელიჟის გეგმით ჰქონდა გათა-  
ვალწინებული...

ენტუნასტები ხელისშემშლელი პირობების მიუხედა-  
ვად მთელი პასუხისმგებლობით განაგრძობდნენ კინემა-  
ტოგრაფიულ საქმიანობას.

ჯერ კიდევ შეზღაბნიშულ გეგმამ განსაზღვრულია  
ფილმების გამოშვების რაოდენობა (წელიწადში 23,700  
მეტრის სიგრძის სხვადასხვა ხასიათის ფირი), სცენარების  
მიმოხილვა, კონკურსების გამოცხადება, ატორიტეტული  
ჟურნის მიწვევა, მონორარის დაწესება და ა. შ.

თუ მოვიგონებთ ამ პერიოდის ჩვენი კინოთეატრების —  
„აპოლო“, „პალასი“, „მინიონი“, „პეკადელი“ და სხვა-  
თა რეპერტორს, სინდისის წინაშე, „ადამიანური უფუ-  
კრულები“, ფილმები პირლ უაიციას და რუფ როლანის  
მონაწილეობით, განსაკუთრებით პირონეს კინოწარმოების  
მიერ გამოშვებულ სურათებს „თავმოკვეთილი გავი“, „მი-  
თხარი რისთვის“ და სხვას, გასაკვირ გახდება ის ქარფ-  
ვა, რომელსაც „ცეკავშირის“ კინოატელიჟი იჩენს საქართული  
ერთგულთა თავისებურების მქონე ფილმების შექმნაში.

„ცეკავშირის“ კინოგანყიფილება მარტო ფილმების  
შექმნით არ განსაზღვრავს თავის მუშაობას. მისი ამოცა-  
ნაა გადაღებული ფილმები გაიტანოს ფართო მასებში, შო-  
რეულ რაიონებში აჩვენოს და ამით ხალხის განათლების  
საქმეს ემსახუროს.

ამასთან დაკავშირებით უნებო მოტანილ მოხსენებით  
ბარათი „ცეკავშირი“ ხელმძღვანელობას სთხოვა: „ამე-  
ვრად, ყველა მასალა, საქმის დასაწყებად ჩვენ უკვე მოგ-

ვეპოვება, მხოლოდ არ გვაქვს ისეთი მოწყობილობა, რომ-  
ლითაც შეიძლება კინემატოგრაფიული სურათების ჩვენე-  
ბა სოფელში...

ამიტომ მოგმართავთ თქვენ თხოვნით, დაგვითმით ჩვენ  
ყველაფერი ის მოწყობილობა, რომელიც მთავრობიდან  
ლატარის კომისიის ჰქონდა გადაცემული<sup>10</sup>.

რას წარმოადგენდა ეს ინტერესი? ეს იყო მოძრავი  
ელექტრონის სადგური, საბარგო ავტომობილი, რკინიგზის  
ვაგონი-პლატფორმა, ბენზინი და ზეთი.

„ცეკავშირის“ გამგეობის მიმართავზე შემდგომმა ხელ-  
მძღვანელობამ 1919 წლის 22 სექტემბრის ასეთი რეზო-  
ლუცია დაადო: „ორი თვის გადით გადაეცეს ლატარის  
კომისიებისათვის დათმობილი ავტომობილი, ვაგონი-  
პლატფორმა“.

ადვილი გასაკვირია თუ რა მუშაობის ჩატარება შეიძლე-  
ბოდა ამ მოკლე დროში. მიუხედავად ამისა, „ცეკავშირის“  
1919 წლის 29 სექტემბრის უკვე ჩაიბარა ლატარისი კო-  
მისიის განკარგულებაში არსებული ალექსანდრე წუწუნავას  
თავისი მოწყობილობები. ამავე დროს მისგან შეიძინა როგორც  
სანეგატეო, ისე საპროტივი კინოფირი, გადაღებიც აპა-  
რატა და მუშაობას შეუდგა. დოკუმენტური ფილმების  
შექმნის პარალელურად განსაკუთრებული აქტივობით მო-  
ცემა ხელი სოფლის კინოგაყვას.

„ცეკავშირის“ კინოატელიჟი თავის მუშაობის მანძილ-  
ზე კარგი ავტორიტეტი მოიპოვა. მართალია, მისგან დამო-  
უკიდებელი მიზეზების გამო მხატვრული-სამხანაოობო ფილ-  
მი ვერ გადაიღო, მაგრამ დოკუმენტური ფილმები საკმაოდ  
ბევრი შექმნა, მათ შორის, როგორც დოკუმენტებით ორე-  
ვები, „ბათუმის გადმოცემა საქართველოსათვის“ და „გეო-  
პის სოციალისტური დელეგაციების მოგზაურობა საქარ-  
ველოში“ უცხოეთშიც გაიყავა.

როცა „ცეკავშირის“ კინოატელიჟის მუშაობასა და მის  
მიერ გადაღებული ფილმების უცხოეთში გაგზავნას ეხებ-  
ნო, აქ უნებნადა გვართობდა ალექსანდრე წუწუნავას  
სახელზე 1925 წელს პარიზშიან მიღებული ბარათის ში-  
ნაარსი, რომელშიც ჩამოთვლილია მთელი რიგი ქართული  
ფილმებისა, რომლებიც პარიზის ეგრანზეზე უნახავი.<sup>10</sup>

ვის და როდის უნდა გადაეცეს ეს ფილმები? „ცეკავში-  
რის“ კინოატელიჟის ხომ არა? ეს მეტად საინტერესო სა-  
კითხია, რასაც გამოკვლევა და დასუსტება სჭირდება. თუ  
დამტკიცებდა, რომ ეს ფილმები, ამ მისი ნაწილი „ცეკავ-  
შირის“ ეკუთვნის, მაშინ კიდევ უფრო გაიზარდება ამ ორგა-  
ნიზაციის მნიშვნელობა ქართული ერთგული კინემატოგ-  
რაფიის განვითარების საქმეში, კიდევ უფრო გაიძლიერდ-  
ება ქართული კინოხელოვნების ისტორიის ეს მონაკვეთი.

მიუხედავად დიდი პატიოტული მისწრაფებისა და  
მისი მოწინავე ნაწილის განუსაზღვრელი ენთუზიაზმისა,  
„ცეკავშირმა“ შექმნა ორგანიზების უყურადღებობისა  
და სათანადო მოწყობილობის გამო (მას გადაღებისათვის  
ავტოტელევი, სპეციალური ადგილიც კი არ ჰქონდა) მუ-  
შაობის გაგაქმლება ვერ შეძლო. სწორედ ამანვე წარდა  
გერმანე კატეტი თავის მოგონებებში: „ცეკავშირის“ ვერ  
გამართლა ჩემი იმედი და ამ წარმოებისათვის საჭირო  
სამუშაოების უკონლობის გამო მის ხელში ეს საქმე ჩა-  
ვადებია“.

სამწუხაროდ, „ცეკავშირმა“ მისგან დამოუკიდებელი  
ობიექტური მიზეზების გამო, რომელთა საფუძველიც უპი-  
რველეს ყოვლისა, მისი თანამედროვე ეპოქის სოციალურ-  
პოლიტიკური სისკტების თავისებურებაში უნდა ეძებოდა,  
ვერ განახორციელა საკუთარი კეთილშობილური ოცნება  
ქართული ერთგული კინემატოგრაფიის განვითარებაში,  
მაგრამ მისი საქმე არ დარჩენილა, „ხმად მლაღდებისა  
უდადნისა შინა“. „ცეკავშირის“ საქმიანობა უფრო მეტ-  
ცედ დარაზმა ქართული კულტურის მოღვაწეთა მოწინავე

ნაწილი მშობლიური კინოსელოვების ერთიანი მტკიცე ორგანიზაციის შესაქმნელად.

ამ დარაზმულობის ნათელი გამოხატულება იყო ქართული კულტურის მოღვაწეთა დაჯინებული მოთხოვნა შეესყიდოთ ბელგიელი კომერსანტის პირინეს თბილისში არსებულ კინოატელიე „ფილმა“ და იგი სახელმწიფოსათვის გადაეცათ.

მრავალმა თხოვნამ და დასაბუთებულმა ახსნა-განმარტებამ, ნაყოფი გამოიღო. 1920 წლის 31 ავგუსტის მიღებულ იქნა დაცხადილება პირინეს ფირმის მთელი ავლოდილების შესაძენად. ატელიეებს ქონების ღირებულება, 7 მილიონი, მიწშეიკურება მთავრობამ თავისი სასწრებიდან მაინც ვერ გაიმეტა, ამიტომ ამ თანხიდან სამი მილიონის გადახდა კომპერატრეცია კავშირებს დაეკისრათ, ხოლო დანარჩენი — განათლების სამინისტროს უნდა გაეღო. ამრიგად, 1920 წლის სექტემბერში პირინეს ფირმის მთელი ქონება შესყიდულ იქნა. განათლების სამინისტროსთან ჩამოყალიბდა კინემატოგრაფიული საქმის მოწყობის გამკრება. „ცეკვაშვირის“ მთელი კინემატოგრაფიული ქონებაც შევიდა აღნიშნულ კინოსაქმიანობაში, რომელიც შემდგომში განაკრებადა აქტიურ კინომუშაობას.

სწორედ „ცეკვაშვირის“ კინომოღვაწელმა მიერ ჩამოყალიბებული მხედველებანი დაიღო საფუძვლად განათლების სამინისტროსთან არსებულ კინემატოგრაფიული საქმის მოწყობის გამკრების მოხსენებით ბარათს, რომელიც განათლების სამინისტროს 1920 წლის 3 დეკემბერს გაეგზავნა. ეს ბარათი წარმოადგენს შესანიშნავ დოკუმენტს, რომელიც ნათლად ჩანს მისი ავტორების მიერ კინოს, როგორც დიდი ხელოვნების აზრისა და ამოცანების ორმა გაგება, მისი პერსონალიტების უტყუარი გრძნობა, კინემატოგრაფიული საქმისა და კინოწარმოების სპეციფიკის საფუძვლიანი ცოდნა.

„სასოფლოდ ხალხის გინებრივი დონის ამაღლება, მის წიგნში სწავლა-ცოდნის შეტანა, მეცნიერების სხვადასხვა დარგის ცნობების გაერცვლება, მრავალი გზით და დაწესებულებების საშუალებით (ლექცია, სახალხო კითხვები, თეატრი, სამეცნიერლო-წიგნობისკაცები და მისთანანი) შეიძლება, მაგრამ ყველაზე უფრო ფართო ადგილს, საინტერესოს და უწყასაობისებელ ფორმას გინებრივი განვითარებისას, კინემატოგრაფი წარმოადგენს“ — ნათქვამია მოხსენებით ბარათში.

ბარათში აღნიშნულია თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია აგრეთვე სამეცნიერო ხასიათის ფილმებს ადამიანთა განსავითარებად, ჩვენი კლასიკური მატერიატრების მიხედვით შექმნილ მხატვრულ ფილმებს. აქ კინემატოგრაფი აღიარებულია საერთო კულტურის ფართო დემოკრატიკის ძლიერ იარაღად, რომელიც განსაკუთრებით ჩამორჩენილ კუთხეებშია საჭირო.

მოხსენებით ბარათში ლაპარაკია გადაღებული ფილმების რაოდენობაზე, როგორც სანევატიეო, ისე პოლიტიკისათვის საჭირო ფირის, ლაბორატორიის და ატელიეს მოწყობის, ელექტრონის ხელსაწყობის შექმნის, დეკორაციების, ავეჯის, რეკვიზიტის, შესყიდვის, სხვადასხვა ქიმიკატით ატელიის მომარაგებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მასში განსაკუთრებით ხაზგასმულია მოთხოვნა რეჟისორების, მსახიობების, სცენარისტების, ოპერატორისა და სხვა საჭირო შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალის მოშალისა და კინოსაქმის გარეშოდ დარაზმვაზე. რასაკვირველია, ყველა ეს საკითხი დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რის ანალიზსაც სრული ცოდნით იძლევა მოხსენებით ბარათი.

„კინოწარმოების დღეს-დღეობით სჭირდება მხოლოდ საწარმოო ანუ სატრიალებელი თანხა, რომ მოქმედება დაიწყოს და მალე შესძლოს მისი გაფართოება“, — დასაკ-



კადრი ფილმიდან „პრინციწა“.

ნიდნენ მოხსენებითი ბარათის ავტორები, — მის სჭირდება საორგანიზაციო ხარჯების გასატკურებელი თანხა, დასალოებით ნახევარი წლისათვის ნაგარაუდგვი ხარჯისა, ანუ 815.640 მანეთი.“ თუ მხედველობაში მივღებთ იმ პერიოდში ფულის კურსს, იმ დიდი საქმისათვის, რომლის განხორციელებასაც კინოსაქმის გამკრება შეიჭიდა, არც თუ ისე დიდი იყო, მაგრამ ამ თანხის შოვნაც შეტკად გაძნეულდა. კინოსაქმისთან დასალოებულმა ორგანიზაციებმა: „ცეკვაშვირმა“, განათლების სამინისტრომ და სხვ. პირინეს ატელიეს შესაძენი ფული კი გაიღეს, მაგრამ შემდეგი ხარჯების დაფარვა გაუნდებლათ. მცირე თანხებმა კი საქმეს ვერ უშეშეს.

ხელისუფლებამ ამ დემინიშენლოვან საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია, მუშაობის მინიმალური პირობებიც ვერ შეუქმნა. კინოთეატრები ისევე კერძო პირებს ეკუთვნოდათ, რომელიც მინზე მტკი ფულის მიღება და გამდიდრება იყო. ვერანაე კვლავ უშინაბარს, დეკადენტური, მელანქოლიური მელოდრამები და ცრუსათავგადასავლო კანონი ფილმები ბატონობდნენ.

ეროვნული კინოს განვითარებას კვლავ შეეკვეცა ფრთები. ქართული კულტურის მოწინავე ნაწილის კეთილშობილური ოცნება ოცნებად დარჩა. საჭირო იყო სრულიად სხვა სოციალური წყობა, სხვა პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება მისი განხორციელებისათვის. ეს დროც დადგა. 1921 წლის თებერვალში, როცა საქართლოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქართველი ხალხის კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებაში მანამდე არსებული ძვრები მიხდა. განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბებულ კინოსექციას საბჭოთა ხელისუფლებამ პირველსავე დღეშივე გადასცა საჭირო თანხა და დაავალ სათავეში დადგომდა ქართულ ეროვნულ კინემატოგრაფიას. 11 ივლისის ნაცემხალდა ყველა კინოთეატრისა და კინოორგანიზაციის განციონალდა სხვა.

1921 წლის დეკემბერში გამოსულმა პირველმა საბჭოთა ქართულმა კინოფილმმა „არხანა ჯორჯიაშვილი“ ქართული ხალხს აუწყა ეროვნული კინოსელოვების ნაძლევი ზრდისა და აყვავების პერიოდის დაწყება.

ისაც კინოფილმ „პრინციწა“

როგორც წემოთ დავინახეთ, „ცეკვაშვირის“ განყოფილების მოშობაზე ბეგრად იყო დამოკიდებული პირველი ქართული საშახიობო მხატვრული ფილმები — „პრინციწის“ შემდგომი არსებობის საკითხი. ამიტომ ურიტო არ იქნება ზტიე რამ მის შესახებაც თქვას, მით უფრო, რომ ამის



უფლებას გვაძლევს ახლანან მიკვლეული დოკუმენტებიც, ქართული კინოსტუდიების ისტორიის მკვლევარებიც, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, კინოფილმ „ქრისტინესთან“ დაკავშირებით ძირითადად გერმანე გოგიტიანი-სა და ალექსანდრე წუწუნავას უკანასკნელი პერიოდის მონაწილეობის ვეფხვრობით. მე პირადად არ ვიხსენებ მქონინა საუბარს, როგორც გერმანე დოკუმენტისთან, ისე ალ. წუწუნავასთან შორს ფილმების გადაცემისა და გამოშვების თარიღზე, როგორც პირველი, ისე მეორე, მუდამ 1916 წელს ასახელებდა.

ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე და მშობლიური კინოსტუდიების დიდი პატრონი იოსებ იმედაშვილი ხელნაწერის სახით დატოვებულ თავის „ქართული მოღვაწეთა ენციკლოპედიაში“ „ქრისტინეს“ გამოშვებას 1916 წელთ ათარიღებს, უკრნაღა „დროშია“ წერდა: „პირველია ამხ. გ. გოგიტიძემ 1916 წელს დაიწყო საქართველოში კინოწარმოების მოვარება. მისი მეფოთრობითა და ხარჯებით გადაღებული იქნა „ქრისტინე“<sup>11</sup>.

ალ. წუწუნავა თავის ერთ წერილში ვადავებს კრიტიკოს შ. ალხაზიშვილს მის მიერ წაბეჭდილი წერილის გამო „ქრისტინეს“ დადგმის თარიღთან დაკავშირებითა და აღნიშნავს: „სურათი „ქრისტინე“ გადაღებულია 1916 წელს, ჯერ კიდევ იმპერიალისტიკური ომის პერიოდში, სასმადრო ოპერატორის მიერ, რომელიც ქრინიკას იღებდა რუს-ოსმალის ფრონტზე“. გერმანე გოგიტიძეს თავის მოკლემბებში, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოაქვეყნა, „ქრისტინეს“ გამოშვების თარიღად ისევ 1916 წელს ასახელებს<sup>12</sup>.

უკანასკნელ ხანებში „ქრისტინეს“ დადგმისა და გამოშვების საკითხს ფრიაბ სოლიდური და ძირითადად დასაბუთებული წერილი მიუძღვნა თეატრმცოდნე ეთერ კვიციანი. წერილის ავტორი უდავოდ მართლაც კინომცოდნე გ. ჭავჭავაძის კამათია. ამასთან იგი წარმოადგენს დიდი შრომის საფუძველზე მიკვლეულ საინტერესო მასალას, რომელიც ნათელს ფენს „ქრისტინეს“ დადგმასთან დაკავშირებულ მთელ რიგ მომენტებს, მაგრამ წერილის დასკვნით ნაწილში ისიც თითქმის იმიჯინარისა და წერს: „კინოფილმ „ქრისტინეს“ გადაღება ალ. წუწუნავამ დააპირულა 1916 წელს და მაკურებელი 1917 წელს უკრინეს ფილმის ანარსული ვარიანტი“<sup>13</sup>.

როცა კინოფილმ „ქრისტინეს“ ვეხებით, მხედველობაში უნდა მივდეთ ის, რომ იგი ორი ვარიანტის სახით არსებობდა.

პირველი მთავრდებოდა ქრისტინეს მისვლით ნაკალიას სახლში, მეორეს კი ემატებოდა სცენაში: „ქეთი ორთაჭალოს ბაღში“, „ქრისტინეს დაჭრა“, „გამათფრეხული ქრისტინე თბილისის ქუჩებში“, „ქრისტინეს საძებნელად ჩამოსული დათაი“, „ქრისტინეს სიკვდილი“ და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმი დამთავრებული კინემატოგრაფიული ნაწარმოებია, თითოეულ ვარიანტს თავისი დრო და შექმნის თავისებური პირობები აქვს.

როდის დაიწყო ფილმის პირველი ვარიანტის გადაღება? კინოფილმ „ქრისტინეს“ გადაღებისა და კრანზე 1916 წელს გამოსვლის, ან ნაწილობრივ დამთავრების ვერსიას მცდარად უნდა ჩაითვალოს. მიკვლეული მასალების მიხედვით „ქრისტინეს“ გადაღება 1916 წელს არ დაწყებულა და რასაკვირველია, იგი არც კრანზე გამოსულა.

ამას ადასტურებს თვითონ ალ. წუწუნავა თავის წერილში, რომელიც მან „ქრისტინეს“ შექმნას მიუძღვნა. აღნიშნული წერილი დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ 1940 წელს<sup>14</sup>. „...1916 წელს ერთმა კერძო პირმა მომხმართა წინადადებით გადაემღო სურათი „ქრისტინე“ ნინოშვი-

ლის მოთხოვნის მიხედვით, — წერს ალ. წუწუნავა, 1916 წელს ზაფხულში დაიწყო გადაღება“. ხილი ქვემოთ დასძინებს: „ქრისტინეს“ გადაღება მხოლოდ 1917 წლის დასაწყისში დადამთავრე. გადავიღე სამი ნაწილი — „ქრისტინეს ქალაქში ჩამოსვლა ნაკალიასთან მისეულად“, მეტი ვერ მოვასწარი. ქალაქის სცენები უკრინებ იქნა გადაღებული.

მასმასადაც, „ქრისტინეს“ თუნდაც ალ. წუწუნავასეული ვარიანტი რომ 1916 წელს არ დამთავრებულა და არც კრანზე გამოსულა, თვით ალ. წუწუნავას განცხადებითაც ჩანს. მაგრამ, როცა ალ. წუწუნავა ფილმის გადაღების დასაწყისად 1916 წლის ზაფხულს, ხილი დამთავრების დროდ 1917 წლის დასაწყისს ასახელებს, აშკარად სწორი არ არის. ჩვენი აზრით, აქ უბრალოდ მახსოვრებამ უღალატა ალ. წუწუნავას. ასევე ცდება გერმანე გოგიტიძეც თავის უკანასკნელ მოკლემბებში, რომელიც სრულიად აწონაღამდებულა მის მიერ შედგენილ ძველ დოკუმენტს.

ქვემოთ მოტანული საბუთებით ნათლად დავინახავთ, რომ „ქრისტინეს“ გადაღების დაწყება 1916 წელს არაფრით არ შეიძლებოდა, ასევე შეუძლებელი იყო მისი დამთავრება 1917 წლის დასაწყისში.

„ცვაკვირის“ გამგებობაში მიწერილ ბარათში, რუმელსკაც გაკვირთ ზემოთ შევხებით, გ. გოგიტიძეც ხაზსასმით აღნიშნავს „1917 წელს, რეკლამის პირველ ხანებში განეჭრება, ხალხის გულის შესაღებლად ბელეტრისტიკის ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოები „ქრისტინე“ კრანზე გადაემტება და ამით მიმეცა საშუალება ფართო მასშტაბით განეჭრეს სასიკვადრო, პოპულარული, ხალხიდან უკვე შეყვარებული „ქრისტინე“ სინამდვილეში გადმომეცა პირველ ქართულ არმიზეზე (ლერნებზე) და მწერლის მოთხოვნა მუდმივ უკვდავად შემიქმნა<sup>15</sup>. დოკუმენტ გ. გოგიტიძის ხელითა დაწერილია და თარიღდება 1919 წლის 12 ოქტომბრით.

წარმოდგენილი დოკუმენტ ადასტურებს, რომ ფილმ „ქრისტინეს“ გადაღება გ. გოგიტიძეს განუზრახავს არა 1916, არამედ 1917 წელს, რეკლამის პირველ ხანებში“. ამ თარიღის სიზუსტეც სხვა დოკუმენტთაც ადასტურებს. ეს არის გ. გოგიტიძის მიერ ამიერკავკასიის უმაღლეს სამხედრო ორგანოში წარდგენილი თხოვნა კინოფილმ „ქრისტინეს“ გადასაღებად მისთვის კინოოპერატორის გამოყოფის შესახებ. მოგვაქვს ამ დოკუმენტის ძირითადი ნაწილი:

„...ქართული თეატრების რეჟისორ ა. წუწუნავას მიერ სინამატოგრაფისათვის ინსცენირებული ცნობილი ქართული ბელეტრისტიკის ნინოშვილის „ქრისტინეს“, რომლის კრანზე გამოსვლაც დიდ სარგებლობას მოგვტანდა მასების ზემოთრივე აღზრდისათვის, მაგრამ კავკასიაში კინოგადმომეც ფორმები არ არის. ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც კინოგადაღების საშუალება აქვს, ესაა სამხედრო ისტორიული განყოფილება, რომლის უფროსი არის პოლკოვნიკი ესაძე, მაგრამ მას დაკისრებული აქვს ამოცანა — აწარმოოს გადაღებები მხოლოდ კავკასიის არმიის სამხედრო-საველე ცხოვრებითან.

გთხოვთ თქვენს შუამდგომლობას უმაღლესი სარდლობის წინაშე — ნება დართოს პოლკოვნიკ ესაძეს დაეხმაროს ამ სასარგებლო საქმეს“<sup>16</sup>.

ეს წერილი დათარიღებულია 1917 წლის 8 ივნისით. მასამდე, გერმანე გოგიტიძეს 1917 წლის ივნისამდე კინოოპერატორი არ ყოლია და, ბუნებრივია „ქრისტინეს“ გადაღებას ვერ დაიწყებდა 1916 წელს.

გ. გოგიტიძე თავის მოგონებებში „ქრისტინეზე“ მომუშავე ოპერატორის იხსენებს; მეორე ოპერატორი, მისი

თქმით, ალექსანდრე დილმელოვია. ვინ იყო პირველი, რომელიც მან გადაღების დაწყების წინ ამიერკავკასიის უმაღლეს სარდალსახს სთხოვა და ს. ესაქმე გამოეჭრა?

ქართული კულტურის გამოწინილი მოღვაწე, კინოს ჩინებულო მცოდნე, პირველი ქართველი კინოდამამატურე, დიკომენტურ კინემატოგრაფიის შესანამავი რეჟისორი და თეატრტორი, პოლიკომუნე სიმონ სამხედროს ძე ესაქმე რომელიც იმ დროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი (,,დიდების ტაძარს“) განაგებდა, მანმევე გადაიხვეწა გოგოტიძის წერილს.

...ინციფინებულ სურათს ,,ქრისტიანე“ გადასალებდ მე ვითავაზობთ სამხედრო მოხელე ლიტერატორს შვედერმანს, გადამღები აპარატით — სურდა ს. ესაქმე გერმანე გოგოტიძის წერილის საპასუხოდ<sup>17</sup>.

ვის იყო ეს შვედერმანი?  
იგი სწორედ სს თეატრტორი გახლდათ, რომელიც ალ. წუწუნავის სიტყვით, ,,რუს-ოსმალის ფრონტზე სამხედრო დიკომენტურ დილემებს იღებდა“ და რომელიც შემდეგ ალექსანდრე დილმელმა შეცვალა.

ალექსანდრე ვიტალის ძე შვედერმანი ს. ესაქმის მარჯვე-სა ხელი იყო. თორქითთან ომის დაწყების პერიოდში, როცა ესაქმე ომის მნიშვნელოვანი ეპისოდების გადაღებას შეუდგა, მან ა. გ. შვედერმანი სტეციალური პატივით გამოითხოვა ერთ-ერთი სამთო პატარეიდან, სადაც იგი ნაწილის მწერლად მსახურობდა.

ს. ესაქმე შვედერმანს ახასიათებდა როგორც სათვრატორ ხელმოწევაში 12 წლის სტაჟის მქონე, ძალზე გამოცდილსა და საქმის მცოდნე კინოთეატრტორს. თავის პატივით ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის უფროსის მიმართ ს. ესაქმე წერდა: ,,...გთხოვთ ჩემდამი რწმუნებულ განყოფილებაში მოაღწიონთ აკადემიის მესაზღვრებმა პატარის ჩინებები შედგინებინ. 12 წელია, რაც ეს ჩინებები თეატრტორად მუშაობს კინემატოგრაფიაში. იგი თავისი გამოცდილებით დიდად დააგვიმარბდა თროსტზე მოქმედი ჯარების სამხედრო და მშვიდობიანი სამსახურის გადაღებაში, რომელსაც მე შევამდგენებო<sup>18</sup>.

ალ. შვედერმანს ნება დართოს ს. ესაქმისთან გადასულიყო და, მართლაც, 1915 წლის მარტობა 1917 წლის გაზაფხულამდე მასთან იმყოფებოდა. კერძოდ, 1916 წლის ზაფხულში ისინი სარაკაშივის აზრულებს, ბაიბურტის, ტრაპიზონის, ერძინკიანის, მამახუნჯისა და სხვა სამხედრო არენაზე არიან, იღებენ დილემებს: ,,აზრუების დაცემა“, ,,ტრაპიზონის აღება“ და სხვა, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ იმ პერიოდში. ს. ესაქმის დიკომუნეით ალ. შვედერმანი ასრულებს აგრეთვე სხვა დავალებებს.

ალ. შვედერმანი 1916 წლის აგვისტოში ს. ესაქმის ბრძანებით მიეგზავრება მოსკოვს მათი ფილმების საქმეებთან დაკავშირებით, ამრიგად, იგი მთლიან 1916 წლის განმავლობაში ს. ესაქმის განკარგულებაში იმყოფება და სხვა კინოგადაღებაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მამახუნჯეში, 1916 წელს ფილმი ,,ქრისტიანე“ არ გადაღებულა, რადგან არ იყო ამის პრაქტიკული შესაძლებლობა. მამ როდის უნდა დაწყებულიყო მისი გადაღება? არა უადრეს 1917 წლის ივნისისა, როცა ალ. შვედერმანი სამხედრო გადაღებებისაგან განთავისუფლდა.

მართლაც, ს. ესაქმე თავისი ყოფილი თეატრტორი, 1917 წლის 8 ივნისის თხოვნის საფუძველზე გ. გოგოტიძის აღკვეცებას კინოპარატით. ეს იყო 1917 წლის და არა 1916 წლის შესაძლებლობა, როგორც ამას თავის მოთხოვნებში აღნიშნავს ალ. წუწუნავა. ცხადია, ფილმის გადაღება დაწყებულია 1917 წლის ივნისიდან, ხოლო მას იღებდა კინოთეატრტორი ალ. შვედერმანი, რომელიც, ალ. წუწუნავის სიტყვით რომ ვთქვათ, რეჟისორთან წინაშეუბნის და შერიგების შემდეგ ,,ერთად-ერთი მსხვილი კადრი გადაიღო“

(მოვიგონოთ სცენა ,,ქრისტიანე და იასონი მდინარის მხარა პატივსა“, რომელიც შენარჩუნებულია ფილმში). როდის მიანება თავი ალ. წუწუნავამ ფილმზე მუშაობას?

ამაზე არც თვითონ, არც გოგოტიძე არ გადაწვდას ზუსტ ცნობას.

ალ. წუწუნავა ზემოთხსენებულ წერილში წერს: ,,გადავიღე სამი ნაწილი, ქრისტიანე ქალაქში ჩამოსვლა ნატალიასთან მისვლამდე, მერე ვერ მოვაქწარი. თბილისის სტეციალურ ენემდე იქნა გადაღებული. მე როსტოვსა და ბაქოში დავტრე 1918 წლის ოქტომბერში“.

როდის გაგრძელდა სურათის გადაღება, ალ. წუწუნავის წასვლის შემდეგ?

